დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 17 - 23 ივნისი

N26 1544

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# არა - ფაშიზმს!

## კობა არაბული: მოულოდნელად შეიცვლებიან დრონი და ჩვენს დროში სხვა დრო ჩამოდგება!

2-3



„ქართველი ყოველთვის გუმანით გრძნობდა „სხვა დროთა“ ჩამოდგომას, მზაკვარი მტრის მოახლოებას და მზად იყო ქაჯებთან ომისათვის. სუფრასთან ფეხზე მდგომნი მიირთმევდნენ საკვებს, რომ მტერს მჯდომარეთათვის არ მოესწრო!“

„წმინდა გიორგი მიაცილებდა ქართველთა ლაშქრებს და ჩვენ ამ ომებში გადავრჩით. ახლა რა ხდება? რა დრონი და მოვლენანი ჩამოდგნენ? რა ტიპის მტერი გამოგვეცხადა?“

4

„უნდა გიხაროდეთ, გამოთაყვანებული ბაიდენის მასონურმა ხელისუფლებამ „ღირსების“ სანქცია რომ მოგანიჭათ!“





## ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამერიკელებს რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა დავასანქციროთ თავი!

9


საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ოთხშაბათი, 17 ივნისი. 2024 წ. №71 (9751)
ფასი 1 ლარი
მართალი სიტყვის მადლი
ოპოზიცია არჩევნებისთვის კი არა, სისხლისღვრისთვის ემზადება! 2
უნიკალური გამოცემა ქართულ ეთნოგრაფიაზე 3
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის საზოგადოებ
კვირის ამბები
პერიოდული გამოცემა!
მადლობა საუკუნოვანი საჩუქრისთვის!

2024 წლის 17 ივნისიდან — **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის** ახალი გამოცემა **„კვირის ამბები“** (გაერთიანებული რედაქციის მთავარი რედაქტორი **გიორგი მამაცაშვილი**) საუკუნოვან გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკასთან“** ერთად, რომლის განახლებული ლოგოს ავტორია **გიორგი ნადარეიშვილი.**



# კობა არაბული:

# მოულოდნელად შეიცვლებიან დრონი და ჩვენს დროში სხვა დრო ჩამოდგება!

**დროში სხვა დრო ჩამოდგება, კაცი იქმს ქალის საქმეს და ქალი კაცისას... ეს იქნება მეტად სახიფათო დრო კაცობრიობისთვის — აჯანყება ღმერთის წინააღმდეგ და ხალხის დასჯა ღმერთის მიერ...**

დროთა ცვლა და **სხვა დროთა ჩამოდგომა** მყისიერად მოხდება. შეიძლება დილით გაგეღვიძოს და **„სხვა დროში“** აღმოჩნდე. ის შეიძლება იყოს **სატანის ან შენი მტრის დრო,** რომელიც მიმართულია შენი ცნობიერების, შენი სახელმწიფოს, შენი ტრადიციებისა და კულტურის წინააღმდეგ.

***— გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ აღმდგარი ენჯეო-სექტორი და დასავლეთი, ქუჩაში გამოსული ახალგაზრდობა და დასანქცირების მუქარა — ეს ჩვენი პოლიტიკური რეალობაა და შედეგებზე პასუხი უახლოეს მომავალში გვეცოდინება. მანამდე კი მწერალი კობა არაბული ამ მოვლენებს მისტიკურ ჭრილში განიხილავს და მამა-პაპათა ანდრეზების მოშველიებით ხელისუფლებას მნიშვნელოვან რჩევას აძლევს:***

— ადრეც მითქვამს და კვლავაც საჭიროდ მიმაჩნია, შევახსენო ხალხსაც და ხელისუფალთაც **ქადაგთა ტექსტები,** რომლებიც ჩვენს დღევანდელობას ეხმიანება და სადაც ერის გადარჩენის კოდი დევს. ხალხური ანდრეზი ამბობს, **მოულოდნელად შეიცვლებიან დრონი და მოვლენები, ჩვენს**

**„ამერიკაში არც თამარ მეფე ყოფილა, არც – აღმაშენებელი, არც – გიორგი ბრწყინვალე, არც – გრიგოლ ხანძთელი და იოანე ზოსიმე, რომლის ხელნაწერიც, სხვათაშორის, ახლახან 1 250 000 გირვანქად გამოისყიდა გენიალურმა ქველმოქმედმა და ამ ქვეყნის ქომაგმა ბიძინა ივანიშვილმა!“**



**„ეს დრო დაგინგრევს ყველაფერს, რაც შეუქმნია შენს რასას, შენს ერს და წინაპრებს დიდი ხნის მანძილზე... შენ ვერ დაუპირისპირდები ამ მოვლენებში მას, თუ მომზადებული არა ხარ ღვთიური შთაგონებით, თუ განმტკიცებული არა ხარ რწმენაში რწმენით, შენი სამშობლოს სიყვარულით...“**

**— ამ ანდრეზის გახსენებით რისი თქმა გსურთ?**

— ქართველ ერს, იბერიულ რასას, ბევრჯერ ჩამოუდგა ასეთი **აპოკალიფსური დრო** ინდოევროპული ბარბაროსებიდან მოყოლებული დღემდე. ასურებმა, კიმერიელებმა, ხეთებმა თუ ბერძნებმა დაანგრიეს ჩვენი პრეისტორიული ცივილიზაცია. გაგვინადგურეს წინააზიური და კოლხურ-იბერიული კულტურები, სახელმწიფოები, მაგრამ ჩვენ შემოვაღწიეთ კავკასიის სიღრმეში „სოლარული სარტყლის“ საკრალურ არეალში და აქ გადავრჩით. **აქედან დავიწყეთ დაცვა და კონტრიერიში დევებისა და დევის ტიპის მოძალადე ბარბაროსების წინააღმდეგ მითოსური გმირების — ბადრი-უსუპისა და ამირანის, კოპალა-იახსარისა და პირყუშის გაჭედილი მახვილების მეოხებით.**

მოგვიანებით აქაც — კავკასიის საკრალურ სივრცეშიც შემოგვეჭრნენ მოძალადე ბარბაროსები არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლოიდური ურდოების, ჯალალედინის, თემურ ლენგის, შაჰ-აბასის და აღა-მაჰმად ხანის სახით. **მათ კავკასიის არეალშიც არა-**

## კვირგვინოსნები

**ილია მეორე**

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*



დიდი სიხარული მოგვანიჭა ცნობამ იმის შესახებ, რომ დღეს **„კრისტის“ აუქციონზე ქართული მხარის მიერ შეძენილ იქნა პალიმფსესტი.** განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით **ბიძინა ივანიშვილს,** რომელმაც, არაერთ საქვეყნო საქმესთან ერთად, **ჩვენი კულტურული საგანძური უმნიშვნელოვანესი ხელნაწერითაც გაამდიდრა.**

„პირველი არხი“

**ირაკლი კობახიძე**

*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**სანქციები არის არასერიოზული,** თუმცა, არასერიოზულთან ერთად **სანქციები არის შეურაცხმყოფელი** ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისთვის. იმედი მაქვს, რომ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი გადაიხედება.

„ახალი თაობა“

**კახა კალაძე**

*თბილისის მერი*



**იოანე ზოსიმეს ხელნაწერი წიგნი** საუკუნეების შემდეგ საქართველოს უბრუნდება — **ბიძინა ივანიშვილის უპრეცედენტო ქველმოქმედების შედეგად,** 979 წლით დათარიღებული ხელნაწერი წიგნი ეროვნულ მუზეუმს გადაეცემა.

„იმედინიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**

*პარლამენტის თავმჯდომარე*



26 ოქტომბერს იქნება ყველაზე იოლი არჩევნები — **ერთ მხარეს „ქართული ოცნება“,** რომელმაც უზრუნველყო, რომ ქვეყანა ვერავინ ჩაითრია ომში, **მეორე მხარეს კი — კოლექტიური შადიმანები და სერგო ორჯონიკიძეები.**

„ინტერპრესნიუსი“

**ერთხელ გაანადგურეს ჩვენი ქალაქები და კულტურა, სცადეს ჩვენი რასის აყრა და დეპორტაცია, მაგრამ ვერ ამოგვშალეს ცივილიზაციათა კატალოგიდან.** ვერ ამოშალეს ქართველთა გენეტიკური კოდი და, იცით, რატომ? ქართველი ყოველთვის გუმანით გრძნობდა **„სხვა დროთა“** ჩამოდგომას, მზაკვარი მტრის მოახლოებას და მზად იყო **ქაჯებთან** ომისათვის. სუფრასთან ფეხზე მდგომნი მიირთმევდნენ საკვებს, რომ მტერს მჯდომარეთათვის არ მოესწრო!

ჩვენ სულიერმა სინერგიამ — უფალთან კავშირმა გადაგვარჩინა. **„ქაჯებთან ბედისწერულ ომში“** ერთად იბრძოდნენ ხვთისშვილნი და მიწიერი „უხორცო“ მეომარნი, ანუ „მეომარნი უფლისანი, უშიშარნი ვითარცა უხორცონი“ და სულის საკრალურ ზღვარზე მდგარნი. „ბახტრიონშიც“ ასე არ იყო?

**წმინდა გიორგი მიაცილებდა ქართველთა ლაშქრებს და ჩვენ ამ ომებში გადავრჩით.**

ახლა რა ხდება? **რა დრონი და მოვლენანი ჩამოდგნენ? რა ტიპის მტერი გამოგვეცხადა?**

**— სწორედ ამ შეკითხვის დასმას ვაპირებდი თქვენთვის. ვინ არის ჩვენი მტერი და რა ჟამი უდგას დღეს საქართველოს?**

— როგორც რუსთაველი ამბობს — **დრო მოვიდა შარშანდელი!** ძველი ინდოევროპული ურდოები და ანგლოსაქსები, მოდერნიზებული ურჩხულის სახით შემოგვიბრუნდნენ და იბერთა ისტორიულ რასას, რომელიც მაშინ გადარჩა, შთანთქმას უქადიან!

ახლა ეს ცივილიზებული ბარბაროსები ხიფათს უქმნიან ჩვენს სუვერენიტეტს, კულტურასა და მენტალობას. მათ არ უნდათ იმ ევრაზიის დერეფანში, სადაც საქართველოა, სუვერენული სახელმწიფოს არსებობა, **ცარიელი ბაქანი** ურჩევნიათ. **არ სჭირდებათ თავისუფალი ერი, სახელმწიფო. მათ უნდათ მონური კოლონია — ჭრელი კონგლომერანტით — აბორიგენი რასის, ქართველების გარეშე.**

რუსებმა და თემურ ლენგმა ვერ მოახერხეს და ესენი ახერხებენ ქართველთა განდევნას საკუთარი მიწიდან, სიცრუითა და მოტყუებით, ბავშვური გადაბირებითა და ფულით. **არაბებმა და მონღოლოიდურმა ბარბაროსებმა ვერ წაართვეს ქართველ ერს რწმენა და მეობა, ეროვნული ცნობიერება და კულტურა, სამაგიეროდ, ეს ცივილიზებული ევროატლანტიკური ბარბაროსები გვიწერენ კანონებს და გვინგრევენ ცნობიერებას, გვაძალებენ ამორალურ თავისუფლებას, მიუღებელ ზნეობრივ კატეგორიებს.**

**ღიად, პირდაპირ თუ ირიბად, ყველა ხერხით ძალადობენ, მათ შორის, შინაურ მოღალატეთა, შიგნიდან ციხის გამტეხთა, ჩამშვებთა, დამსმენთა, ფსევდორეზიდენტთა და გაცოცხლებული დამპალი გვამების გამოყენებით.**

ვიცით, რა უბედურებაც დაატეხეს თავს ამ თითქოსდა ქრისტიანმა ევროპელმა კონკისტადორებმა ინდიელ და სამხრეთამერიკული უძველესი კულტურის მქონე ხალხებს, დღეს ჩვენ რომ გვევლინებიან ჭკუის მასწავლებლად და ჰუმანოიდებად. 10 ათასი ინდიელი გაჟლიტეს და რეზერვუარებში, ზოოპარკებში გამოამწყვდიეს. მაიას კულტურები ძირფესვიანად ამოთხარეს და ისტორიის მკვლევართათვის ერთი ფურცელიც არ დატოვეს. მიწასთან გაასწორეს კადაფის სახელმწიფო, ავღანეთი, ვიეტნამი...

ეს **ლიბერასტი ბარბაროსები** ასევე ცდილობენ, წაშალონ ისეთი მრავალსაუკუნოვანი ქვეყნის ისტორია, ტრადიცია და კულტურა, როგორიც საქართველოა. მოსყიდული **ტრანსგენდერულად გარდაქმნილი არასამთავრობოების** საშუალებით შიგნიდან ანგრევენ ამ ქვეყანას, მის მორალსა და ცნობიერებას.

ფაშისტურ-ლიბერალური პარტიების მიერ წაქეზებული მოღალატენი ასმენენ და ებრძვიან საკუთარ ქვეყანას სხვათა ქვეყნის პარლამენტებიდან და სენატებიდან. გარე ძალების მოსყიდულ, გადაბირებულ აგენტად იქცა ამ ქვეყნის ყურით მოთრეული პრეზიდენტი ზურაბიშვილიც, რომელიც ღიად ამზადებს სახელმწიფოს გადატრიალებას და, როგორც სხვა ყველა მსტოვარი, ჯერჯერობით დაუსჯელია. არადა, **დაუსჯელთა კასტა და დაუსჯელობის სინდრომი** თუ ვერ დასძლია ხელისუფლებამ, თავად დაისჯება. ასეთია ბუნების კანონი — **ბოროტებას თუ ვერ დასჯი, ის დაგსჯის შენ!**

ტრაგედიაა, რომ თინეიჯერები, მოსწავლე-ახალგაზრდებიც **ვიღაცამ** „ხიჩკოკის ჩიტებად“ აქცია და საკუთარ ქვეყანას, პარლამენტს, საზოგადოებას შეუსია.

**— ვინ არის ეს ვიღაც?**

— ეს არის პედაგოგ-ლექტორთა ის კასტა, რომელიც სააკაშვილმა ჩანერგა მის მიერ დანგრეულ საგანმანათლებლო სისტემებში და რომელმაც ახალგაზრდები საკუთარი მშობლის, სამშობლოსა და ხელისუფლების მტრებად აქცია.

დღეს ეს მოწამლული და გამრუდებული ფსიქიკის მქონე თაობა ბრმა იარაღია მზაკვარი პოლიტიკური პარტიებისა და მტრების ხელში. სამწუხაროდ, დაანგრიეს უნივერსიტეტები, აკადემიები, ინსტიტუტები, განათლების ეროვნული სისტემა, დაშალეს შემოქმედებითი კავშირები, საკუთარი ოფისებიდან განდევნეს მწერლობა, რასაც ზნეობრივი კოლაფსი მოჰყვა და რეჟიმს ამაზე პასუხიც არ უგია, მეტიც, ვერც ამ ხელისუფლებამ შეძლო მწერლობის დაბრუნება საკუთარ ადგილზე და ერი, ქვეყანა **ბულაძე-ამაღლობლების** ანაბარა დატოვა!

**— ანუ მამუკა ხაზარაძის ტუალეტის პოეტებზე მიანიშნებთ...**

— მაგათ ქვეყანაში ისეთი სუნი დააყენეს, რომ ჯობს, ზემოთ თქმულს დავუბრუნდე — ანდრეზი იმასაც გვეუბნება და გვასწავლის — **„ჩამოდგება დრო“, როდესაც ერი აიყრება საკუთარი მიწა-წყლიდან და დაისადგურებს უდაბური სოფლების და ნასოფლარების სასოწარმკვეთი მარტოობა, მაგრამ დადგება ჟამი, როდესაც აყრილი ერი უკან დაიწყებს შემობრუნებას საკუთარ ისტორიულ სამშობლოში.** ეს არ იქნება ადვილი პროცესი. უკან მობრუნებულებს აღარ დახვდებათ თემი, იქნება ცარიელი სახლები და ნასახლარები. ბევრი მოკვდება შიმშილითა და ავადმყოფობით — ეს ტექსტიც **ფხოველ ქადაგს** ეკუთვნის. ამ ქადაგების პირველი ნაწილი გაცხადებულია. ახლა დგება მეორე, **უკან მობრუნების ფაზა** არანაკლები ტრაგიკული, აპოკალიფსური მოვლენებით.

საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებსა და მამულიშვილთ, რომლებიც საკუთარ სამშობლოს მეოხად და მაშველად უდგანან, რომლებიც მტრის ბრძანებებს შეეწინააღმდეგნენ და ხმა ამოიღეს ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად, სამწუხაროდ, შეურაცხყოფენ, აშანტაჟებენ, სანქციებსა და ჯარიმებს უწესებენ. ამასთან დაკავშირებით თქვენს გაზეთში საგანგებო განცხადება უნდა გავაკეთოთ.

**საბედნიეროდ, „ასავალ-დასავალი“ ერთადერთი გაზეთია, რომელსაც შეუძლია განგაშის ატეხა, რაიმეს**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

# გამოცხადება

**და ვიხილე**
**ახალი ცა**
**და ახალი**
**ვნახე მიწა,**
**ზღვა ხმელეთად**
**გადაიქცა,**
**მზის საწოლზე**
**მთვარე მიწვა...**

**გაანათა**
**სიტყვამ უფლის**
**ცოდვა —**
**ვერცხლზე**
**გადაცვლილი,**
**სასთუმალთან**
**დადგა სუფრის**
**ცოცხალი და**
**გარდაცვლილი.**

**უპასუხებ,**
**კართან მდგარი,**
**ვით იცხოვრე**
**აქამომდე? —**
**რომ მიწაზე**
**ერთხელ მკვდარი**
**აწი მაინც**
**აღარ მოკვდე!**

**ლაშა ნადარეიშვილი**



**„ჩამოდგება დრო“, როდესაც ერი აიყრება საკუთარი მიწა-წყლიდან და დაისადგურებს უდაბური სოფლების და ნასოფლარების სასოწარმკვეთი მარტოობა,**

**მაგრამ დადგება ჟამი, როდესაც აყრილი ერი უკან დაიწყებს შემობრუნებას საკუთარ ისტორიულ სამშობლოში. უკან მობრუნებულებს აღარ დახვდებათ თემი, იქნება ცარიელი სახლები და ნასახლარები. ბევრი მოკვდება შიმშილითა და ავადმყოფობით — ეს ტექსტი ფხოველ ქადაგს ეკუთვნის.**

**ამ ქადაგების პირველი ნაწილი გაცხადებულია. ახლა დგება მეორე, უკან მობრუნების ფაზა არანაკლები ტრაგიკული, აპოკალიფსური მოვლენებით!“**

## კვირგვინოსნები



**ედიშერ გვენეტაძე**
*ექსპერტი*

უშლიდა ვინმე **ქალბატონ გიულის, ნაყოფიას, კეზერაშვილს, ხაზარაძეს, ჯაფარიძეს, ოქრიაშვილს** ამ უნიკალური კულტურის ძეგლის შესყიდვას და ერისათვის ჩუქებას? რა თქმა უნდა, არა... მაგრამ ამ სუბიექტებს, **ბატონი ივანიშვილისაგან განსხვავებით,** საქართველო ფულის საშოვნელ-წასაგლეჯ ადგილად მიაჩნიათ და არა სამშობლოდ!

„იმედინიუსი“



**ზურაბ ქადაგიძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*

ის ამაგი, რაც **ბიძინა ივანიშვილს** და მის ოჯახს აქვს გაწეული საქართველოსთვის, **ისტორიაში ოქროს ასოებით შევა** — მისი ყველა ნაბიჯი და ნამოქმედარი ქართულ სახელმწიფოს ხმარდება.

„იმედინიუსი“



**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*

უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, **ვართ თუ არა პირველი კანონმდებლები მსოფლიოში,** რომლებიც დაასანქცირეს კანონის მიღების გამო!

„საქართველოს რესპუბლიკა“



**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*

საქართველო და საქართველოს ხელისუფლება **მოიქცევა ისე და მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებებს,** რომლებიც არის საქართველოსა და ჩვენი მოქალაქეების ინტერესებში.

„რეზონანსი“



**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*

ყველას გპირდებით, რომ **ჩვენი სახელმწიფო იქნება დამოუკიდებელი და სუვერენული** და სწორედ ჩვენი სუვერენიტეტით, ღირსებით და იდენტობით **გავხდებით ევროკავშირის წევრი.**

„ინტერპრესნიუსი“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

## გადარჩენა, მხარდაჭერა ან პროტესტი!

**— შეგიძლიათ, თამამად ბრძანოთ თქვენი სათქმელი...**

— **ძვირფასო პარლამენტარებო და მთავრობის წევრებო, ბატონებო და ქალბატონებო,** რაც ამერიკამ დაგიწესათ, ეს სანქციები კი არა, ჯილდოა თქვენი პატრიოტიზმისთვის, სამშობლოს მოვლისთვის, ერის, სახელმწიფოს მენტალობისა და სუვერენიტეტის დაცვისთვის! **გული არ დაგწყდეთ, პირიქით, უნდა გიხაროდეთ, გამოთაყვანებული ბაიდენის მასონურმა ხელისუფლებამ „ღირსების“ სანქცია რომ მოგანიჭათ.** ძალიან კარგი, თუ ამერიკაში ან გამოტრანსგენდერებულ ევროპაში არ წახვალთ. ამერიკაში არც თამარ მეფე ყოფილა, არც — აღმაშენებელი, არც — გიორგი ბრწყინვალე, არც — გრიგოლ ხანძთელი და იოანე ზოსიმე, რომლის ხელნაწერიც, სხვათაშორის, ახლახან 1 250 000 გირვანქად გამოისყიდა გენიალურმა ქველმოქმედმა და ამ ქვეყნის ქომაგმა ბიძინა ივანიშვილმა! ჰოდა, ამერიკაში არც რუსთაველი ყოფილა, არც — ვაჟა ფშაველა და არც — ჩემი პაპა, ფხოვის სჯულისმდებელი **დიდი აბა.** თქვენ რაღა გესაქმებათ?! ისინი საკუთარ სამშობლოში ცხოვრობდნენ და აქედან იცავდნენ მის ინტერესებს!!!

დარჩით თქვენს სამშობლოში და მოუარეთ მას. განდევნეთ შიდა მტერი შიგნიდან და არ შემოუშვათ გარე მტერი გარედან, მით უფრო, საკუთარი სამშობლოს დასასმენად ჩაბრძანებული მოღალატეები და მავნებლები! ამ ტიპის დამნაშავეებს დავით აღმაშენებელი, გნებავთ, გიორგი ბრწყინვალე ან მეფე ერეკლე ძელზე სვამდნენ, თავებს აყრევინებდნენ და დევნიდნენ საკუთარი ქვეყნიდან.

## თქვენ თვითონ დაუწესეთ სანქციები ანგლოსაქს მასონ ჯაშუშებს და კიდევ უფრო გაამკაცრეთ კანონები, სახელმწიფოს დაცვის რეჟიმი. მიჰბაძეთ დავით აღმაშენებელს და შექმენით ღამის სარანგთა და საზღვრის ვეშაგთა რაზმები!

ქართველი ერი არ გიწესებთ სანქციებს. **შედით თქვენს ისტორიულ კუთხეში, აღადგინეთ ძველი სიმაგრეები, სადაც თემურ ლენგების და მონღოლების შემოსევის ჟამს ან კიდევ უფრო ძველ დროში შედიოდა ერი და ინარჩუნებდა არსებობას.** აღადგინეთ ისტორიული კოშკები, სარანგთა სადგომები, ქვიტკირიანი სოფლები, მოაწყვეთ ხეობათა წიაღში ახალი სამოსახლოები, დადგით მცირე, მარტივი ტიპის კოტეჯები და შეუშვით იქ, თუნდაც, დასასვენებლად თქვენი ოჯახები, შვილები, შვილიშვილები... შეუშვით ბავშვთა ბაღები და ბანაკები, ამ სამოთხეში ამყოფეთ ქალაქის სმოგში ჩარჩენილი ახალგაზრდები, მათ ხომ იქ ბუნება და ღმერთი ელოდებათ!

როცა ნოეს კიდობანი შემოდგა ფხოვის ხეობაში, შუბანის ჯვარში რიტუალი ტარდებოდა. კიდობნის გველი კარატის სალოცავში შევიდა და იქ მკურნალი ტყავი დატოვა. წარღვნის დროს იქ, თურმე, ჟამის წირვის რიტუალი ტარდებოდა. ე.ი. სიცოცხლე იქ წარღვნამაც კი ვერ შეწყვიტა. ეს მითოსურ-ანდრეზული ინფორმაციაა, ხევსურთა ანდრეზი კი არ ტყუის. ის ყოველთვის მართალია — გაცხადებული ან გაცხადებადი **რომელსამე დროში...**

**დაბოლოს...**

ქართველი ხალხი გადავრჩებით იმ ქოხებსა და მაჩუბებში, უფლის დაცულ საკრალურ ადგილებში, უძველეს მამულებსა და ხოდაბუნებში, სადაც „ქერ-ოქრო“ ხარობდა, სადაც ადამიანთა სივრცეს ჰაერის გამჭვირვალე აურა ადგას და ჭიუხებიდან მონაბერი ქარები ფილტრავენ. **ხსნა ისევ ბუნებაშია. მთელი სამყარო შეიძლება დაინგრეს, მაგრამ ვაჟას ქოხი, იმერული ოდა და მეგრული ფაცხა დარჩება.** ამას ჩვენი მითები ამბობს.

**დაბრუნდით და იყავით თქვენს სამშობლოში, იქ არ დაგჭირდებათ ვიზები. ეს არის ჩვენი სამშობლო, აქ გადავრჩით საუკუნეთა წარღვნებში და აქ გადავრჩებით მომავალშიც!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***




**„წმინდა გიორგი მიაცილებდა ქართველთა ლაშქრებს და ჩვენ ამ ომებში გადავრჩით!“**



**„უნდა გიხაროდეთ, გამოთაყვანებული ბაიდენის მასონურმა ხელისუფლებამ „ღირსების“ სანქცია რომ მოგანიჭათ. ძალიან კარგი, თუ ამერიკაში ან გამოტრანსგენდერებულ ევროპაში არ წახვალთ!“**

## კვირგვინოსნები



**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*

ჩვენ მთავარ გამოწვევად გვექნება **სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა და არეულობის თავიდან აცილება.** ჩვენ არ ვართ ჩაბღაუჭებული ხელისუფლებას. **თუ აგვირჩევთ, ვიქნებით, თუ არ აგვირჩევთ, არ ვიქნებით.**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**გიორგი ამილახვარი**
*განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი*

დამტკიცდა ზოგადი განათლების **ეროვნული მიზნების** ახალი დოკუმენტი, სადაც მთავარი ორიენტირი გაკეთდა **მოსწავლეებში პატრიოტიზმის, ეროვნული სულისკვეთების, ეროვნული იდენტობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების, ოჯახის ინსტიტუციის პატივისცემის,** ზოგადსაკაცობრიო და უნივერსალური ღირებულებების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაზე.

„იმედინიუსი“



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*

**სანქციების გამო** ქვეყნის ინტერესების დაცვაზე უარს არ ვაპირებთ — **გვირჩევნია, ვიყოთ დასანქცირებულები,** ვიდრე ჩვენს მოქალაქეებსა და ახალგაზრდებს ომში მიწვევის შეტყობინებები მიუვიდეთ.

„იმედინიუსი“



**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*

თუ ოპოზიცია ეწინააღმდეგება **ლგბტ პროპაგანდის აკრძალვას,** მობრძანდნენ, კეთილი ინებონ და განაცხადონ, მაგრამ მაშინ **მიიღებენ ქართველი ხალხის რისხვას** და ამას კარგად აცნობიერებენ.

„იმედინიუსი“



# ჩვენს ქვეყანაში აღარ ჩამოდიან!

***„ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ცოტა ხნის წინათ ვწერდით ქართული მუსიკალური ჯგუფის — „ნიკოს ბენდის“ სიმღერაზე, რომელსაც „ქართული დისკო“ ჰქვია და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ისეთი სუპერპოპულარულია, მისივე პირველწყარო — „იტალიური დისკო“ ახლოსაც ვერ მივა.***

გაგახსენებთ, რომ „ქართული დისკო“ იმ ცნობილი უცხოური მუსიკალური ბენდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების ჩამოთვლით იწყება, რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოში ჩამოსულან და კონცერტები ჩაუტარებიათ:

**„ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან „ქილერსი“,**
**„მარონ ფაივი“,**
**(აქ იყო ჯეიმს ბრაუნი);**
**სტინგი სამჯერაც ნამყოფია,**
**მე თვითონ ვნახე ლაივი,**
**ჯიფსიმ იცეკვა ჯაივი.**
**შაკირამაც იმღერა,**
**ელტონ ჯონმაც დაუკრა,**
**„ბონიემზეც“ ვიცეკვეთ,**
**დავიღალეთ.**
**იმხელა სტადიონი**
**„დრაკონებმა“ დახურა,**
**ბრუნო მარსიც ჩამოვა**
**სულ მალე“.**

და ასე შემდეგ...

„ქართული დისკოს“ ამ ჩამონათვალში არ გვხვდება ბრიტანული მუსიკალური ჯგუფი „Massive Attack“ **(„მასიური შეტევა“),** რადგან იგი საქართველოში აქამდე არ ჩამოსულა, თუმცა კი, **ამა წლის 28 ივლისს აპირებდა ჩამოსვლას,** რათა ქართველი მსმენელის წინაშე შეკვეთილში, „ბლექ სი არენას“ გრანდიოზულ სცენაზე ემღერა.

შეკვეთილში გასამართ **„მასიური შეტევის“** კონცერტზე ბილეთებიც თითქმის სრულად იყო გაყიდული, მაგრამ ბრიტანულმა ბენდმა საქართველოში გასტროლი გააუქმა — **მანდ, თურმე, ადამიანის უფლებები ირღვევა და სახელმწიფო მშვიდობიან მომიტინგეებზე ძალადობსო!**

რაც მოხდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს — **გამჭვირვალობის ქართული კანონის გამო კრაზანებივით აშლილმა უცხოური გავლენის აგენტებმა „მასიურ შეტევას“ სოციალურ ქსელებში მასიურად შეუტიეს — ჩვენმა ხელისუფლებამ „რუსული კანონი“ მიიღო, საქართველოში ტოტალიტარიზმი დამყარდა და ჩამოსვლისაგან თავი შეიკავეთო!**

მოკლედ, რაც **ორმა ქართველმა პავლიკ მოროზოვმა — ვანო ჩხიკვაძემ და ნატალია საბანაძემ** საქართველოს შესახებ ამერიკის კონგრესში ილაპარაკა, **იგივე სისულელეები და სიცრუეები მისწერეს ბრიტანულ მუსიკალურ ჯგუფს კოლექტიურმა ლომჯარია-გიგაურებმა და ლაზარე გრიგორიადისებმა,** რომლებმაც აღარ იციან, საქართველოს საიდან შეუტიონ და ქვეყნის რეპუტაცია როგორ დააზიანონ.

ჰოდა, **„მასიური შეტევის“ მუსიკოსები ჩვენს ქვეყანაში აღარ ჩამოდიან!**

ბრიტანულმა ჯგუფმა სოციალურ ქსელში განცხადება გამოაქვეყნა:

*„ამ მომენტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ Black Sea Arena-ზე გამოსვლა შეიძლება, ჩაითვალოს მშვიდობიანი პროტესტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ ძალადობრივი ჩახშობის მოწონებად. ცემა, დაპატიმრება, მუქარა და ძალადობა მშვიდობიანი მომიტინგეების, აქტივისტებისა და ოპონენტების მიმართ, კანონებთან ერთად, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციას ეწევა და უარყოფს ლგბტ ადამიანების უფლებებს, ეწინააღმდეგება ყველაფერს, რასაც ჩვენ მხარს ვუჭერთ“.*

**„მასიურმა შეტევამ“, ალბათ, არ იცის, რომ** საქართველოში „მშვიდობიან მომიტინგეებზე“ არავის უძალადია და პოლიციამ ლეგიტიმური ძალა მხოლოდ იმ მეპროტესტეთა წინააღმდეგ გამოიყენა, რომლებიც გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს ძალადობრივად გასცდნენ!

**„მასიურმა შეტევამ“, ალბათ, არც ის იცის, რომ** საქართველოში მიღებული გამჭვირვალობის კანონი „სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციას“ კი არ ეწევა, არამედ მხოლოდ იმას ითვალისწინებს, რომ უცხოეთიდან დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა წელიწადში ერთხელ ფინანსური დეკლარაცია შეავსონ!

**„მასიურ შეტევას“ არც ის ეცოდინება, რომ** საქართველოს პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები „ლგბტ ადამიანების უფლებების უარყოფას“ კი არა, ლგბტ პროპაგანდისაგან ბავშვების დაცვასა და ტრადიციული ოჯახური ღირებულებების განმტკიცებას ემსახურება!

კაცმა რომ თქვას, **ბრიტანული მუსიკალური ჯგუფი არც არის ვალდებული, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების ანატომია იცოდეს,** მაგრამ „მასიური შეტევა“ საქართველოს დემაგოგი კონგრესმენებისა თუ ევროპარლამენტარების სტილში სანამ შემოუტევდა და „ბლექ სი არენაზე“ დაგეგმილ კონცერტს გააუქმებდა, **უპრიანი იქნებოდა, კარგად შეემოწმებინა,** რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის მაბეზღარი წერილები, რომლებიც ქართულმა ენჯეოებმა ელექტრონულ ფოსტასა თუ სოციალურ ქსელში მისწერეს.

რაც ყველაზე მთავარია, **„მასიური შეტევის“** განცხადება — **საქართველოში კონცერტს ადამიანის უფლებების დარღვევისა და სახელმწიფოს ძალადობრივი ქმედებების გამო ვაუქმებთო, თაღლითობა და ფარისევლობა გახლავთ!**

დიახ, ბრიტანულ მუსიკალურ ჯგუფ **„მასიურ შეტევას“** სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევა, მიტინგების დარბევა, სამოქალაქო საზოგადოებისა თუ ლგბტ პირების შევიწროება რომ ადარდებდეს, რუსეთში არ ჩავიდოდა და 2010 წელს — სანკტ-პეტერბურგში, 2018 წელს კი მოსკოვში კონცერტებს არ გამართავდა!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **„მასიური შეტევის“ მიერ საქართველოში კონცერტის გაუქმება იმ მასიური შეტევის ნაწილია, რომელსაც ქართული სახელმწიფო საერთაშორისო ლიბერალური პოლიტმაფიის მხრიდან განიცდის!**

გეგონება, საქართველოს **ფოტიბა-კრამონებიც, როთიბიუიმანტასებისა და რიშიშაჰინების** მასიური შემოტევა არ ჰყოფნიდეს, ახლა ამ პოლიტიკურ რეკეტიორებს მუსიკალური **„მასიური შეტევაც“** დაემატა!

ჰო, **„მასიური შეტევა“** გვეუბნება — **თუ გინდათ, თქვენს ქვეყანაში ჩამოვიდეთ, მაშინ ენჯეოების ფინანსური გამჭვირვალობა არ უნდა დააკანონოთ, ლგბტ პროპაგანდა არ აკრძალოთ და მომიტინგეებს, რომლებიც პოლიციელებს ქვებს ესვრიან და პარლამენტის შენობაში შეჭრას ცდილობენ, უბატონოდ ხმა არ გასცეთო!**

რუსეთში ორჯერ ნაგასტროლები **„მასიური შეტევის“** ამ პოლიტიკურ ფარისევლობაზე ქართველ საზოგადოებას ერთადერთი პასუხი უნდა ჰქონდეს — **თუ არ ჩამოხვალთ, თავში ეკა გიგაური გიხლიათ და მუცელში — ლაზარე გრიგორიადისი!**

საქართველო არც „მასიური შეტევის“ კონცერტის ჩაშლას იდარდებს და უცხოური გავლენის აგენტებისა და მათი პატრონების მასიურ შეტევასაც წარმატებით მოიგერიებს!

***ჯაბა ხუბუა***

## „მასიურ შეტევას“ სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევა რომ ადარდებდეს, რუსეთში არ ჩავიდოდა და სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში კონცერტებს არ გამართავდა!





## რუსეთში ორჯერ ნაგასტროლები „მასიური შეტევის“ პოლიტიკურ ფარისევლობაზე ქართველ საზოგადოებას ერთადერთი პასუხი უნდა ჰქონდეს: თუ არ ჩამოხვალთ, თავში ეკა გიგაური გიხლიათ და მუცელში - ლაზარე გრიგორიადისი!

## კვირგვინოსნები

### სალომე ზურაბიშვილი
*საქართველოს პრეზიდენტი*



მიხარია, რომ დღეს ჩვენი პრემიერი **აღარ საუბრობს დასავლეთზე, როგორც „ომის პარტიაზე“,** უკრაინას სოლიდარობა გამოუცხადა, შეიძლება, ფერისცვალება მოხდა — თუ ეს ასეა, ვულოცავ, **შემოგვიერთდეს და ხელი მოაწეროს „ქართულ ქარტიას“.**

„ინტერპრესნიუსი“

### გია ვოლსკი
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



საოცრებაა, მაგრამ **კოლექტიურ ნაცმოძრაობას სათავეში სწორედ სალომე ზურაბიშვილი ჩაუდგა** იმიტომ, რომ ახალგაზრდების გული დაიპყროს და მათ კისერზე შემომჯდარი **ხელისუფლების სადავეებთან მოვიდეს.**

**ძალადობა წარმოშობს ძალადობას** და წყარო არის იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია **ზუკა ბერძენიშვილი.**

„ინტერპრესნიუსი“

### ფრიდონ ინჯია
*„ევროპელ სოციალისტების“ ლიდერი*



ნათლად ჩანს, რა უნდა დასავლეთს — მიზანი აქვთ, **დაიპყრონ საქართველო და იყოს მართვადი კოლონია.**

„ინტერპრესნიუსი“

### იაგო ხვიჩია
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ვთქვათ, აღმოაჩინონ, რომ **რომელიმე მშობელი ლგბტ-ია, შვილს წაართმევენ, თუ როგორ იქნება?** ბევრი კითხვა არსებობს ამ თემასთან დაკავშირებით, რითიც კომიტეტებზე გავერთობით.

„ახალი თაობა“

***წინა კვირას, როგორც კი საინფორმაციო საშუალებებითა და სოციალური ქსელებით გამოცხადდა, „კრისტის“ აუქციონზე იოანე ზოსიმეს მიერ გადაწერილი უძველესი ქართული პალიმფსესტი მილიონ გირვანქა სტერლინგად იყიდებაო! მაშინვე ე.წ. ფეისბუქპოსტი გამოვაცხვე — ქართველებო, ეს ხელთუქმნელი ძეგლი იყიდეთ-მეთქი!***

# ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში იოანე ზოსიმე დააბრუნა!

გული მეუბნებოდა, სავარაუდოდ, ვინ იყიდდა 1600-წლოვან უწმინდეს რელიკვიას, რომლის არამეულ დედანსაც **979 წელს** უდიდესმა ქართველმა ჰიმნოგრაფმა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის მესაძირკვლემ **იოანე ზოსიმემ** თავისი განუმეორებელი ხელრთვითა და ნუსხა-ხუცურით ქართული ტექსტი გადააწერა, **მაგრამ ამას რომ ვწერდი, ქვეცნობიერად იმ უსინდისო 500 ქართველ მილიონერს — ჰალსტუხიან ღორებსაც ვეჯაჯგურებოდი სინდისზე — აბა, ბიჭო, გაიკარით ჯიბეზე ხელი და ცხოვრებაში ერთი სიკეთე მაინც გააკეთეთ საქართველოსთვის, რადგან, როცა ჯოჯოხეთში მოხვდებით, იქაური გოგირდის სუნი თქვენმა სიმყრალემ არ გადაფაროს-მეთქი!**

არც **ხაზარ-ფაშა მამუკა ხაზარაძესა** და არც „კოკა-კოლას“ გამყიდველ **ელტონ ჭყონიას** იოანე ზოსიმესა და საქართველოს ეროვნული კულტურისთვის არ სცალიათ, ან კი როგორ ეცლებათ, როცა ხაზარაძეს თავისი ლგბტ „უბორნიისთვის“ და **პირადად ლაშა ბუღაძისა და რატი ამაღლობელისათვის** ვიბრატორების დიდი პარტია აქვს შეკვეთილი, ხოლო ელტონ ჭყონიას თავისმა ქალიშვილმა, **ნეტარმა ქალწულმა სოფომ** ახალი ატრიბუტებისა და აქსესუარების შეძენა სთხოვა იმ მორიგი გეი-ფართის მოსაწყობად, რომელიც 2021 წლის 16 მაისს გეი-მანიფესტზე ხელმომწერი 15 გეი-პარტიის ლიდერის მონაწილეობით საარჩევნოდ რუსთაველის პროსპექტზე უნდა გაიმართოს.

ცხადია, ამ ფონზე ვერც **ხაზარ-ფაშა მამუკა** და ვერც **ელტონ ჭყონია** იოანე ზოსიმესა და მისი უკვდავი ხელნაწერისთვის ვერ მოიცლიდნენ. სამაგიეროდ, მოიცალა იმან, ვინც ყველას გვეიმედებოდა — **ბიძინა ივანიშვილმა,** რისთვისაც მას მადლობას ვწირავ!

ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ **ბიძინა ივანიშვილმა** ათასი წლის შემდეგ **იოანე ზოსიმე** საქართველოში დააბრუნა, რათა ქვეყნის ეროვნული იდეოლოგიის შემქმნელს, **რომელმაც ქართულ ენას მსოფლიოში ყველა დანარჩენ ენაზე უპირატესი და აღმატებული ფუნქცია მიანიჭა,** თვალნათლივ დაენახა ის პარტახი და დაცემა, რომელიც ნაძირალა ქართველებმა მის სათაყვანებელ ქვეყანას დამართეს!

**„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად. რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჱან!“** — ეს **იოანე ზოსიმეს** მიერ შექმნილი ის ღვთაებრივი პოსტულატია, რომელიც **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“**-ის დედოძარღვს წარმოადგენს. ამ სენტენციამ საქართველოს პირველ პრეზიდენტს **ზვიად გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისსია“** დააწერინა.

ქართული იდენტობა და ეროვნული იდეოლოგია სამ კაცზე დგას — **ვახტანგ გორგასალზე, გიორგი მერჩულესა და იოანე ზოსიმეზე!**

წმინდა მეფე **ვახტანგ გორგასალმა** ქართველებს დაგვიბარა — **„ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს და ნუ დაუტევებთ გზასა ბერძენთასა!“**

**გიორგი მერჩულემ** უდიდესი მამის, წმინდა **გრიგოლ ხანძთელის** გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, 951 წელს, ხანძთის სავანეში დაწერა **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“** და ქართველებს დაგვიტოვა გრიგოლისეული უნიკალური ფორმულა-განსაზღვრება საქართველოსი, ანუ „ქართლისა“ — **„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძნულად ითქმის, რომელ არს ქართულად: „უფალო წყალობა-ყავ“, გინა თუ: „უფალო, შეგჳწყალენ!“**

სწორედ ამიტომ იყო, რომ უდიდესი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს **პავლე ინგოროყვას** ბრწყინვალე გამოკვლევა — **„გიორგი მერჩულე“** კრემლმა და ადგილობრივმა ქართველმა ძაღლიშვილებმა დაჩეხეს, შეკვეცეს და, ფაქტობრივად, აკრძალეს!

რაც შეეხება **იოანე ზოსიმეს,** მან ქართული ენა ღმერთის ენად გამოაცხადა და სხვა ენებთან შედარებით აღმატებული მისია სწორედ მას დააკისრა, — **მეორედ მოსვლის ჟამს უფალმა ყველა ამ ენით უნდა ამხილოსო!**

მოკლედ, თუ მე-9 საუკუნეში **გრიგოლ ხანძთელი** ჯერ კიდევ იმას ფიქრობს, რომ საქართველოში ლოცვის დროს **„კვირიელეისონი“,** ანუ **„უფალო შეგვიწყალენ“** ბერძნულად უნდა თქმულიყო, ერთი საუკუნის შემდეგ, მეათე საუკუნეში, სინას მთაზე მოღვაწე ქართველი ბერი **იოანე ზოსიმე** გვარწმუნებს — **ქართული ენა დამარხულ არს უფლის მეორედ მოსვლამდე, მას ლაზარე ჰქვია და მეორედ მოსვლის ჟამს უფალი იესო ქრისტე მხოლოდ ქართულ ენაზე განიკითხავს ყოველ სულიერსო!**

ერთი სიტყვით, **ვახტანგ გორგასალი** იწყებს, **გიორგი მერჩულე** აგრძელებს და **იოანე ზოსიმე** ასრულებს და გვირგვინს ადგამს იმ იდეოლოგიას, რომელიც მე-19 საუკუნეში **ილია ჭავჭავაძემ** სამ სიტყვაში შეანივთა, როგორც მაქსიმა — **„მამული, ენა, სარწმუნოება!“**

არავინ იცის, რისთვის წავიდა და გადაიკარგა იოანე ზოსიმე საქართველოდან... იქნებ ვინმე უყვარდა, იქნებ ჭაბუკი წმინდა გრიგოლ ხანძთელის მსგავს არქიმანდრიტს ვერ შეხვდა და ის არქიბანდიტები გადაემტერნენ, რომლებითაც გამოტენილია საქართველოს დღევანდელი ეკლესია... ნებისმიერ შემთხვევაში, მის თავს რაღაც მოხდა, თორემ სამშობლოში ერთხელ მაინც ჩამოვიდოდა და ერთ ხელნაწერს მაინც დაგვიტოვებდა. **ცნობისათვის, იოანე ზოსიმეს არცერთი ხელნაწერი დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი არ არის...**

იოანე ზოსიმე ქართველ კაცს აღმერთებდა...

გასაოცარი შინაარსისა და ქართველებისადმი უკიდეგანო სიყვარულის დამტევია მისი ერთი მინაწერი — **„ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და მიქაელ, გაბრიელ, კვირიკე, გიორგი, იოანე და ყოველნი ძმანი ქრისტეანენი და უფროის ყოველთასა ყოველნი ქართუელნი!“**

ანუ **იოანე ზოსიმე** ყველა ქრისტიანს ლოცავდა, მაგრამ განსაკუთრებით ქართველების გადარჩენას ავედრებდა მამაზეციერს...

აი, ასეთი კაცი გაგვიცოცხლა და ასეთი კაცის ხელნაწერი გვაჩუქა ქართველებს **ბიძინა ივანიშვილმა,** რაც დასაფასებელია!

ისტორიის ქარბორია წარხოცავს **ბიძინა ივანიშვილის** შეცდომებს... **მომავალი დროის მეისტორიეებს აღარ ეხსომებათ რომ სამი რეგვენი, არარაობა და აგენტი — მარგველაშვილი, გახარია და ზურაბიშვილი სწორედ ბიძინა ივანიშვილის პერიოდში შემოესიენ საქართველოს. იმასაც დაივიწყებენ,** რომ პარლამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, სუს-ი და ყველა დანარჩენი სამინისტრო თუ დეპარტამენტი მამალი ნაცებითაა გამოტენილი და როგორც ორი მანათობელი ბრილიანტი — 31 მარტის ისტორიული რეფერენდუმი და 9 აპრილს გამოცხადებული თავისუფლება, ისტორიას სწორედ ისე შემორჩება **ბიძინა ივანიშვილის ორი უდიდესი ქველმოქმედება,** რომელიც ქველმოქმედების მასშტაბებს სცდება — **წმინდა სამების ტაძარი და იოანე ზოსიმეს ხელნაწერი!**

იოანე ზოსიმეს ამ კონკრეტულ ხელნაწერს განსაკუთრებულ საკრალურ დატვირთვას სძენს ის ფაქტი, რომ დიდი საქართველოს ერთ-ერთმა იდეოლოგმა მე-5-7 საუკუნეებში შექმნილ არამეულ პალიმფსესტზე ქართული ტექსტი მაინცდამაინც 979 წელს გადააწერა.

**979 წელი** ის სანიშანსვეტო თარიღია, როცა **დავით მესამე კურაპალატმა** შეისმინა ბიზანტიის საიმპერატორო კარის თხოვნა, კერძოდ, **დედოფალ**

## იოანე ზოსიმეს ხელნაწერში გადახდილი 1 250 000 გადაწონის იმ მილიარდებზ, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს უანგაროდ მოახმარა!



## ქართული იდენტობა და ეროვნული იდეოლოგია სამ კაცზე დგას – ვახტანგ გორგასალზე, გიორგი მერჩულესა და იოანე ზოსიმეზე!

### კვირგვინოსნები

**ამირან გიგუაშვილი**
*ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახის ადვოკატი*



ჩვენ სასამართლოს წარვუდგენთ **სიცრუეზე და ცილისწამებაზე დაფუძნებულ ათობით სიუჟეტს,** რომლებიც წლების განმავლობაში მზადდებოდა **„ნოდარ მელაძის შაბათის“** მიერ ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილის** ოჯახის წინააღმდეგ. ჩვენი მიზანია, კანონით დადგენილი წესით, **თავად „ტვ პირველმა“ აღიაროს, რომ ეს სიუჟეტი იყო სიცრუე.** საზოგადოება კარგად დაინახავს, რომ, როგორც ქარხნის შეძენა ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილის** ოჯახის მიერ, ისე შემდგომში გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება ფრანგ ინვესტორთან, **სრულად შეესაბამება კანონმდებლობას** და რომ მთელი ეს ცილისწამების კამპანია ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილის** და მისი ოჯახის დისკრედიტაციის მცდელობას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სოზარ სუბარი**
*პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



**დონალდ ტრამპის** საქმის მოსამართლე **ჯო ბაიდენის** მომხრე და მისი წინასაარჩევნო კამპანიის შემომწირველია. წარმოიდგინეთ, საქართველოში რომ მსგავსი რამ მომხდარიყო, **სანქციები შეიძლება სანატრელი გამხდარიყო.**

„იმედინიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ანა ფოტიგა და ვიოლა ფონ კრამონი** ჩვენი ჭკუის დარიგებით, შიდა პოლიტიკაში ჩარევით იყვნენ დაკავებული, აღმოჩნდა, **რომ თავიანთი ქვეყნების საზოგადოების ლეგიტიმაციაც არ ჰქონიათ.**

„პირველი არხი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს, **ფსიქიკურ ტერორზეა გადასული,** ჩნდება კითხვა, ევროკავშირისთვის რა ფასეულობებია მისაღები?

„პირველი არხი“

ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო სახიერად იოანე ზოსიმე, მაგრამ ვიცით, როგორ გამოიყურებოდა თორნიკე ერისთავი!




**თორნიკე ერისთავის ფრესკა ათონის ივერონის მონასტერში**

**თორნიკე ერისთავმა ბიზანტიური ოქრო-ვერცხლით ათონის მთაზე ქართული სავანე გააძლიერა და შეამკო...**

საქართველომ მაშინ უდიდესი მისია შეასრულა როგორც კულტურულად, ისე სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით და მსოფლიოს ნომერ პირველი სახელმწიფო — ბიზანტიის იმპერია დაცემისგან იხსნა!

მომხდარი უფრო თვალნათლივ რომ გავისიგრძეგანოთ, ასეთ შედარებას გავაკეთებთ: **დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომი რომ დაიწყოს, საქართველომ ოკეანის გაღმა არმია გაგზავნოს და გამოჩერჩენკოებული ბაიდენი დამხობას გადაარჩინოს, აი, სწორედ ეს გააკეთეს ქართველებმა 979 წელს, როცა ბიზანტია გადაარჩინეს!**

ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო სახიერად **იოანე ზოსიმე,** მაგრამ ვიცით, როგორ გამოიყურებოდა **თორნიკე ერისთავი.** ათონის ივერონის მონასტრის ერთ-ერთი კედლიდან კავკასიო-

**თეოფანიას** მუდარა და აჯანყებული სარდლის **ბარდა სკლიაროსის** წინააღმდეგ, რომელსაც ქალაქი ნიკეა ჰქონდა გარემოცული და კონსტანტინოპოლს უმიზნებდა, 12 ათასი ქართველი გაგზავნა. ქართველთა ლაშქარს სათავეში ჩაუდგა ათონის მთაზე ბერად აღკვეცილი **იოანე-თორნიკე,** გვარად **ჩორდვანელი,** რომელმაც 979 წლის 24 მარტს მდინარე ჰალისის პირას აჯანყებული **ბარდა სკლიაროსი** და მისი ლაშქარი გაანადგურა და სანაცვლოდ ბიზანტიის საიმპერატორო კარისგან აურაცხელი ქონება მიიღო!

ნის ჩანჩქერებივით იღვრება უძველესი ქართული რასის ზეიმი — ღვთაებრივი ნაზავი ქართული ვაჟკაცობისა და სილამაზისა. ეს **თორნიკე ერისთავია,** რომელმაც **ბარდა სკლიაროსი** სამარცხვინოდ გააქცია და ბიზანტია იხსნა.

**დარწმუნებული ვართ, იოანე ზოსიმე თორნიკე ერისთავზე ნაკლები ვაჟკაცი არ იქნებოდა!**

979 წელი ის დროა, როცა ჯერ კიდევ **დავით მესამე კურაპალატის** ფრთებქვეშ შეფარებული **ბაგრატ მესამე** უდიდესი ისტორიულ-პოლიტიკური ნახტომისთვის ემზადება, რათა საქართველო შეკრას და ერთიანი სამეფოს გვირგვინი თავს დაიდგას.

**სწორედ ის ეპოქა და გაერთიანებისთვის გამზადებული საქართველოს სუნთქვა ბრუნდება ჩვენში ვაჭრუკანა და ქურდბაცაცა ანგლოსაქსების „კრისტის“ აუქციონიდან, სადაც ბიძინა ივანიშვილმა უძველესი პალიმფსესტი შეიძინა...**

**იოანე ზოსიმეს** ხელნაწერში გადახდილი 1 250 000 გადაწონის იმ მილიარდებს, რომელიც ივანიშვილმა საქართველოს უანგაროდ მოახმარა!

**რაც დრო გავა, ეს ქველმოქმედება კიდევ უფრო დაფასდება!**

**ხოლო იოანე ზოსიმესა და მის წმინდა მოძღვრებას გადაფასება და დავიწყება არ უწერია!**

***დიტო ჩუბინიძე***

*წინა კვირას ბიძინა ივანიშვილმა „კრისტის“ აუქციონზე 1 250 000 გირვანქა სტერლინგად მე-5-7 საუკუნეებით დათარიღებული სინას მთის უძველესი ქართული ხელნაწერი — პალიმფსესტი შეიძინა, რომელზეც 979 წელს ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ და ჰიმნოგრაფმა, ბერმა იოანე ზოსიმემ სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში ქართული ტექსტი დაურთო. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დალი ჩიტუნაშვილი, რომელიც წლებია, იოანე ზოსიმეს ცხოვრებას, მოღვაწეობასა და შემოქმედებას იკვლევს, აცხადებს, რომ ისტორიული და უძველესი ხელნაწერის ქვეყანაში ჩამოსვლა უდიდესი მნიშვნელობის აქტია:*

# „იოანე ზოსიმეს ფიგურა არამარტო ქართული, არამედ მსოფლიო ქრისტიანული კულტურის ისტორიისთვის უდიდესი და უმნიშვნელოვანესია!“




## დალი ჩიტუნაშვილი:

## პალიმფსესტი მუზეუმს კი არა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს უნდა გადმოეცეს, სადაც მას მეცნიერულად შევისწავლით!

— **იოანე ზოსიმე** ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწეა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საზღვარგარეთ გაატარა. პირველად ის საბაწმინდის მონასტერში მოღვაწეობდა, ხოლო მოგვიანებით სხვა ქართველ ბერებთან ერთად სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში გადავიდა. სწორედ აქ გაატარა მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი და ხელნაწერების უმრავლესობაც, რომელიც შექმნა, სწორედ სინას მთაზე ინახება. **იოანე ზოსიმე** იყო გადამწერი, რედაქტორი, წიგნების შემკაზმველი, მომხატველი... ფაქტობრივად, მას მარტო შეეძლო, შეესრულებინა მთელი სამუშაო, რაც ძველი ხელნაწერი წიგნის შექმნასთან იყო დაკავშირებული. საქართველოში მას აღიარებენ, როგორც ცნობილ ჰიმნოგრაფს და მიჩნეულია, რომ **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“** სწორედ მისი დაწერილია. ტრადიციული ლიტურგიკული გაგებით ეს არ არის კლასიკური საგალობელი, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ იოანე ზოსიმეს მიერ გადმოწერილმა და რედაქტირებულმა ხელნაწერებმა შემოგვინახა უძველესი იერუსალიმური სამეტყველო და საღვთისმსახურო პრაქტიკა, რომელიც არცერთ სხვა ენაზე აღარ არსებობს. ამიტომ, როცა უნდათ უძველესი იერუსალიმური საღვთისმეტყველო პრაქტიკის აღდგენა, მიმართავენ ქართულ და ნაწილობრივ სომხურ ხელნაწერებს. ამდენად, **იოანე ზოსიმეს** ფიგურა არამარტო ქართული, არამედ მსოფლიო ქრისტიანული კულტურის ისტორიისთვის უდიდესი და უმნიშვნელოვანესია!

**— ქალბატონო დალი, იოანე ზოსიმეს საქართველოში არაფერი შეუქმნია და ყველაფერი წმინდა მიწაზე შექმნა?**

— 949 წელს **იოანე ზოსიმე** უკვე საბაწმინდის მონასტერშია. ამდენად, საქართველოში იოანე ზოსიმეს მიერ შექმნილი რამე ხელნაწერი დღემდე არ არსებობს.

**— როდის გარდაიცვალა იოანე ზოსიმე?**

— როგორც მახსოვს, მისი ანდერძი 981 წლით თარიღდება... 70-იან წლებში გადაწერილ ხელნაწერებში ის დიდად უჩივის თავის ასაკს, რომ აღარ შეუძლია. სავარაუდოდ, იოანე ზოსიმე მე-10 საუკუნის მიწურულს წმინდა ეკატერინეს მონასტერში გარდაიცვალა.

**— მაინც რით არის საინტერესო და გამორჩეული პალიმფსესტი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა აუქციონზე იყიდა?**

— პალიმფსესტი ცხოველის, ძირითადად, ხბოსა და საქონლის ტყავზე დაწერილი წიგნია, რომელსაც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გადაფხეკდნენ და ზემოდან ახალ ტექსტს გადააწერდნენ. მე-5-7 საუკუნეებით დათარიღებულ ასეთ პალიმფსესტს 979 წელს იოანე ზოსიმემაც ზემოდან გადააწერა ქართული ტექსტი. პალიმფსესტის ქვედა, ანუ პირველადი ფენა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უძველესი არამეული ტექსტითაა დაწერილი. ქრისტიანული არამეული ტექსტები კი მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია და ძირითადად ყველა პალიმფსესტია. ამდენად, ეს ტექსტი, რომლის უძველესი ფენა მაინც იკითხება, ქრისტიანული კულტურისთვის უმნიშვნელოვანესია. რაც არამეულად პალიმფსესტზე ეწერა, ის აბსოლუტურად სხვა ტექსტია, რომელსაც იოანე ზოსიმემ ზემოდან სულ სხვა ქართული ტექსტი გადააწერა.

**— ხსენებული პალიმფსესტის პირველადი, არამეული ტექსტი, როგორ ფიქრობთ, ქართველების დაწერილი იყო?**

— არა, ცხადია! ქართველები ტექსტს დაწერდნენ ქართულად, ხოლო ეს ტექსტი დაწერილია არამეულად. წმინდა მიწაზე ქართველებს ურთიერთობა ჰქონდათ ქრისტიან არაბებთან, სირიელებთან და იმ ხალხებთანაც, რომლებიც არამეულად ლაპარაკობდნენ. სწორედ ამიტომ მოხვდა ეს არამეული პალიმფსესტი ქართველების ხელში...

**— ანუ ეს ხელნაწერი მთელი ამ 1600 წლის განმავლობაში საქართველოში არასოდეს ყოფილა?**

— არა, არასოდეს ყოფილა. **იოანე ზოსიმეს** არცერთი ხელნაწერი საქართველოში დაფიქსირებული არ არის!

**— პალიმფსესტი, რომელიც აუქციონზე ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა, მეცნიერულად შესწავლილია?**

— როცა **ალექსანდრე ცაგარელი** იმყოფებოდა სინას მთაზე, მაშინ ეს ხელნაწერი ჯერ კიდევ იქ იყო. მერე, როცა მე-20 საუკუნის დასაწყისში **ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი** ჩავიდნენ, პალიმფსესტი სინას მთაზე არ დახვდათ. როგორც ჩანს, გაიტანეს... საერთოდ, მე-19 საუკუნეში სინას მთიდან ძალიან ბევრი ხელნაწერი და არტეფაქტი გავიდა და არამარტო ქართული. ამ პალიმფსესტის რაღაც ნაწილები დღეს პეტერბურგში, ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ინახება. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში იყო ასეთი მეცნიერი **ლილი ხევსურიანი,** რომელმაც მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დაწერა სტატია პეტერბურგში არსებული სინური წარმომავლობის ფრაგმენტების შესახებ და ივარაუდა, რომ ეს ნაწილები უნდა ყოფილიყო იმ დაკარგული ხელნაწერის ფრაგმენტები, რომელიც უკვე აღარ ჩანდა. ასე რომ, ქართულ სამეცნიერო წრეებში ამ ხელნაწერის შედგენილობის შესახებ ვიცოდით, მაგრამ, რადგან დიდი ხნის განმავლობაში კერძო კოლექციაში ინახებოდა, მისი შესწავლის საშუალება არ გვქონდა. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ პალიმფსესტი მუზეუმს კი არა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს უნდა გადმოეცეს, სადაც მას მეცნიერულად შევისწავლით!

**— თქვენ რატომ დაინტერესდით იოანე ზოსიმეს პერსონით?**

— **იოანე ზოსიმე** იყო საოცრად განათლებული ადამიანი, რომელსაც ფანტასტიკური ცოდნა ჰქონდა ჰიმნოგრაფიაში. ის გახლდათ უნივერსალური ადამიანი, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა ლიტურგიკა. არსებობს მისი შედგენილი კალენდარი, რომელიც ოთხ სხვადასხვა წყაროს ეფუძნება. ეს კალენდარი უნივერსალურია ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაში. 1959 წელს, როცა ბელგიელმა ორიენტალისტმა და ქართველოლოგმა **ჟერარ გარიტმა** იოანე ზოსიმეს მიერ შექმნილი კალენდარი გამოსცა, ამისათვის მან ბელგიის სამეფო ჯილდო მიიღო. **იოანე ზოსიმეს იმდენად გამორჩეული კალიგრაფია აქვს, რომ მისი ნაწერის გამორჩევა და ამოცნობა სხვა ავტორთა ხელნაწერთაგან ძალიან ადვილია.**

**— მაინც რა ტექსტი გადააწერა პალიმფსესტზე იოანე ზოსიმემ?**

— ეს არის **სამოციქულო საკითხავები, ბერი კიმენის** სწავლანი... მოკლედ, სხვადასხვა ტექსტებია...

**— არის თუ არა ქართველი მეცნიერებისთვის ცნობილი იოანე ზოსიმეს წარმომავლობა, საქართველოს რომელი კუთხის შვილი იყო ის?**

— ასეთი ინფორმაცია ჩვენ არ გვაქვს... არის სინას მთაზე ერთ-ერთი ქართველი ავტორი, რომელიც თავის თავს **ოშკელს** უწოდებს და ვიცით, რომ ის ნამდვილად ოშკიდან იყო, მაგრამ **იოანე ზოსიმეს** შესახებ მსგავსი ცნობა არ გვაქვს.

**— არსებობს თუ არა იოანე ზოსიმეს პორტრეტული გამოსახულება?**

— არა, ასეთი რამ არ არსებობს, მაგრამ გვაქვს ხელნაწერი, რომელშიც **იოანე ზოსიმეს** ხელით ჩახატულია პეტრე და პავლე მოციქულები. იოანე ზოსიმე იმითაც არის ცნობილი, რომ ის დაზიანებული წიგნების რესტავრატორიც კი იყო და წიგნებს ახალ ყდებს უკეთებდა. მაგალითად,

**იოანე ზოსიმემ** ახალი ყდა გაუკეთა ყველაზე ძველ ქართულ ხელნაწერს, 864 წელს გადაწერილ სინურ მრავალთავს. როცა მან ეს მრავალთავი ყდაში ჩასვა, სწორედ იქ ჩაურთო თავისი **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“!**

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



**„რუსულ კანონს“** ეძახიან **ქართულ კანონს,** ამის გამო ხალხს აბულინგებენ და **დსთ-ში საქართველოს შემთრევები** პოლიტსაბჭოში უზით **გია ბარამიძის** სახით. „TV იმედი“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



არა აქვს მნიშვნელობა, **კორუფციის ჭაობში ჩაძირულ ევროპულ პარლამენტში** ვის ექნება უპირატესობა, **ევროპელ ხალხს ყელში ამოუვიდა ამერიკიდან მართული პოლიტიკური ლიდერშიპი.** „პირველი არხი“

**პაატა კვიჟინაძე**
*პარლამენტარი*



აშშ-ის ახლანდელი ადმინისტრაცია რომ **ფერადი რევოლუციის მოწყობას ცდილობს,** ამას არავინ, მათ შორის, ოპოზიციაც არ უარყოფს. **ფერადი რევოლუცია საქართველოში არ მოხდება.** „პირველი არხი“

# ზაზა პაპუაშვილი: გაოგნებული ვარ, მსოფლიოს წარჩინებული ქვეყნების სათავეში ამდენი დურაკი როგორ მოხვდა?!

***კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერად ქცეულმა სალომე ზურაბიშვილმა გასულ კვირას მის რეზიდენციაში შეკრებილ ახალგაზრდა აქტივისტებს განუცხადა — ბედნიერი ვიქნები, თუ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენი კანდიდატი მერქმევაო! ესე იგი, „მადამ პლეზიდენტს“ სურს, ორბელიანების ისტორიულ სასახლეში მეორე ვადითაც მოირთხას ფეხი და თავის პოლიტიკურ იმედებს კოლექტიურ ლაზარე გრიგორიადისზე ამყარებს. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ქართული თეატრისა და კინოს სახელოვან მსახიობს, პარლამენტის ყოფილ დეპუტატ ზაზა პაპუაშვილს ვესაუბრებით:***



— როგორც ჩანს, ნაციონალებს **სალომე ზურაბიშვილისათვის** ჩვენი წილიც უგინებიათ და ისღა დამრჩენია, ვთქვა — **ალალი იყოს მასზე!** სრულიად აშკარაა, რომ ეს ქალი გახლავთ ნამდვილი „ნასედკა“, რომელიც გარედან მიღებული ინსტრუქციებით მოქმედებს და შფოთის ჩაცხრობის მაგივრად ცეცხლზე ნავთს ასხამს. პირდაპირ ვაცხადებ — **საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ზურაბიშვილი საქართველოდან მშვიდად ვერ უნდა წავიდეს, იგი ქვეყნიდან სამარცხვინოდ უნდა იქნეს გაგდებული!**

**— თუმცა, აშკარაა, რომ სალომე ზურაბიშვილს მეორე ვადითაც სურს პრეზიდენტობა!**

— ამ ქალმა, რომელმაც საკუთარ ამომრჩეველს უღალატა და თავისნაირი „„ნასედკების“ გამგედ იქცა, ძალიან კარგად იცის, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სძულს და ეზიზღება. **ამ უზრდელ და თავხედ არსებას, რომელსაც გრამი სინდისი არ გააჩნია, საქართველოს მთავარსარდალი როგორ უნდა ერქვას?** მარტო იმ წარმოუდგენლად საზიზღარი გამოსვლის გამოა პასუხისგებაში მისაცემი, რომელიც 26 მაისის აღლუმზე ქართველი ჯარისკაცების წინაშე ჰქონდა. მეორე ვადით პრეზიდენტობა კი არა, ხომ გეუბნებით, საერთოდ უნდა იქნეს გაძევებული საქართველოდან!

**— რას იტყვით სალომე ზურაბიშვილის ქოლგის ქვეშ შემდგარ ოპოზიციურ გაერთიანებაზე, რომელიც ერთიან საარჩევნო სიაზე საუბრობს და ხელისუფლებაში მოსვლით იმუქრება?**

— უი, უი, უი... მაგათი ერთიანობა და ერთიანი სია არ გაიშვას, აგერ ვნახავთ, საარჩევნოდ როგორ დაღრღნიან და დაჭამენ ერთმანეთს. ჩვენ ხომ ამათ კარგად ვიცნობთ, ეს უთავმოყვარეო წყალწაღებულები უკვე ბევრჯერ და ბევრნაირ სიტუაციაში გვყავს ნანახი. ძველ ტიკჭორაში ახალი ღვინო არ ჩაისხმება და ოპოზიციად წოდებულმა „შპანამ“ რაც არ უნდა „შანელი“ იპკუროს, მაინც ნეხვის სუნად ყარს!

**— მიუხედავად ამისა, ვხედავთ, რომ კოლექტიურ ნაცმოძრაობას საქართველოს გარედან საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს!**

— კოლექტიურ ნაცებს ევროპასა და ამერიკაში მხოლოდ მათნაირი „ტუგადუმები“ უჭერენ მხარს!

## როცა შენი ხალხის მხარდაჭერა არ გაქვს და მხოლოდ უცხოელების მხარდაჭერით გინდა ხელისუფლებაში მოსვლა, ეს უკვე ნიშნავს, რომ ლუსტრირებული „ნასედკა“ ხარ!

**— უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ქართული კანონის მიღების გამო აშშ-ის მიერ დაწესებულ ინკოგნიტო სანქციებზე რას ფიქრობთ?**

— ვითომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი გვეუბნება — შენს მთავრობასა და სასამართლოს მე უნდა ვმართავდე, როცა მომინდება, თავში უნდა ჩაგარტყა, როცა დამჭირდება, ომში უნდა შეგათრიო, თანაც, შენი მეგობარი უნდა მერქვას და არც კი გაბედო, რომ შემეწინააღმდეგოო! **ეს არის ამერიკის იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელიც უკვე გაიშიფრა და მისი სისხლიანი ნაკვალევი მთელ მსოფლიოში გამოჩნდა.** ყველამ დაინახა, როგორ ახდენს ამერიკა სხვადასხვა ქვეყანაში შიდა არეულობის პროვოცირებას, როგორ ითრევს ომებში ამა თუ იმ სახელმწიფოს და მერე როგორ იგდებს ხელში მათ წიაღისეულსა და დოვლათს... საქართველოს რომ ეს ყველაფერი ვერ დამართეს, ამიტომაც დაგვიწესეს სამარცხვინო სანქციები, რომლითაც ქართული სახელმწიფოს ჩამოშლა უნდათ, მაგრამ ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ.

## ამხელა ამერიკის იმპერიამ და ევროკავშირმა პატარა საქართველოსთან მიმართებაში უკვე იმდენი სისულელე ჩაიდინეს, რომ თავადვე აღმოჩნდნენ სამარცხვინო დღეში, დაჩმორდნენ და „გააპაზორდნენ!“

**— იმას გულისხმობთ, რომ ახლახან ჩატარებულ ევროპარლამენტის არჩევნებში საფრანგეთის პრეზიდენტისა და გერმანიის კანცლერის პარტიებმა კრახი განიცადეს?**

— **მაკრონმა და შოლცმა** თავიანთ ჩასვრილ ქვეშაგებს მიხედონ და ჩვენთვის თითის ქნევას თავი გაანებონ! საერთოდ, ვუყურებ ამერიკის პრეზიდენტს, ვუყურებ საფრანგეთის პრეზიდენტს, ვუყურებ გერმანიის კანცლერს, ვუყურებ ევროკავშირის ზოგიერთ ლიდერს და გაოგნებული ვარ, მსოფლიოს წარჩინებული ქვეყნების სათავეში ამდენი დურაკი როგორ მოხვდა?!



**„მაკრონმა და შოლცმა თავიანთ ჩასვრილ ქვეშაგებს მიხედონ და ჩვენთვის თითის ქნევას თავი გაანებონ!“**

**— რადიკალური ოპოზიცია, ფაქტობრივად, აღარც მალავს, რომ ოქტომბერში, არჩევნების გაყალბების საბაბით, ე.წ. მაიდნის მოწყობას აპირებს. თქვენი მოლოდინი როგორია?**

— ე.წ. მაიდანზე საუბარი პროპაგანდის ნაწილია ისევე, როგორც მართლა მონებმა და საკუთარი სამშობლოსათვის მიწის მიმყრელებმა გამჭვირვალობის კანონს „რუსული კანონი“ დაარქვეს. რეალურად, საქართველოში ვერავითარი მაიდანი ვერ მოხდება! რა თქმა უნდა, ეს „შპანა“ არჩევნების შემდეგ რაღაცას წაიფაფხურებს და წაიჭრიჭინებს, მაგრამ ფეხი არ ჩაუვათ!

საერთოდ, 26 ოქტომბრის არჩევნები საპარლამენტო თუ პარტიული არჩევნები არ არის, არამედ ეს არის არჩევანი ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნას შორის. გნებავთ, დიდგორი დავარქვათ, გნებავთ, სამამულო ომი ვუწოდოთ, მაგრამ 26 ოქტომბერს გადაწყდება, შეძლებს თუ არა ქართველი ერი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას!

**— ბევრს საუბრობენ იმის შესახებაც, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის შემდეგ საქართველოს კოალიციური მთავრობა ეყოლება. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— ჯერ ერთი, საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს, ხოლო ოპოზიციის სახელით შენიღბულ „ნასედკებთან“ კოალიციას, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ შექმნი! რაც მთავარია, 26 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ არჩევნებში ისე დამაჯერებლად გაიმარჯვებს, რომ ვინმესთან კოალიცია და ხელისუფლების გაყოფა არ დასჭირდება!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



**„საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ სალომე ზურაბიშვილი საქართველოდან სამარცხვინოდ უნდა იქნეს გაგდებული!“**

## კვირგვინოსნები

**გრიგოლ ლილუაშვილი**
*სუს-ის ხელმძღვანელი*



ერთგვარი „ბაბლი“ შეიქმნა, რომ ქვეყანა **გაიღვიძებს** ჩელიაბინსკში, კრასნოდარში — **დავიძინეთ** თბილისში, **გავიღვიძებთ** თბილისში, **დავიძინებთ** საქართველოში, **გავიღვიძებთ** საქართველოში.

„ახალი თაობა“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ნაცმოძრაობით მოწამლულო ადამიანებო,** „ქართული ოცნება“ არასოდეს იმოქმედებს თქვენი ხელწერით. **არ აგყვებიან უზნეობასა და არაადამიანობაში,** ეგ ნიშა მარტო თქვენია და ამიტომაცაა, რომ წლებია, **პოლიტიკური სანაგვიდან** თავის ამოყოფას ცდილობთ!

„რეზონანსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



ახალგაზრდობას ზურგზე **კიდევ ერთი წურბელა** დააჯდა **ზურაბიშვილის** სახით, ფსევდოევროპული ლოზუნგების ტრიალით, ამ უკვე **ბოლომდე გაშიფრულმა აგენტმა,** ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა ქართველი საზოგადოების უმრავლესობას.

„იმედინიუსი“

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნის“ დამფუძნებელი*



**მამუკა ხაზარაძე** ნაციონალობაზე და ვიღაცების გაერთიანებაზე როდესაც საუბრობს, **რა მიზანი აქვს ამ გაერთიანებას? ხალხის ყვლეფა?** მე ვიცი ერთი რაღაც — **ვინც ხაზარაძესთან გაერთიანებას მოინდომებს, არა მგონია, ამ ქვეყნისთვის სიკეთე უნდოდეს.**

„ალია“

# ჩვენ უნდა ვეცადოთ, ამერიკელებს საქართველოში რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა დავასანქცირებინოთ თავი!

*მეგობრებო! ახლა ჩვენ უნდა ვეცადოთ, ამერიკელებს საქართველოში რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა დავასანქცირებინოთ თავი!*

**დიახ! ეს გახლავთ ერთადერთი გამოსავალი, სხვა გზა ტაძრამდე, უბრალოდ, ველარ მიგვიყვანს.**

როდესაც ჩვენ, ფართო მასებს, დაგვასანქცირებენ, იქ, ზემოთ, **ვაშინგტონში, მიხვდებიან, რომ ძალიან დიდ სისულელეს სჩადიან** და ეგრევე უვიზო მიმოსვლას დაგვიწესებენ.



**ჩვენ უნდა დავასახელოთ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ეროვნული პარტიიდან. მთელ ქვეყანას ხომ ვერ დაიჭერენ? მაგრამ, როდესაც ეს სია ასიათასებს მიაღწევს, ზევით დაფიქრდებიან, საგანგებო ეროვნულ კრებას მოიწვევენ და გამოააშკარავებენ ყველა იმ ბოროტმოქმედს, ვინც მთავრობა შეცდომაში შეიყვანა. ეს ტაქტიკაა, ეშმაკური, მზაკვრული ტაქტიკა! მოვაწეროთ ხელი ყველაფერს! ეს საქმე უნდა მივიდეს აბსურდამდე, სრულ უაზრობამდე! ასი ათასი სულელური ჩვენება, გვირაბი ბომბეიდან-ლონდონამდე. ყოველივე ეს აღაშფოთებს მთავრობას და იგი ყელში წვდება თავისი რკინის ხელით ბოროტმოქმედს და გაანადგურებს მას. ეს ყველაფერი მე სიცრუის სიბრძნემ მიკარნახა.**

***ფრაგმენტი თენგიზ აბულაძის ფილმიდან „მონანიება“***

როგორც ჩანს, აშშ-ის თლა უმფროსმა არ იცის, მისი ხელქვეითები როგორ თვითნებობენ — ამასწინებზე თბილისში ყველა დარბაისელი მოუკრებნიათ, თვითმფრინავში შეუყრიათ და ოკლაჰომაში წაუყვანიათ.

იქ ვიღაც ინტრიგანს უკითხავს — **ესენი ვინ არიანო?**

ესენი ქართველი დარბაისლები არიან, ტრეინინგი უნდა ჩავუტაროთ და გავაგიჟოთ, **ერთი პატარა ქვეყნისთვის ამდენი დარბაისელი ნამეტანიაო.**

ეს რო თლა უმფროსს გაუგია, თვითმფრინავის ტრაპიდან დაგორების ტრადიციული ჟესტისთვის მიუმართავს.

ჰოდა, იმას გეუბნებოდით... როცა ეს ბურჟუები მშრომელთა ფართო მასებსა და მთელ პროლეტარიატს დაგვასანქცირებენ, თუ ვაშინგტონში ვერ მიხვდებიან, რასთან აქვთ საქმე, უკმაყოფილება არამხოლოდ აშშუს, არამედ ევროპასაც მოედება და ერთიანად წალეკავს უსამართლობას.

**მოკლედ, ვისაც 10-წლიანი ვიზები გაქვთ, დახიეთ, მაგათ საელჩოში მიიტანეთ და გაყინულ სახეებში მიაყარეთ. ამის შემდეგ ყველამ დავწეროთ განცხადება, რომ დაგვასანქცირონ!**

ისე, მართლაც რა მაზალოები არიან ეს აშუშუელები,

**აქ 100 ათასი ადამიანი ეწამა იმისათვის, რომ ხატზე ფეხი არ დაებიჯებინა და ესენი კიდე პასპორტში „ფეჩატის“ არჩარტყმით გვემუქრებიან!**

*გელა ზედელაშვილი*

ეს არის! ეს არის!

# არდასანახი დაბრუნდა!

***სამშობლოში დაბრუნდა და ისეთი გამომეტყველება აქვს, გეგონება, ვალი მოიხადა ქვეყნისა და ერის წინაშე!***

იცანით? რავი, შეიძლება ვერც იცანით... ჰოოო, ის არი, კონგრესში რო გამაიყვანეს მოწმედ და ჩვენი ქვეყნის დასანქცირებას ითხოვდა დაჟინებით.

**დახვდნენ, მოღალატე ეძახეს, სერგო ორჯონიკიძე უწოდეს, წარბი არ შეუხრია, ხმა არ ამოუღია, არც გაუპროტესტებია, არც თავი უმართლებია, გაყინული სახით შეაგდო საბარგულში გორგოლაჭებიანი ჩუმადანი და გაქუსლა... გაქუსლა რა, მანქნით წაიყვანეს.**

**გითხარით, სერგო ორჯონიკიძე უწოდეს-მეთქი.**

რას ამბობთ, **სერგო ორჯონიკიძე** ამასთან შედარებით კაცად გამაიყურებოდა, წამოუძღვა ბაქოდან ბოლშევიკურ ჯარსა და აიღო თბილისი, თვითონ აიღო, უცხოებს არ გაჰგორებია ფეხებში, არ ჩავარდნია მუხლებში — წადით და ჩემს სამშობლოს დედა უტირეთო, **თვითონ იკისრა ეგ ამბავი.** მართალია, სხვის ჯარს შემოუძღვა, მაგრამ მაინც თავკაცი იყო. ეს კიდე ოკეანის გაღმა გავარდა მოწმედ, ოკეანისგაღმელებს ჩაუვარდა მუხლებში — ჩემი ქვეყანა დასაჯეთო. რა ამისი ქვეყანაა, მაგრამ მაინც.

ესა, კაცო, **სერგო ორჯონიკიძე** კი არა, **გიგლა ბერბიჭაშვილია.** ამისმა წინამორბედმა თუ ილიას ესროლა და ამით საქართველოს ესროლა, ამან საქართველოს ესროლა და ამით ილიას ესროლა. რა განსხვავებაა? შესაკრებთა გადანაცვლებით ხომ ჯამი არ იცვლება?

**აწი ამან საქართველოში რანაირად უნდა იცხოვროს?**

თან **ვანო** ჰქვია, თან **ჩხიკვაძეა.** მე მწერალი **ვანო ჩხიკვაძე** ვიცოდი აქამდე.

არა, იცხოვრებს, სინდისი საერთოდ არ შეაწუხებს, ეგეთებს არ უჭირთ უნამუსოდ ცხოვრება. შეიძლება, სადმე გადაიხვეწოს კიდევაც, მიზეზი აქვს — იტყვის — მავიწროებენ, მაბულინგებენო და თავშესაფარს მოითხოვს. იციან „პაწრიოტებმა“, რასაც აკეთებენ.

რავი, ეგეთ რაღაცებსაც თუ მოვესწრებოდი, არ მეგონა... უფრო სწორად, ვფიქრობდი, რომ ეგეთი რაღაცები მარტო ფილმებში ხდებოდა.

არააააა, თურმე, ესეც უნდა მენახა და ვინ იცის, კიდე რამდენნაირი ღალატი და არაკაცობა უნდა ვნახო. მარტო მე? არა, ამ ყველაფერს ხომ თქვენც ხედავთ?

**ხან საკუთარი თავი შემეცოდება ხოლმე, ხომ შეიძლებოდა, უკეთესი რაღაცები მენახა? მაინცდამაინც ამ უსახოებს, უფორმოებსა და უშინაარსოებს უნდა ვუყურო?**

*გელა ზედელაშვილი*






## კვირგვინოსნები

**არჩილ გამზარდია**
*ჟურნალისტი*



ასე თუ გააგრძელებს ოპოზიცია, ხელისუფლებას **საკონსტიტუციო უმრავლესობასაც** ჩააზუტებს.

„ალია“

**ეკა ბესელია**
*„მართლმსაჯულების სახლის“ დამფუძნებელი*



ვფიქრობ, **სალომე ზურაბიშვილი** სამომავლოდაც იქნება **საუკეთესო საპრეზიდენტო კანდიდატი.**

„ალია“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*



**პროტესტი და რეჟიმის რყევა უნდა გაგრძელდეს,** რეჟიმის ძალაუფლების ვერტიკალში მყოფი ადამიანები **ეტაპობრივად უნდა შეეგუონ, რომ ძალაუფლებას დაკარგავენ.**

„ინტერპრესნიუსი“

## ჯონდი ბაღათურია: ძალიან სასიამოვნოა, რომ საქართველოს ორმა ჭკუის მასწავლებელმა – მაკრონმა და შოლცმა – ევროპარლამენტის არჩევნები წააგო!



***2024 წლის 6-9 ივნისს ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებულ ევროპარლამენტის არჩევნებში ანტილიბერალურმა ძალებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთსა და გერმანიაში პრეზიდენტ ემანუელ მაკრონისა და კანცლერ ოლაფ შოლცის ლიბერალური პარტიების კრახი, რამაც აჩვენა, რომ ევროპაში კონსერვატიული განწყობები სულ უფრო ძლიერდება. ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე პარტია „ქართული დასის“ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას ვესაუბრებით:***

— როგორც, მინიმუმ, ძალიან სასიამოვნოა, რომ საქართველოს ორმა ჭკუის მასწავლებელმა — **მაკრონმა და შოლცმა** — ევროპარლამენტის არჩევნები წააგო, რაც იმას ნიშნავს, რომ ნეოკოლონიური პოლიტიკა, რომელსაც ევროკავშირი საფრანგეთისა და გერმანიის მეთაურობით საქართველოს მიმართ ატარებდა, მნიშვნელოვნად გადაიხედება და შეიცვლება.

მართალია, თავად ევროპარლამენტში ძალთა ბალანსი დიდად არ შეცვლილა, მაგრამ ის ფაქტი, რომ საფრანგეთში **მაკრონმა** წააგო და იძულებული გახდა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაენიშნა, უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. დიდია იმის ალბათობა, რომ **მაკრონი და მისი პარტია** საპარლამენტო არჩევნებსაც წააგებენ, რაც საქართველოს სუვერენიტეტის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ძალიან დაასუსტებს.

**— ევროპარლამენტის არჩევნებში დამარცხებულმა მაკრონმა საფრანგეთში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები რის იმედად დანიშნა?**

— ევროპარლამენტის არჩევნების კატასტროფულად წაგების შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტს ლეგიტიმაციის პრობლემა შეექმნა და ვა-ბანკზე წავიდა — „ან ყველაფერი, ან არაფერი!“ მას იმედი აქვს, რომ ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ტენდენციის შესაბამისად, ოპოზიციურად განწყობილი ფრანგი ამომრჩევლის დიდი ნაწილი არჩევნებზე არ მივა, თავად კი ადმინისტრაციული რესურსისა და საკუთარი მხარდამჭერების მობილიზებით შეძლებს წარმატების მიღწევას, მაგრამ ძალიან მეეჭვება, **მაკრონის** იმედები გამართლდეს. მან, როგორც გლობალისტმა და ლიბერალმა, ფრანგი საზოგადოების დიდ ნაწილს თავი შეაძულა, რაც შეეხება ანტილიბერალ **მარინ ლე პენის** პარტიას, რომელმაც ევროპარლამენტის არჩევნებში **მაკრონის** პარტიაზე ორჯერ მეტი ხმა აიღო, მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდება და საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი აქვს.

**— მაკრონისაგან განსხვავებით, რატომ არ დანიშნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გერმანიის კანცლერმა, რომლის პარტიაც ევროპარლამენტის არჩევნებში ასევე კატასტროფულად დამარცხდა?**

— **შოლცი** ჯიუტობს და, როგორც სჩვევია, პოლიტიკური მანჭვა-გრეხით არის დაკავებული, მაგრამ ვფიქრობ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მაინც მოუწევს, რადგან ევროპარლამენტის არჩევნებში მისმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმების მხოლოდ 14 პროცენტი აიღო და წარმოუდგენელია, ასეთი დაბალი რეიტინგის მქონე პოლიტიკურმა ძალამ ქვეყანა მართოს.



ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპის პოლიტიკურ დედაქალაქ ბრიუსელში ლიბერალებმა კატასტროფული მარცხი განიცადეს და ბელგიის პრემიერ-მინისტრი იძულებული გახდა, გადამდგარიყო. მისმა პარტიამ ევროპარლამენტის არჩევნებში ხმების 7 პროცენტიც ვერ მოაგროვა მაშინ, როცა პირველ ადგილზე გასულმა ნაციონალისტებმა 22 პროცენტი აიღეს.

მოკლედ, ევროპარლამენტის არჩევნებში გლობალურმა ლიბერალიზმმა სერიოზული დარტყმა მიიღო და ეს ძალიან სასიხარულოა!

**„სალომე ზურაბიშვილმა წარმატებით ჩაატარა კონკურსი საქართველოს მთავარი მოღალატის პრიზისათვის და ამ ბრძოლაში თვით სააკაშვილიც კი დაამარცხა!“**



**— თუმცა, ევროპარლამენტში უმრავლესობას კვლავ ინარჩუნებს „ევროპის სახალხო პარტია“, რომელიც სააკაშვილისა და კოლექტიური ნაცმოძრაობის მიმართ დიდი სიმპათიითა და მხარდაჭერით გამოირჩევა!**

— იმ ფონზე, როცა ევროკავშირის ორ მთავარ და საკვანძო სახელმწიფოში — საფრანგეთსა და გერმანიაში ლიბერალები კატასტროფულად დამარცხდნენ, სულაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ევროპარლამენტში რომელ პარტიას ექნება უმრავლესობა. მთავარია საერთო სურათი და ტენდენცია, რომელიც ევროპარლამენტის არჩევნებზე გამოიკვეთა — ევროპაში ლიბერალიზმი სუსტდება და კონსერვატიზმი ძლიერდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კიდევ უფრო დიდი შანსი ეძლევა, თავი დააღწიოს გლობალური დასავლეთის ნეოკოლონიურ მარწუხებს!

**— ევროპარლამენტის ან ევროკავშირის რომელიმე ცალკეული ქვეყნის არჩევნებზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც ამა წლის ნოემბერში უნდა ჩატარდეს. რამდენად ელოდებით, რომ დონალდ ტრამპი ბაიდენსა და მის ადმინისტრაციას დაამარცხებს?**

— სერიოზული და გავლენიანი ამერიკელი პოლიტოლოგები უკვე ღიად საუბრობენ იმის შესახებ, რომ შესაძლოა, არჩევნებამდე **ტრამპი** ან დაიჭირონ, ან მოკლან!

აშკარაა, რომ ამერიკის ხელისუფლებაში მყოფმა ლიბერალებმა ნიღაბი ბოლომდე ჩამოიხსნეს და მთავარ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს — **დონალდ ტრამპს** ტირანიის მეთოდებით,

### კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**სალომე ზურაბიშვილი** წინასწარ ცდილობს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას, რათა **მისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით წარადგინონ** იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შემდეგ ოპოზიციას ექნება უმრავლესობა.

„ინტერპრესნიუსი“

**ალექსი პეტრიაშვილი**
*საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი პირველი მოადგილე*



გამოვლენილია **ძალიან ბევრი ჯაშუში,** მაგრამ მთავარი ამოცანა **ჯაშუშების დაკავება** არ არის — სანახაობას ჩვენ არ ვაწყობთ და, შესაბამისად, **ამის შესახებ საჯაროდ არ ვსაუბრობთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



მიზნად რჩება **დიდი ერთობა,** თუ ის არ გამოვა, მაშინ **იმდენად გავერთიანდებით** საერთო პლატფორმაზე, რამდენადაც შევძლებთ — **ამ არჩევნებზე გვეყოლება მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე და მტერი** — ეს არის ოლიგარქის ჯგუფი.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ქარუმიძე**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** და ნაციონალური მოძრაობის რეჟიმი **სასტიკად არღვევდა ადამიანის ძირითად უფლებებს, სცემდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ** — ამ ყველაფრის მიუხედავად, აშშ-ს ნაცმოძრაობის არცერთი წევრი არ დაუსანქცირებია.

„ინტერპრესნიუსი“

# „საქართველოს კიდევ უფრო დიდი შანსი ექნება, თავი დააღწიოს გლობალური დასავლეთის ნეოკოლონიურ მარწუხებს!“

პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოს გამოყენებით ებრძვიან. იგი სრულიად უსამართლოდ და უკანონოდ ცნეს დამნაშავედ ბრალდების 34-ივე პუნქტში, ახლა კი მართლმსაჯულების კი არა, პოლიტიკური მიზანშეწონილობის ჭრილში განიხილავენ, შეუფარდონ თუ არა 136-წლიანი პატიმრობა? **აი, სადამდე დაეცა ამერიკული დემოკრატია და სამართალი!**

**— თუმცა, ტრამპს დაპატიმრების შემთხვევაშიც ხომ ექნება უფლება, პრეზიდენტად იყაროს კენჭი?**

— კანონმდებლობის თანახმად, **ტრამპს** ციხიდან არამხოლოდ პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება ექნება, არამედ გამარჯვების შემთხვევაში, საპატიმროდან შეეძლება ქვეყნის მართვა.

როგორც კი ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ ცნეს, **ტრამპის** რეიტინგი მომენტალურად გაიზარდა და მანამდე ნეიტრალურად განწყობილი ამომრჩევლის 18 პროცენტი მის მხარეს გადავიდა. გარდა ამისა, **ტრამპის** დამნაშავედ ცნობიდან ორი დღე-ღამის განმავლობაში მისი წინასაარჩევნო კამპანიის შემოწირულობა 200 მილიონი დოლარით გაიზარდა.

მოკლედ, ნაფიცი მსაჯულების მიერ გამტყუნებულ **ტრამპს** მოსამართლე პატიმრობას თუ მიუსჯის, მისი რეიტინგი კიდევ უფრო გაიზრდება და არჩევნების გაყალბებითაც კი ვერ გადაუღობავენ გზას პრეზიდენტობისაკენ.

**— ვთქვათ, ტრამპი ციხეში ჩასვეს, მაგრამ არჩევნები მაინც მოიგო... ამერიკის პატიმარ პრეზიდენტს საკუთარი თავის შეწყალების უფლება ექნება?**

— თუ **ტრამპს** დააპატიმრებენ, მაგრამ არჩევნებს მაინც მოიგებს და პრეზიდენტი გახდება, საკუთარი თავის შეწყალების უფლება არ ექნება, თუმცა, კანონმდებლობის თანახმად, შეეძლება, განკარგულება გამოსცეს და საკუთარ თავს სასჯელის მოხდის ადგილად თეთრი სახლი განუსაზღვროს. **წარმოიდგინეთ, რამხელა აბსურდის წინაშე დგას ამერიკა! ეს ნიშნავს ამერიკის დამარხვას ლიბერალების ხელით!**

**პრეზიდენტმა რეიგანმა გასული საუკუნის 80-იან წლებში თქვა — თუ ოდესმე ამერიკაში ფაშიზმი გაიმარჯვებს, მას ლიბერალიზმის სახე ექნებაო და ასეც მოხდა — ამერიკაში დღეს ლიბერალიზმის მანტიაში გახვეული ფაშისტური ტირანია მძვინვარებს!**

**— „ამერიკული ტირანია“, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს!**

— დღევანდელი ამერიკული ტირანიის გამოვლინებაა ის სამარცხვინო ქმედებაც, რასაც საქართველოსათვის სანქციების დაწესება ჰქვია! დიახ, **როცა გამჭვირვალობის კანონის მიღების გამო სანქციებს უწესებ პარტნიორ ქვეყანას, რომელიც 15 წლის განმავლობაში შენს ომებში იბრძოდა და ერაყსა და ავღანეთში სისხლს ღვრიდა, ეს კლასიკური ტირანიისა და დაუნდობლობის დემონსტრირებაა** და, ამავდროულად, ამერიკის საგარეო პოლიტიკის კრახის გამოხატულებაც გახლავთ.



## „ამერიკაში დღეს ლიბერალიზმის მანტიაში გახვეული ფაშისტური ტირანია მძვინვარებს!“

**„თუ ტრამპს დააპატიმრებენ, მაგრამ არჩევნებს მაინც მოიგებს და პრეზიდენტი გახდება, საკუთარი თავის შეწყალების უფლება არ ექნება, თუმცა, კანონმდებლობის თანახმად, შეეძლება, განკარგულება გამოსცეს და საკუთარ თავს სასჯელის მოხდის ადგილად თეთრი სახლი განუსაზღვროს!“**



## „ტრამპს ტირანიის მეთოდებით ებრძვიან!“

**— თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს სალომე ზურაბიშვილის ქოლგის ქვეშ გაერთიანებულ კოლექტიურ ნაცმოძრაობას, რომელსაც ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციისა და ევროკავშირის პოლიტიკური წრეების მხარდაჭერა არ აკლია?**

— **სალომე ზურაბიშვილმა** წარმატებით ჩაატარა კონკურსი საქართველოს მთავარი მოღალატის პრიზისათვის და ამ ბრძოლაში თვით სააკაშვილიც კი დაამარცხა! ამდენად, მკითხველმა თავად განსაჯოს, რა პერსპექტივა უნდა ჰქონდეს ოპოზიციად წოდებულ ბრბოს, რომელიც მთავარი მოღალატის — **სალომე ზურაბიშვილის** გარშემო გაერთიანდა?! ამათი ერთადერთი შანსი შეიძლება, უცხო ქვეყნის ჯარის შემოყვანა და საკუთარი სახელმწიფოს იარაღით დამხობა იყოს, მაგრამ ესეც არ გამოუვათ, რადგან საქართველოს არცერთი ის ქვეყანა არ ესაზღვრება, რომელმაც შეიძლება, ზურაბიშვილისა და მის ირგვლივ შეკრებილი ბრბოს ხელისუფლებაში მოსაყვანად სამხედრო ინტერვენცია განახორციელოს.

**— აქ სამხედრო ინტერვენციაზე კი არა, ე.წ. მაიდანსა და „ფერად რევოლუციაზეა“ საუბარი!**

— არამხოლოდ არჩევნებში გამარჯვებას, არამედ „ფერადი რევოლუციის“ მოწყობასაც რეპუტაცია და ავტორიტეტი სჭირდება, **სალომე ზურაბიშვილსა და მის ბრბოს** კი არც ერთი გააჩნია და არც — მეორე!

საფრანგეთსა და გერმანიაში განცდილი მარცხის კვალდაკვალ, გლობალური დასავლეთი რევანშის აღებას საქართველოში მართლაც შეეცდება, მაგრამ პერსპექტივა არა აქვს, რადგან მისი დასაყრდენი აბსოლუტურად გაკოტრებულია და ოპოზიციად წოდებული „შულავერის კომიტეტის“ რეიტინგი ნულის ტოლია.

**— ე.ი. არც იმას ელოდებით, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს კოალიციური მთავრობა ეყოლება?**

— დარწმუნებული ვარ, 26 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას უპრობლემოდ მოიპოვებს და კოალიციური მთავრობის არავითარი საჭიროება არ დადგება!

**— თუმცა, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ კოლექტიური დასავლეთი და მისი ადგილობრივი ადეპტები საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობის აღიარებას არ აპირებენ!**

— ჯერ ერთი, კოლექტიური დასავლეთი სულაც არ არის ერთგვაროვანი და საქართველოს ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში მოკავშირეები ჰყავს **უნგრეთისა და სლოვაკეთის სახით.** არ არის გამორიცხული, მათ რიგს საფრანგეთი და გერმანიაც მალე შეუერთდნენ, ნოემბრისთვის კი აშშ-ში, დიდი ალბათობით, **ტრამპის** ადმინისტრაცია იქნება.

გარდა ამისა, არ დაგვავიწყდეს, რომ **კოლექტიური დასავლეთის** გარდა არსებობს **კოლექტიური სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი,** რომელიც დედამიწის მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენს. ასე რომ, ყველაფერი რიგზე იქნება!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ოპოზიციაში უბედურების ზარმა ჩამოკრა, ჩემი **„ხაბე“ აღარ არის თავმჯდომარე,** დამიჩაგრეს — კი ვაფრთხილებდი, **გამოგიყენებენ, გიხმარენ და გადაგაგდებენ-მეთქი,** მაგრამ არ დაიჯერა.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



**ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე,** ექიმების მკაცრი რეკომენდაციით, ჩემთვის 2-3 თვის განმავლობაში აკრძალულია რეჟიმში მუშაობა — მაქვს სურვილი, **აგვისტოს ბოლოდან ჯანმრთელი შევეხიდო პარტიას.**

„ინტერპრესნიუსი“

**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



ევროპული არჩევნები გვეუბნება, რომ **რამდენიმეწლიანი ფანჯარა გვაქვს ევროპაში შესასვლელად.** დარჩება **ივანიშვილის** რეჟიმი? — დაიხურება ეს ფანჯარა! დავამარცხებთ? **წავალთ ევროპაში,** ოღონდ მხოლოდ ფეხბურთის ჩემპიონატზე არა.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ფავლენიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ყველა ის ადამიანი, რომელიც **ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოლებს** და გადადგამს ქმედით ნაბიჯებს, მათ შორის, **სალომე ზურაბიშვილი,** არ იქნება ჩვენთვის მიუღებელი.

„აიპრესი“

# წიწიკაშვილო, ასე რამ გაგაწიწაკა?

***რა უნდა ქნას თავის საქმეზე მიმავალმა მოქალაქემ, რომელსაც მოულოდნელად სხვა მოქალაქე გზას გადაუჭრის და დემონსტრაციულად შეურაცხყოფის მიყენებას დაუწყებს?***

ასე დაემართა პარლამენტის წევრ **ვიქტორ ჯაფარიძეს,** რომელსაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გზა წინასწარ ჩასაფრებულმა, **ვინმე მარიამ წიწიკაშვილმა** გადაუჭრა და უცხოელი აგენტების გამჭვირვალობის კანონისთვის ხმის მიცემის გამო საჯაროდ დაუწყო დამცირება. ნიშანდობლივია, რომ **წიწიკაშვილმა** არ იკმარა მხოლოდ დეპუტატის შეურაცხყოფა და მისი თანმხლები პირის დამცირებაზეც გადავიდა — აქაოდა, ჩემს წიწინს მთელ აეროპორტს გავაგონებ და ვინძლო, რამდენიმე ლიბერასტმა მხარიც ამიბასო.

**„თქვენ ხართ იმ ადამიანის გვერდით, ვინც საქართველოს დემოკრატია დაასამარა, ვინც საქართველოს ევროპულ მომავალს უთხრა უარი! თქვენ უნდა შეგრცხვეთ ყველგან! თქვენ ხალხს უნდა ემალებოდეთ!“** — არ ცხრებოდა გაწიწაკებული **ვინმე მარიამი.**

●

ასეთ დემარშს ლიბერასტები „გამოხატვის თავისუფლებად“ ნათლავენ, თუმცა, ყველა ნიშნის მიხედვით ეს გახლავთ წინასწარ დადგმული სპექტაკლი, რომელიც გათვლილია იმ უცხოელებზე, ვინც საქართველოში არეულობითა და შეიარაღებული გადატრიალებით არიან დაინტერესებულნი. ლიბერასტული მედიის საშუალებით მათ იაფფასიან დეკორაციას უქმნიან, თითქოს გამჭვირვალობის კანონის მიღების გამო საქართველოში პროტესტი არ ცხრება; თითქოს საქართველოში საზოგადოება ერთსულოვნად ეწინააღმდეგება ამ კანონს... არადა, კადრებში კარგად ჩანს, რომ მოქალაქეები წიწიკაშვილის პათოსს არ შეუერთდნენ, მხოლოდ მის დამშვიდებასა და სიტუაციის განმუხტვას შეეცადნენ!

**მარიამ წიწიკაშვილი** დააპატიმრეს „წესრიგის დარღვევისა“ და „წვრილმანი ხულიგნობის“ ბრალდებით, ხოლო მისი თანმხლები ჩიტ-ოპერატორი ბორტზე არ აუშვეს.

**„— ჩემი სასამართლო მალევე გაიმართა, თუმცა, დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის მიზნით, პროცესი 19 ივნისამდე გადაიდო. პოლიცია, ალბათ, ეძებს იმ ადამიანებს, ვისი სიმშვიდეც „დაირღვა“,** — წერს სოციალურ ქსელში **წიწიკაშვილი** და უნებურად თავადვე აღიარებს, რომ მისი დემარში ვერ შედგა! რომ საქართველოში საზოგადოებრივი თავშეყრის ნებისმიერ ადგილზე, მათ შორის, ხალხმრავალ აეროპორტშიც კი მის პოზიციას, თითო-ოროლა თანამდგომიც არ მოეპოვება! დიახ, ისტერიული დებოშის მიუხედავად, წიწიკაშვილმა ხალხმრავალ აეროპორტში თავისი წიწინწკავწკავით ძეხორციელის მიმხრობა ვერ შეძლო! სამაგიეროდ, „ერთი მსახიობის სპექტაკლი“ მაშინვე ზარ-ზეიმით აიტაცა „მთავარმა არხმა“ — **„ვიწიას ხალხის რისხვა უკვე მეორედ დაატყდა თავსო“.**

●

**მარიამ წიწიკაშვილის** დებოში მხოლოდ „წვრილმან ხულიგნობად“ შეფასდა, მაგრამ ხელისუფლება ვალდებულია, ამ „წვრილმანი ხულიგნობისთვის“ დამნაშავეს პასუხი მაინც აგებინოს. **დაე, რამდენიმე დღით ადმინისტრაციული წესით დააპატიმრონ, დაე, „საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის“ ფარგლებში მისი ამფსონების მიერ მიტინგების დროს საღებავებით მოთხვრილი დედაქალაქის შენობების კედლები აცეტონით აწმენდინოს, ნაგვიანი ქუჩები აგვევინოს, რათა ამ ახალგაზრდა ადამიანმა სხვისი დამცირების ტვირთი გააცნობიეროს, რათა მომავალში თავი მისი წამქეზებელი, უცხოეთიდან დაფინანსებული აგენტურისგან შორს დაიჭიროს!**

ნიშანდობლივია, რომ ეს აგენტურა ძველებური, ნაცური ტექნოლოგიებით თელავს ადამიანის ღირსებას. პიროვნებას საჯაროდ ამცირებენ, რადგან უწყიან, რომ დამცირებული ადამიანი საქართველოში ავტორიტეტი ვეღარ იქნება.

## დიახ, ეს არის ადამიანის ღირსებაზე გამიზნულად შეტევა, რაც ნაცების ცნობილი მეთოდია და მნიშვნელობა არა აქვს, დეპუტატს უტევენ თუ რიგით მოქალაქეს!

თანაც, წიწიკაშვილის გაწიწაკება არც გამონაკლისი შემთხვევაა, არც — ერთადერთი. მის გარდა ბოლო დღეებში სხვა ლიბერასტებიც გაწიწაკდნენ. როგორც ჩანს, სადღაც, ნახევრად ბნელ სარდაფში, ანდა, შეიძლება სულაც რომელიმე მდიდრულ აპარტამენტში ბობოლა ლიბერასტები გულდასმით სწავლობენ აგენტების გამჭვირვალობის კანონისთვის ხმის მიმცემი 84 პარლამენტარის დღის რეჟიმებს, მათ მარშრუტებს და ჩასაფრებებს გეგმავენ, რათა 30 ლარად დაფინანსებულმა რიგითმა წიწიკორებმა ღირსება შეულახონ **84 წესიერ ადამიანს,** რომლებმაც ისტორიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს და შესაძლოა, სულაც ქართველი ერის 30 წლის განმავლობაში უკუღმა ნაბრუნები ბედის ჩარხი წაღმა შეაბრუნეს. დიახ,

## 84 დეპუტატი გმირია, რადგან დემოკრატიულ ლოზუნგებს ამოფარებული ევროკავშირელი მენტორების დიქტატს აღუდგა!

**როგორც იქნა, ხალხის უმრავლესობის აზრი გაითვალისწინეს და ეს აზრი დააკანონეს!**

დახეთ, ამ დროს მართლაც 30 ვერცხლზე გაყიდული მონები და „შნირები“ რამდენს ბედავენ?! მკითხველო, მარტო პარლამენტარებს კი არა, ამას ჩვენც გვიბედავენ, ქართველი ხალხის უმრავლესობას!

●

მართალია, საჯარო პირს აქვს „თმენის ვალდებულება“, მაგრამ ეს ვალდებულება სულაც არ ნიშნავს მავანისგან გინებისა და შეურაცხყოფის ატანას, რადგან კონსტიტუციით ყოველი ადამიანი თანასწორია, ხოლო, თუ ადამიანის შეურაცხყოფა კანონით დასჯადია, თანაბრად უნდა ისჯებოდეს როგორც რიგითი ადამიანი, ასევე საჯარო პირი!

●

რასაც ნაცლიბერასტების მიერ დაქირავებული შემსრულებლები სჩადიან, ამას იურიდიულ ენაზე ჰქვია **ადამიანის დევნა მისი პოზიციისა და პოლიტიკური საქმიანობის გამო** და ამ მოქმედების პასუხად სანქცია განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის ფარგლებში! ეს უკვე აღარ არის ხულიგნობა, არამედ **სისხლის სამართლის დანაშაულია,** რაც გაცილებით მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. დროა, ყველა დანაშაულს შესაბამისი კვალიფიკაცია მიეცეს და ყველა დამნაშავემ სათანადოდ აგოს პასუხი!

***ზაზა დავითაია***




ნაცაქტივისტი წიწიკაშვილი აეროპორტში ვიქტორ ჯაფარიძესთან დაპირისპირებისას



ნაცაქტივისტი წიწიკაშვილი

***რამდენი ხანია, ვფიქრობ და ვერ ამომიხსნია — ესენი, ეს წიწიკაშვილები, წიწაკაშვილები, ბადრიჯანაშვილები და ყაბაყაშვილები აეროპორტში მორიგეობენ თუ ამ პარლამენტარებს შემთხვევით გადაეყრებიან ხოლმე?***

# ლაჯზე ასახევები!

რავი, მაქვს გონივრული ეჭვი, რომ **წიწიკაშვილები, წიწაკაშვილები, ბადრიჯანაშვილები, ყაბაყაშვილები და დომხალაშვილები** აეროპორტში მორიგეობენ. მეტიც, ვფიქრობ, მათ იმავე აეროპორტში ოთახი, ჩუსტები, ღამის პერანგი და ყავის მოსადუღებელიც აქვთ ნაქირავები დონორების მიერ.

**აბა, რანაირად შეიძლება, ყველა პარლამენტარს ვიღაც უდღეური ხვდებოდეს და მოღალატეს ეძახდეს? მონას ეძახდეს? თან ეს ლაჯზე ასახევი უდღეურები ხაზს უსვამენ, რომ რიგითი მოქალაქეები არიან.**

მოკლედ, დათა თუთაშხიას ვარიანტია, მისი სახელით სხვა რომ ყაჩაღობდა და ძარცვისას სპეციალურად იძახდა — **დათა ვარ თუთაშხიაო!**

ესენიც სპეციალურად იძახიან — **მოქალაქეები ვართ რიგითებიო, არავინაც არ გამოგვაგზავნაო!**

სხვათაშორის, **მიგზავნილთა ინსტიტუტი** ჯერ კიდევ ძველ რომში ჩაისახა. ქუჩებში ალაგ-ალაგ იდგნენ ე.წ. „ბირჟავიკები“, თუ ვინმეს გამწარება, თუ ვინმეს შეურაცხყოფა მოგინდებოდა, მიხვიდოდი, გროშებს გადაიხდიდი, ობიექტს დაუსახელებდი, თითით ანიშნებდი, ან მისამართს მისცემდი და „ვსიო“, საქმე გაკეთებული იყო. რასაკვირველია, დაკვეთის მიმღებები იყვნენ **უკანასკნელი ნაძირალები** და ესენიც არიან **უკანასკნელი ნაძირალები, ანუ ლაჯზე ასახევები!**

კიდევ ერთი, **ლაჯზე ასახევი ალქაჯი, ვინმე ქრისტო ტალახაძე ირაკლი ზარქუას** მივარდნია და სუ პუტინის მონა უძახნია, როცა ირაკლის ბავშვი მიუყვანია ცეკვაზე!

თუნდაც **ირაკლი ზარქუას** არ მიეყვანა ბავშვი ცეკვაზე, ამ **ლაჯზე ასახევ ალქაჯს,** ვინმე გაწეწილ ქრისტოს აქვს უფლება, ადამიანი ასე შეურაცხყოს?

რა თქმა უნდა, არა!

მივარდნები და „მონა-მონა“-ს ძახილი არის ძალზე გოიმური საქციელი და უაღრესად არაევროპული.

ზარქუამ მოითმინა — **ვერ გავბრაზდიო, უფრო შემეცოდაო.**

სხვა ვერ მოითმენს, ყველას არ გააჩნია შეცოდებისა და არგაბრაზების უნარი, **ახევს ამ ცოცხზე გადამჯდარ ალქაჯს ლაჯზე და მერე დაიწყებენ** — არა ძალადობასო!

რა **არა ძალადობას?**

განა ლაჯზე ახევა მაშინ, როცა შეურაცხგყოფენ, ძალადობაა?

სულაც არა!

მოდით, მოვილაპარაკოთ...

## თუ არ გინდათ, რომ ვიღაცები ლაჯებზე ახიონ და კიკინებით ითრიონ, ამ საკითხს უნდა მივხედოთ კანონითა და სამართლით.

არა, კანონითა და სამართლით მაშინ კი არ მივხედოთ, როცა ამ ცოცხზე გადამჯდარს **ლაჯზე ახევენ,** კიკინებით ცხენის კუდზე გამოაბამენ და რუსთაველზე ათრევენ, **მაშინ მივხედოთ, როცა ეს ცხენის კუდზე გამოსაბმელი ვინმეს შეურაცხყოფს და მონას ეძახის.**

ისე, რაღა დაგიმალოთ და... ძაან მაგარი წეს-ჩვეულებები ჰქონდათ შუა საუკუნეებში და მანამდეც ევროპიელებს — **ჩაიდენდა ეგეთ რაღაცას ვინმე ლაჯზე ასახევი? ეგრევე გამოაბამდნენ ცხენის კუდზე და მთელ დუნიაზე ათრევდნენ. არ გამოსწორდებოდა? წაუშენდნენ როზგსა და სუ ვაი-ვაის აძახებინებდნენ. კიდე არ გამოსწორდებოდა? დაადებინებდნენ თავსა კუნძზე და „ვსიო, მოჩრა“!**

ჩვენთან კიდე... რავი, ჯერ ხმას არავინ გასცემს, თუ ძაან აუშვებს, დააჯარიმებენ, მერე იმ ჯარიმასაც **კაპიტანი ბიბაური** გადაუხდის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების ჯიბიდან. არც ციხე, არც როზგი, არც კოცონი, არც თავის მოჩრა!

არადა, გამოდიან ეს ევროპიელები, რომლებიც გუშინ გილიოტინას ამუშავებდნენ და დემოკრატიაზე გველაპარაკებიან.

***გელა ზედელაშვილი***



ნაცაქტივისტი ტალახაძე


ნაცაქტივისტი ბერძენიშვილი

# წერასატანილი გამჩენძაღლები

ამ დღეებში სულ ვიძახი — **ვიღაცას ლაჯზე ახევენ-მეთქი.**

თქვენ გგონიათ, ვიღაცაში ერთ სულიერს ვგულისხმობ? არა, ეს წერასატანილი **გამჩენძაღლები ბევრნი არა, მაგრამ ამ ქვეყნისთვის მაინც საკმაოდ არიან.**

ესეც ატყდა სამგლე გოჭივით და აღარ გაჩერდა — **ქოცებს ამას გიზამთ და იმას გიზამთ.** „ფეისბუქში“ ისეთ რაღაცებს წერდა — ყური, ნუ გაიგონებ, თვალი, ნუ დაინახავ!

**ან პატრონი არ გყავს, ან დაშრიგებული არ გყავს, ან მეზობელი არ გყავს, ან უბნელი არ გყავს, ეგეთ სიმყრალეს რომ წერ, არ იცი, ყველა არ გაგიტარებს?**

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ყველაფრის შემდეგაც ისევ არი ატეხილი სამგლე გოჭივით და ისევ იმუქრება — **ყველა დაგიმახსოვრეთ, ამას გიზამთ, იმას გიზამთ.**

შე ჰასაკით მცირევ, და არა ახალგაზრდავ, **რამ გაგაბოროტა ასე, რამ გაგაცოფა, რამ გადაგიყვანა ჭკუიდან, განა ნაცებმა, მამაშენმა და ბიძაშენმა რა გაჭამეს, რა შთაგაგონეს ასეთი?**

არა, მამაშენისა და ბიძაშენის გოთვერნობებს რომ ვუყურებ, სხვანაირი ვერც გაიზრდებოდი, მაგრამ რა გინდა, რატომ ხარ მოწადინებული, ვიღაცა შარში გახვიო და ციხეში გაუშვა?!

ჭუტლექსაანთ „ვიზიამ“, ეს ყველაფერი **შალვა პაპუაშვილმა** წაახალისაო, მან გამოაქვეყნა წერილი, სადაც ეგეთები იწონასწორმეტყველა.

შალვა პაპუაშვილმა კი არ წაახალისა, გაგაფრთხილათ — **თუ წესიერად არ მოიქცევით და მაგ გოდრებივით თავებზე გადაისკლონტავთ, ვიღაცები ვეღარ მოგითმენენო.**

რა არო აქ გაუგებარი?

როცა ასეთ სისაძაგლეზე მიდიხართ, იმისთვისაც მზად უნდა იყოთ, რომ ვინმე სიდათისაც „გაგილამაზებთ“. თქვენ გინდათ, სხვებს აგინოთ, სხვები შეურაცხყოთ და შეურჩეთ?

ისე კი, **თქვენ თვითონ ხართ მონები, მოღალატეები, გამყიდველები, ბოზები, ჩათლახები, აგენტები და ყველაფრის მკადრებლები.**

მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც არ მსიამოვნებს ცინგლისა და სისხლის დანახვა.

ამიტომ, ბიჭებო, ხელს ნუ ახლებთ, ერთი რო შეუბღვიროთ, ეგრევე წრაწად იღვრებიან!

**გელა ზედელაშვილი**





***სამოქალაქო აქტივისტი შაკო კუჭაშვილი ბოლო დროს ქვეყანაში გაჩაღებული ლანძღვა-გინების, ე.წ. ბულინგისა და ცემა-ტყეპის ფაქტებს ეხმიანება და აცხადებს, რომ მათ უკან ნაცაქტივისტები და ევროპული და ამერიკული ფონდებიდან მსუყედ დაფინანსებული „ენჯეო“-აგენტურა დგას:***

— **ვიტალი (ჯოტო) გუგუჩიამ,** რომელიც პარლამენტარ **ვიქტორ ჯაფარიძეს** ეუზრდელა და უბინძურესი სიტყვებით „პოსტივის“ ჟურნალისტებსაც აგინა, ჩემი ინფორმაციით, სოლოლაკში თავისი ხილ-ბოსტნის მაღაზია დაკეტა. მოგეხსენებათ, გუგუჩია „გირჩი — მეტი თავისუფლების“ წევრია, ხოლო ადრე **მეზის ქარდავას** რიგითი მონა იყო და ხალხს სისხლს უშრობდა. **როგორც კი გუგუჩიას ზონდერობის ამბავი გახმაურდა, ამ მართლაცდა გარეწარმა გუდა-ნაბადი აიკრა და იმის შიშით, რომ ვინმეს მისთვის ძველი ცოდვების გამო პასუხი არ მოეთხოვა, მაღაზია დაკეტა.**

**— მაინც ვინ არის ეს ხალხი, რომელიც დეპუტატებს, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მხარდამჭერებს და, ზოგადად, „ქართული ოცნების“ აქტივისტებს თავს ესხმის, აგინებს, უშვერი სიტყვებით ლანძღავს და პროვოკაციებს უწყობს?**

— ვიტალი (ჯოტო) გუგუჩია ვიღაც არის, უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება მეორე ზონდერს — **თამთა შამათავას**, რომელიც ჩვენს საიმხო კლოთბირთულსა და პარლამენტარს **ვიქტორ სანიკიძეს** დაესხა თავს, „სტრატეგია — აღმაშენებლის“, ანუ ე.წ. ზოვე ვაშაძის ხელისგოგოა. შამათავას თავის სექტაშიც არ ეცემენ პატივს, ამიტომ ის ყურადღების მიპყრობას ასეთი სამარცხვინო მეთოდებით ცდილობს. წარმოგიდგენიათ?

— **თამთა შამათავა**, რომლის პარტიის თავმჯდომარესაც მართლაცდა რუსეზზე აქვს ბინა გაქირავებული, მიუვარდა **ვიქტორ სანიკიძეს** და „რუსი“ ეძახა... ამაზე მეტი მარაზმი ძნელი წარმოსადგენია... აეროპორტში ისევე და ისევ **ვიქტორ ჯაფარიძეს** თავს დაესხა ორგანიზაცია „გრასის“ თანადამფუძნებელი **მარიამ ჭიჭინაძე**, რომელიც **სერგი კაპანაძესთან** და **ელენე ხოშტარიასთან** ერთად წარმოადგენს ერთ გუნდს. **ჭიჭინაძეც, ხოშტარიაც და კაპანაძეც** „გრასის“ თანადამფუძნებლები არიან... ხოლო ამ ორგანიზაციას აფინანსებს ევროკავშირი. ჭიჭინაძეთ ისევე მიერთობულია ლიბერალური სიტყვის თავისუფლების შეზღუდველ ორგანიზაცია „**ფაქტ ჩეკერთან**“... სწორედ ევროკავშირის ფულით დაფინანსებული ეს ორგანიზაცია ბლოკავს ინფორმაციებს და ვისაც მიზანში ამოიღებს, ფეისბუქს უბლოკავს...

არ მეგულება საქართველოში ადამიანი, რომელსაც ფეისბუქი ერთხელ მაინც არ დაუბლოკავს. ეს ყველაფერი ამ „ფაქტ ჩეკერების“ მიერ ამერიკაში გაგზავნილი წერილების დამსახურებაა. ელენე ხოშტარიას, სერგი კაპანაძისა და მარიამ ჭიჭინაძის „გრასს“ ასევე აფინანსებს **ევროკავშირის ფონდიც... საბოლოო ჯამში რა გამოდის — ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი თავიანთი ფულებით დაფინანსებულ გარეწრებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს უქსევენ და „ქართული ოცნების“ დეპუტატების ლანძღვა-გინებას ავალებენ, რათა ქვეყანა არიონ და დალუპონ!**

**— ხელისუფლება ამას აპროტესტებს, მაგრამ არც ამერიკელები და არც ევროპელები ხმას არ იღებენ, რატომ?**

— ამ ფონდების დამფინანსებლებისა და ძალადობის წამხალისებლებისგან, ცხადია, ჩვენ კარგს არაფერს უნდა ველოდოთ! ერთადერთი, რაც მათ გააკეთეს, ის გახლავთ, რომ ჟურნალი „ტაბულა“, რომელიც აქამდე **თამარ ჩერგოლეიშვილს** ეკუთვნოდა და სწორედ უცხოური გრანტებით ფინანსდება, გადააცემინეს ერთ-ერთ თავის მეგობარზე, რადგან ჩერგოლეიშვილი საკუთარი პარტიის პრაიმერისში მონაწილეობს. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს იმას, როცა ნიკა გვარამიამ ტელეკომპანია „მთავარი“ თავის ყოფილ ცოლს გადასცა, აქაოდა, ტელევიზიაზე პოლიტიკური გავლენა არ მექნებაო!

**— წინა კვირას მაღაზიაში ვინმე ბექა პაპაშვილი თავს დაესხა ბექა ოდიშარიას!**

— **ბექა პაპაშვილი** მგზნებარე მიშისტია, რომელმაც უშვერი სიტყვებით მოიხსენია ბექა ოდიშარიას გარდაცვლილი დედა... როგორც კი იქვე მყოფმა ადამიანებმა და ბექა ოდიშარიას მხლებლებმა პაპაშვილს მომწამვლელი გაზის ბალონი წაართვეს, მაშინვე ჯღავილი ატეხა — არიქა, მცემეს და ჩემზე იძალადესო! ანუ ეს პირი ტიპური ნაცი ქათამია, რაც უკვე ყველაფერს ნიშნავს.

**— ამ დღეებში სცემეს დავით ბერძენიშვილის ვაჟი ზუკა ბერძენიშვილი, რატომ?**

— ვიდრე სცემდნენ, მანამდე ერთი კვირით ადრე ზუკა ბერძენიშვილი „ფეისბუქის“ პირად



# შაკო კუჭაშვილი:

# საქართველოში „ქათმების რევოლუცია“ არ მოხდება!





ნაცაქტივისტები - ვიტალი გუგუჩია და თამთა შამათავა

## «ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი თავიანთი ფულებით დაფინანსებულ გარეწრებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს უქსევენ!»

გვერდზე „ქართული ოცნების“, მინისტრების, დეპუტატებისა და სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერების მისამართით საშინელებებს წერდა და ყველას სიკვდილს უსურვებდა! **„ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში მილიონზე მეტი ხმა მიიღო. აქედან გამომდინარე, როცა ზუკა ბერძენიშვილი მსგავსი მიზინდარა ქუჩაში სადმე შეხვდება, არ არის გამორიცხული ამ მილიონი ადამიანიდან ვინმე გამოჩნდეს და ფუჟულა-კრულვისა და ბინძურობის გამო ბერძენიშვილს პასუხი მოსთხოვოს!**

**— თქვენ ახსენეთ „ქათმები“... თქვენი აზრით, რისთვის ემზადებიან ისინი?**

— გასაგებია, რომ ქათმები სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად ცბილებს ილესავენ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მართლმადიდებელ საქართველოში **„ქათმების რევოლუცია“** არ მოხდება!

ესაუბრა
**დიტო ჩუბინიძე**

# „მაქვს მყარი საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ „3+3“ ფორმატის ცენტრი, ანუ დედაქალაქი თბილისი იქნება!“




***ქართველი ხალხი უკვე დარწმუნდა, ვინ არის მისი მტერი! მალე შევიტყობთ, ვინ არიან მეგობრები! — გვითხრა რუსეთის პოლიტიკურ ვერტიკალთან დაახლოებულმა ქართველმა ბიზნესმენმა და პოლიტიკოსმა, პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ საერთაშორისო მდივანმა მამუკა ფიფიამ:***

## მამუკა ფიფია:

# მოსკოვში საქართველოს საელჩო უახლოეს მომავალში უნდა აღდგეს!

— საქართველოს ფინანსურ სისტემას ჯერჯერობით დასავლეთი აკონტროლებს და ჩვენი ბანკებიც დასავლეთზეა მიბმული. შესაბამისად, დოლარის გაძვირება იმან გამოიწვია, რომ დასავლეთმა ლარების მარაგი გაგვიყიდა. ამასთან ერთად, დამატებით, მოსახლეობის ნაწილი პანიკას აჰყვა, ლარებით დოლარის შეძენას შეუდგა და ეროვნული ვალუტის გაუფასურებას თავადაც შეუწყო ხელი. **ეროვნულ ბანკს დოლარის საკმარისი მარაგი გააჩნია და შეუძლია, მისი გაყიდვით შეაჩეროს და დააბალანსოს ლარის გაუფასურება. ეს პაექრობა კიდევ მცირე ხანს გაგრძელდება, ვიდრე დასავლეთი ლარით მანიპულირებს.** ჯერჯერობით სხვა საფრთხის ნიშანწყალიც არ ჩანს — საქართველოდან არც რომელიმე ინვესტორი წასულა, არც რაიმე დახმარება შეუჩერებიათ ხალხისთვის.

**დასავლეთმა, რომელმაც ქართველი ხალხის დასჯა გადაწყვიტა, ამჯერად მხოლოდ ამ იაფფასიანი ილეთით შეაშინა საქართველოს მოსახლეობა.** ნუ გვიკვირს, რადგან ბანკები მათ ხელშია. სხედან ლონდონში დირექტორთა საბჭოს წევრები, 12 კაცი, რომელთა შორის შესაძლოა, ქართველი არც არის, რეკავენ და ბანკებს ლარის გაყიდვას აიძულებენ...

**— კიდევ რა ბერკეტები აქვს დასავლეთს?**

— ბერკეტები ბევრია. მაგალითად, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ

**დასავლეთმა ჯერ კიდევ მაშინ დაგვასანქცირა, როცა საქართველოდან რუსეთში ავტომანქანების გაყიდვა აგვიკრძალა და, შესაბამისად, უზარმაზარი შემოსავალი წაართვა ქართველ ბიზნესმენებს.**

მსგავსი მექანიზმები კიდევ ექნებათ, მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველო ეკონომიკურად დასავლეთზე კი არა, რუსეთზეა მიბმული, რომელიც საქართველოსთვის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია. რუსეთის შემდეგ ჩვენი პარტნიორები არიან თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანი, სადაც დასავლეთის დღის წესრიგი არ ვრცელდება! ამ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებას უდიდესი პერსპექტივები აქვს, ხოლო თუ შევალთ ე.წ. „ბრიქსში“ **(ბრაზილია-რუსეთი-ინდოეთი-ჩინეთი-სამხრეთ აფრიკის თანამეგობრობა)**, დასავლეთის სანქციებს საერთოდ ვერ ვიგრძნობთ!

ფაქტობრივად, დასავლეთმა საქართველოსთან წააგო. არცთუ შედეგიანი სანქციებით ის თავად უბიძგებს საქართველოს სხვა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანებისაკენ. საქართველოსთვის გზაჯვარედინის, ანუ „აბრეშუმის გზის“ ოდინდელი ფუნქციის დაბრუნება, რაც ამჟამად ხორცს ისხამს, მთლიანად შეცვლის რეგიონულ და ნაწილობრივ — მსოფლიოს ამჟამინდელ წესრიგსაც!

**— მაგრამ ეს მხოლოდ პერსპექტივებია. ამასობაში კი დასავლურმა სანქციებმა რეალურად მოგვიკაკუნეს და, ვაითუ, გაუთვალისწინებელი ზიანიც მოგვაყენონ?**

— ხიჭვი უნდა ამოიღო, რათა მუდმივ დისკომფორტს თავი დააღწიო. დიახ, ამ სანქციების შედეგად ცოტა კიდეც გაგვიჭირდება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საპირწონე მხარეს არის ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა და სუვერენიტეტი, რომლის დათმობასაც ევროკავშირი მოითხოვს! აქამდე ბევრი დავუთმეთ დასავლეთს, სუვერენიტეტის ჩათვლით, იმ იმედით, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაგვეხმარებოდა, მაგრამ ამაოდ. ამდენად, მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მტკიცე პოზიციის დაფიქსირება, რომ სუვერენული ქართული სახელმწიფოს უფლებაა, თავად განსაზღვროს ზნეობრივი ორიენტირები!

**— სად არის გარანტია, რომ მომავალში სუვერენიტეტის დათმობას არ მოგვთხოვს იგივე „ბრიქსი“, როდესაც ამ კავშირში გაწევრიანებას დავაპირებთ?**

— საქართველოს გავლით „აბრეშუმის გზა“ და სხვა ლოჯისტიკური პროექტები თუ ამოქმედდება, „ბრიქსის“ ქვეყნები თავად იქნებიან დაინტერესებული. უფრო მეტიც, **მაქვს მყარი საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ „3+3“ ფორმატის ცენტრი, ანუ დედაქალაქი თბილისი იქნება!** ქართველი ხალხი უკვე დარწმუნდა, ვინ არის მისი მტერი, მალე ვიხილავთ, ვინ არიან ჩვენი მეგობრები!

**— პროლიბერალური ტელეარხები უკვე აყიჟყიჟდნენ, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა იგეგმება. ეს სიმართლეა?**

— საერთაშორისო ზეწოლის ფონზე საქართველოს სწორედ ახლა ძალიან სჭირდება რუსეთის მხარდაჭერა, რადგან დასავლეთი გამალებით ცდილობს, მოგვიწყოს რევოლუცია და დაამხოს ურჩი ხელისუფლება, რომელმაც მტკიცე უარი უთხრა ბრძანებების შესრულებაზე. **მიმაჩნია, რომ დღის წესრიგში სწორედ ახლა დგება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის ამოცანა.** დიახ, მოსკოვში საქართველოს საელჩო უახლოეს მომავალში უნდა აღდგეს და ამას ალტერნატივა არ გააჩნია!

**— მაგრამ ლიბერალი ოპონენტები ირწმუნებიან, რომ ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და პირისპირ საუბარი საქართველოს ინტერესებს დააზიანებს.**

— სწორედ ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე უმაღლეს დონეზე დასალაპარაკებლად არის აუცილებელი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა! ერთმანეთის პირისპირ უნდა დასხდნენ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები და დიპლომატები. ჟენევის ფორმატით რუსებთან საუბარი შედეგს ვერ მოიტანს, ის მკვდრადშობილი ფორმატია. **„ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან ექსკლუზიურად ვაჟღერებ წინადადებას, ჟენევის ფორმატი მინსკში გადავიტანოთ და „მინსკის ფორმატად“ გარდავქმნათ!** მოვიწვიოთ ბელარუსი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი და მათი თანდასწრებით დაველაპარაკოთ რუსეთს! პარალელურად, მზად უნდა ვიყოთ ფინანსური თუ პოლიტიკური რყევებისთვის, ყველა სცენარისთვის, რაც კი შეიძლება დასავლეთმა თავს მოგვახვიოს.

**— რას გულისხმობთ?**

— ჩვენი ყოფილი „პარტნიორები“ ფინანსურად ძლიერები არიან და საქართველოში კარგად გაწვრთნილი რეზიდენტული ქსელიც გააჩნიათ. ისინი უკანასკნელად აუცილებლად გაიბრძოლებენ, მაგრამ ჩვენი მეზობლები არ დაუშვებენ, რომ საქართველოში დასავლეთმა მეორე ფეხიც მყარად დადგას! მითუმეტეს, იმ ფონზე, როცა გაჟღერდა საუკუნის პროექტის შესახებ, რომლის თანახმად, ანაკლიის პორტი ჩინური ინვესტიციით უნდა აშენდეს! **ამ პროექტის რეალიზაცია სამუდამოდ დაასამარებს შავ ზღვაზე კონტროლის დამყარების ვაშინგტონისეულ მცდელობას!** ეს იქნება საქართველოსთვის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული თვითმყოფადობის და სარწმუნოების დაცვის, საქართველოს ნეიტრალიტეტის მყარი საფუძველი!

**— ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ვლადიმერ პუტინი საქართველოს მტერია. მაინტერესებს პირადად თქვენი აზრი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ქართველ ხალხთან როგორ დამოკიდებულებაშია?**

— დაბეჯითებით მინდა, გითხრათ, რომ **ვლადიმერ პუტინს** გულწრფელად უყვარს ქართველები! 2003 წელს პირადად ვიმყოფებოდი მოსკოვში სუფრასთან, რომელსაც უსხდნენ **ვლადიმერ პუტინი და იგორ ივანოვი,** როდესაც შევარდნაძემ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. — **„როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება, ასე ხომ სისხლი დაიღვრება!“** — სინანულით ჩაილაპარაკა პუტინმა. — **„იგორ სერგეევიჩ!“** — მიუბრუნდა იგი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს — **„სასწრაფოდ გაემგზავრეთ თბილისში და ქართველებს აარიდეთ განსაცდელი!“** დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალშიც ვლადიმერ პუტინი გადამწყვეტ სიტყვას ქართველების მხარდასაჭერად იტყვის!



საქართველოს ინტერესების სექცია რუსეთში, შვეიცარიის საელჩოში

### ბოლოთქმა

ინტერვიუ 12 ივნისს ჩავწერეთ, როდესაც რუსი ხალხი **„რუსეთის დღეს“** ზეიმობდა. **მამუკა ფიფიამ** გვთხოვა, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან რუსი ერისთვის ამ დღესასწაულის მილოცვის საშუალება მიგვეცა: — **„რუსებს ვულოცავ ეროვნულ დღესასწაულს! უფალმა ინება, რომ ქართველები და რუსები ერთობლივი ხვედრით დაგვაკავშირა. — იქნება რუსეთში მშვიდობა? — სიმშვიდე იქნება საქართველოშიც! მტერი რაც არ უნდა ეცადოს შუღლის ჩამოგდებას, უფლის ნებით, რუსები და ქართველები იმ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც ანტიქრისტეს წინააღმდეგ გაიმართება, მაინც ერთად ვიქნებით!“**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

**„ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან ექსკლუზიურად ვაჟღერებ წინადადებას, ჟენევის ფორმატი მინსკში გადავიტანოთ და „მინსკის ფორმატად“ გარდავქმნათ! მოვიწვიოთ ბელარუსი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი და მათი თანდასწრებით დაველაპარაკოთ რუსეთს!“**

№31 (267) ★ 2024 წლის 17 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან

# საქართველო, დასავლელ მეგობართა გეგმით, ტიტულოვანი სახელმწიფოდან ფიტულოვან ქვეყნად უნდა გადაიქცეს!

***მიზანი, რომელიც საქართველოში უცხოელ აგენტებს — არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას დაუსახეს, არის ქართველების დარწმუნება იმაში, რომ რუსეთი მონობის სიმბოლოა, დასავლეთი კი — კეთილდღეობის. 90-ან წლებში და უფრო ადრე დაბადებულებმა არამც და არამც არ უნდა შეიტყონ, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველო იყო ერთიანი და სუვერენული რესპუბლიკა ინფლაციის, შინაომებისა და უმუშევრობის გარეშე, უფასო განათლებით, ჯანდაცვით, შრომისა და დასვენების უფლებით. თაობებმა არ უნდა იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა, სადაც რუსები და ქართველები მოძმე ერები იყვნენ, ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲘᲜᲐᲜᲝᲑᲘᲗ, ხოლო მეორე ფრონტი მოკავშირეებმა მხოლოდ ომის დასრულებამდე 11 თვით ადრე, 1944 წლის ივნისში, გახსნეს და ისიც სტალინის მხრიდან ზეწოლის შედეგად, უფრო მეტიც, გერმანიის სამდიდრის სრული წილის მისაღებად.***

მათ, ვინც ახლა 35 წლის და უმცროსი ასაკისაა, არ უნდა შეიტყონ, რომ 1990 წელს, ვიდრე დასავლეთი უცხოელი აგენტების ხელით მოსკოვში სსრკ-ის ლიკვიდაციას მოახდენდა, 1 ამერიკული დოლარი ოფიციალურად 60 კაპიკი ღირდა, ხოლო 10 რუბლად სამ ადამიანს შეეძლო, 1 ბოთლი ქართული ღვინით ესადილა თბილისის ნებისმიერ რესტორანში; რომ თბილისი-მოსკოვის ავიაბილეთი 37 მანეთი და 50 კაპიკი ღირდა, ხოლო 300 მანეთი საკმარისი იყო, რათა ოჯახს საგზურით ერთი თვე დაეყო აფხაზეთის დასასვენებელ სახლებში, თანაც სამჯერადი კვებით.

მაგრამ, საუბედუროდ, **საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში მოხდა პოლიტიკური კლასის მკვეთრი დეგრადაცია. სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის მიერ შემოღებული სტანდარტები ითვალისწინებდა მონურ მორჩილებას სახელმწიფო ხელისუფლების მთელ ვერტიკალში, ხოლო ინიციატივა და ინტელექტი ჩარჩოებში მოექცა.** კარიერის გულისთვის მონებად შეიძლებოდა ქცეულიყვნენ მხოლოდ დაბალი მორალის მქონე, სულიერად ღარიბი და გაუნათლებელი ადამიანები, როგორებიც იყვნენ **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲐᲜᲘ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘ ᲐᲜ ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲘ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘ,** რომლებიც მის დაორსულებულ შეყვარებულებზე ქორწინდებოდნენ.

**შედეგად, დღეს საქართველოში თითქმის აღარ დარჩნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ნამდვილი პოლიტიკოსები.** ტელევიზორში ყოველდღიურად ვაწყდებით საპარლამენტო მანდატით აღჭურვილ უზრდელ ადამიანებს, კომედიანტებსა და დილეტანტებს, რომლებიც აწყობენ ფლეშმობებს, როგორც მათ ტრენინგებზე ასწავლეს უცხოელმა პოლიტტექნოლოგებმა, მაგრამ, ადრე თუ გვიან, დგება მომენტი, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ნასყიდი მედიისთვის გრანტების ნაკადი ამოიწურება და ყველაფერი შეიძლება ძალიან კარგადაც იყოს, მაგრამ ამ ამბავში ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ **ჩვენ დავკარგეთ დრო, რომლის დაბრუნებაც შეუძლებელია!** პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თვითგამოცხადებული ჟურნალისტების პროვინციული ფაშიზმის დაძლევა შეუძლებელია, ხოლო ჭკვიანი და ნიჭიერი მოქალაქეების ხელისუფლებაში მოხვედრა კვლავაც გამორიცხულია, რადგან მათ არა აქვთ ფული და მაღალი ნაცნობობა. ცუდია, რომ საქართველოში უკვე ყველაფერს კადრები კი არა, ფული წყვეტს, პოლიტიკა კი, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, მდიდრებისა და უცხოელი აგენტების პოლიგონია!







ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ. 2024 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

დიახ, ყველაფერი მართლაც შეიძლება ძალიან კარგად იყოს, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს **ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ** სტრიქონები, რომელთა მიხედვითაც, **„ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!“** აბა, სხვაგვარად რით ავხსნათ ის მოცემულობა, რომ ღირებული პერსპექტიული კადრები, პატრიოტები და „ქართული ოცნების“ ერთგული ამომრჩევლები, რომელთა მეოხებითაც მმართველმა პარტიამ მოიგო ყველა არჩევნები 2012 წლიდან მოყოლებული, ისევ არ მიიღებიან საჯარო სამსახურში, რადგან **ისინი ან მათი ოჯახის წევრები პატივს სცემენ ჩვენი გმირი წინაპრების ღვაწლს და დადებითად უყურებენ თუნდაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარების საკითხს.**

სამაგიეროდ, წინა პლანზე გამოდიან კონფორმისტ-დემაგოგები, ინტრიგანები და ფარისევლები, რომლებიც უფრო მეტად ანადგურებენ მმართველი პარტიის იმიჯს, ვიდრე ყველა უცხოელი აგენტი ერთად! და რა?! მათი წყალობით, დღეს თავად „ქართული ოცნება“ გამოცხადდა პრორუსულ, კრემლისტურ ძალად, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდათ ამ ამაზრზენი ჰაბიტუსის მქონე იდიოტებს!

**ეჭვი მეპარება, რომ ბიძინა ივანიშვილმა იცის, თუ როგორ გაუკუღმართდა მისი პარტიის მმართველობის 12 წლის განმავლობაში ახალგაზრდების ბედი, როგორ გამოაცხადეს საქართველოს მოქალაქეები მეორეხარისხოვნად, რადგან გაბედეს ოცნება რუსებთან, აფხაზებთან, ოსებთან მეგობრობის აღდგენაზე.**

სააკაშვილის ხელისუფლებამ გამარჯვებულ გმირთა შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს აუფეთქა ქუთაისში სამხედრო დიდების სტელა, ხოლო მოქმედმა ხელისუფლებამ წაართვა გამარჯვების მემორიალი თბილისში და უცნობი ჯარისკაცის საფლავი, ჩააქრო მარადიული ცეცხლი გამარჯვების პარკში!

**ივანიშვილის მრჩევლებად მსახურობდნენ** (ზოგიერთი მსახურებას დღემდე აგრძელებს!) **უწესო ადამიანები — პირფერები, გამყიდველი ვიგინდარები, თვითმარქვიები და კომბინატორები, რომლებიც ჯერ ამაღლების ქუჩის თავში ბლოკავდნენ ნებისმიერ ცოცხალ იდეას თუ ობიექტურ ინფორმაციას.** სამწუხაროდ, ისინი დღეს ივანიშვილის მტრების პირველ რიგებში არიან! მათი დამსახურებით საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა მედიასაშუალება — ტელეკომპანიები, საინფორმაციო სააგენტოები და გაზეთები მუშაობს ოპოზიციაზე, ხოლო რამდენიმე ობიექტურ მედიას, რომელიც ხალხის ნდობით სარგებლობს და ხელისუფლებას უჭერს მხარს, ამ მთავრობისგან არ მიუღია უბრალო მორალური მხარდაჭერაც კი!

საქართველოს შეეძლო, დიდი ხნის წინ გამხდარიყო აყვავებული და სუვერენული სახელმწიფო, სამხრეთ კავკასიის გვირგვინი, რომ არა **დაკარგული დრო!** „ქართველთა ქვეყანა“ — „საქართველო“ — „Georgia“, მისი დასავლელი მეგობრების გეგმის მიხედვით, **ტიტულოვანი სახელმწიფოდან ფიტულოვან ქვეყნად უნდა გადაიქცეს,** როგორც ეს მოხდა ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და უკრაინაში! **საქართველო უნდა იქცეს ანგლოსაქსების ახალ კოლონიად და კონტრიბუტორად დასავლეთის ყველა ომში, მათ შორის, რუსეთის წინააღმდეგ!**

***ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ***

ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ★

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი". 2024 წლის №22-30*

**— მოსკოვურ ციხეთა სასტიკ ატმოსფეროში მოხვედრილს თუ გიფიქრიათ იმ ადამიანებზე, ვინც იქაური ჯოჯოხეთი მამათქვენის „ლოცვა-კურთხევით" გამოიარა ან სულაც მას შეეწირა?**

— ციხეში ადამიანი საერთოდ ბევრს ფიქრობს. მას უჩნდება განვლილი გზის ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის მწვავე აუცილებლობა. მამაჩემის დაღუპვა, როგორც ვამბობდი, ჩემთვის სრულ მოულოდნელობად იქცა. საკანში მე არ მომდიოდა პრესა, არ მქონდა რადიო, ამიტომ ბოლომდე ვერ ვიგებდი, რა მოხდა, რა დააშავა მამამ, რაში ვიყავი პირადად მე დამნაშავე... გამომძიებელთა მონაჩმახი მამაჩემის გამცემლობასა და ჯაშუშობაზე ერთი წამითაც არ მჯეროდა. არ მჯერა ეს დღესაც, რადგან მამაჩემი **ლავრენტი ბერია** მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჯაშუში შეიძლებოდა ყოფილიყო.

ციხეში მე აზრადაც არ მომსვლია, რომ აქ ხალხს მამაჩემის ბრძანებით ამწყვდევდნენ. ჩემი გაგებით, იგი იყო დიდი თანამდებობის პირი, რომელიც პასუხს აგებდა მასზე დაკისრებულ უბანზე. ეს უბანი კი მარტო სამართალდამცავ საქმიანობას არ მოიცავდა.

**— სვერდლოვსკში გაგზავნის წინ ბრალდება მოგიხსნეს?**

— მთავრობის გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც პროექტის რეალიზაცია მევალებოდა, მითითებული იყო, რომ დაშვებული ვარ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ განსაკუთრებულ საქაღალდესთან, საიდუმლო და სრულიად საიდუმლო დოკუმენტებთან, მაგრამ იქ ჩემი პატიმრობა და გამოძიების ქვეშ ყოფნა ნახსენები არ იყო.

**— ხელისუფლებამ იმიტომ ხომ არ გაგათავისუფლათ, რომ გაახსენდა ცნობილი გამოთქმა: „შვილი მამაზე პასუხს არ აგებს?"**

— არა მგონია, რომ ეს მარტო ხელისუფლების მოწყალება იყო. მასზე ძლიერი გავლენა მოახდინეს წამყვანმა მეცნიერებმა, რომლებმაც მიაღწიეს არამარტო ჩემს გათავისუფლებას, არამედ საყვარელ სამუშაოზე დაბრუნებასაც. სვერდლოვსკში ჩამომაკითხა **კურჩატოვმა,** მინახულეს მისმა კოლეგებმაც. მადლიერების გრძნობით უნდა განვაცხადო, რომ მე მიხსნა რუსეთის ტექნიკურმა ინტელიგენციამ, რასაც, უწინარესად, აღვიქვამ ჯერ — მამაჩემისადმი, მერე კი ჩემდამი გულწრფელ დამოკიდებულებად!

**— გათავისუფლების მერე ორგანოებს არ უცდიათ თქვენი გადაბირება, არ შეუთავაზებიათ საიდუმლო თანამშრომლობა?**

— არ დაუდვიათ ასეთი პატივი! ლეფორტოვოსა და ბუტირკაში გამოჩენილი შეუპოვრობით ისინი, ალბათ, დავარწმუნე, რომ მსტოვრად ვერ მაქცევდნენ. ამიტომ „ლაბადისა და ხანჯლის რაინდები" სვერდლოვსკშიც მუდმივად მითვალთვალებდნენ.

**— სვერდლოვსკში ცხოვრება გადასახლება იყო?**

— ოფიციალურად არა, მაგრამ ფაქტობრივად — კი. განსაკუთრებული ნებართვის გარეშე არც მე და არც დედას ნაბიჯის გადადგმა არ შეგვეძლო.

**— მართალია, რომ დედათქვენი მშობლიურ მარტვილში ჩავიდა და მიწის ნაკვეთი ითხოვა, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უარით გაისტუმრა?**

— პირიქით. დედა მარტვილში სწორედ ადგილობრივ ხელისუფალთა მიწვევით ჩავიდა, მაგრამ საქმეში ჩაერია საქართველოს სუკის უფროსი **ალექსი ინაური** და დედა სვერდლოვსკში ჩამოაბრუნეს.

**— დედათქვენი, მგონი, არალეგალურადაც იყო საქართველოში...**

— 1958 წელს ანონიმი რესპონდენტისგან მოგვივიდა მამაჩემის ფოტო, რომელიც, ანტურაჟის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, გადაღებული იყო ბუენოს-აირესში, არგენტინის პრეზიდენტის სასახლის ფონზე. **თუ ჩემმა ამანათმა დაგაინტერესათ,** — წერდა ანონიმი, — **ჩამოდით ჩელიაბინსკში, სადაც ამა და ამ ადგილზე დაგხვდებათ კაცი, რომელიც ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნით!** წერილმა და ფოტომ დედა ძალიან ააღელვა და მკაცრი მეთვალყურეობის მიუხედავად, აღნიშნულ მისამართზე გამგზავრება მთხოვა. ჩელიაბინსკში მაშინ სტუმრად იმყოფებოდა ჩემი ყოფილი ძიძა **ელა ალმენდინგერი,** რომლის ძმაც ერთ-ერთი ადგილობრივი ქარხნის დირექტორი იყო. ელა დეიდას ტელეფონით შევატყობინე — ჩამოვდივარ და შესაძლოა, დამჭირდე-მეთქი.

შაბათ დილას მე და ჩემი ამხანაგი ველოსიპედებზე დავსხედით და გზას გავუდექით. სვერდლოვსკიდან ჩელიაბინსკამდე 250-მდე კილომეტრია, რაც სულაც არაა დიდი მანძილი ღონიერი და ჯანსაღი ბიჭებისთვის. მე მოვუყევი ძიძას ჩამოსვლის მიზეზი და ჩემს ნაცვლად წასვლა ვთხოვე. იგი უყოყმანოდ დამთანხმდა, მაგრამ მალე დაბრუნდა და ცუდი ამბავი მოიტანა: **ინკოგნიტო მარტო დედასთან შეხვედრას ითხოვსო.**

ამ ამბის შემდეგ ცოტა დრო იყო გასული, როცა ჟურნალი „ვოკრუგ სვეტა" შემოგვიგდეს, სადაც იგივე სურათი დაებეჭდათ. ბარათის მიხედვით, დედას ამჯერად შავი ზღვის სანაპიროზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში ელოდნენ. ჩვენ არ გამოვრიცხავდით, რომ ეს პროვოკაციაა, მაგრამ ვის სჭირდებოდა იგი? ვთქვათ და, საპასპორტო რეჟიმს დაგვარღვევინებდნენ, მერე კი დაგვსჯიდნენ, მაგრამ საამისოდ ცხრა მთის იქით გაგზავნა რაღა საჭირო იყო, როცა ადგილზევე შეიძლებოდა ათასი მიზეზის მოძებნა? თანაც, სხვა რომ არაფერი, დაჭერებსა



# საუბრები იმპერიის ნანგრევებზე ★

## რაულ ჩილაჩავა

# ლავრენტი ბერიას ვაჟი

და ყოველგვარ შეზღუდვებს უკვე მიჩვეული ვიყავით.

დედას გული ეთანაღრებოდა, არ ჰქონდა წარმატების იმედი და მაინც აჰყვა ცდუნებას. ქარხანა „ურალქიმმაშში", სადაც თვითონ მუშაობდა, ავადმყოფობის ფურცელი გაიფორმა და ჩემი მეგობრების დახმარებით სოხუმში გადაფრინდა. იქ მას დახვდნენ და ანაკლიაში ჩაიყვანეს. მასპინძლები თავს დასტრიალებდნენ, მეგრულ კერძებს მონატრებული იქნებითო და სუფრას ყოველდღე დარჩეული ხორაგით უვსებდნენ. დედა კი დათქმულ ადგილს არ შორდებოდა, მთელი კვირა საათობით ელოდა უცნობ მეკავშირეს. მოლოდინი ამაო გამოდგა. დღემდე ვერ გამიგია, რა მიზნით გაგვაპამპულა ვიღაც არამზადამ, რატომ დასცინა ჩვენს ადამიანურ გრძნობებს. დედას ბოლომდე არ სჯეროდა მამის უკვალოდ გაქრობა და წარსულის გახსენებისას იმედიანად იტყოდა ხოლმე: **„ვინ იცის, იქნებ..."**

**— ნუთუ ლავრენტი ბერიამ — გამჭრიახმა და გამოცდილმა კაცმა — ვერ განჭვრიტა მოახლოებული საფრთხე?**

— იმ საფრთხეს მამა კი არა, მე და დედაჩემიც ვგრძნობდით, მაგრამ, როგორც ადრე მოგახსენეთ, არ გვეგონა, თუ ასეთ ტრაგიკულ ფინალს გვიმზადებდნენ. მამამ იცოდა, რომ მოწინააღმდეგეთა კასტა შეეცდებოდა, იგი ბოლშევიკური განუკითხაობის იდეოლოგად და სულისჩამდგმელად გამოეცხადებინა, ამიტომ მოითხოვა პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევა, სადაც ცეკას ყველა წევრს რეპრესიებში პირად მონაწილეობაზე ანგარიში უნდა წარედგინა. მამა ელოდა მძაფრ რეაქციას, პროტესტს, პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებას, ოღონდ არამც და არამც ვერაგულ თავდასხმასა და მკვლელობას. თავის პროგნოზში ასე სასტიკად იგი პირველად შეცდა და ის შეცდომა საბედისწერო გამოდგა.

**— თუ უერთგულა რომელიმე ძველმა მეგობარმა ხალხის მტრად შერაცხილ ლავრენტი ბერიას?**

— მამის ერთგული ხალხი მამასთან ერთად მოსპეს. ბევრ მათგანს, რომლებსაც მეგობრები არ ეთქმოდათ (ისინი მამის სამსახურებრივ დავალებებს ასრულებდნენ) ციხეებსა და ბანაკებში უკრეს თავი. რაც უფრო უარყოფდნენ ისინი წილნაყრობას ბერიას დანაშაულებთან, მით უფრო მეტ სასჯელს იმსახურებდნენ.

**— რით ახსნით იმ ფაქტს, რომ საქართველომ მაშინვე ცნო ლავრენტი ბერია ბოროტმოქმედად, ხოლო სტალინის ბოროტმოქმედებათა დაჯერება არ ისურვა?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ საქართველომ მაშინვე ცნო **ლავრენტი ბერია** ბოროტმოქმედად. თვით სვერდლოვსკშიც კი ჩემთან სპეციალურად ჩამოსულან თანამემამულენი და გამოუხატავთ თავიანთი აღშფოთება მისი მხეცურად მოკვლის გამო. საქართველოში მე დღესაც ვხვდები ხალხს, ვისაც არ სჯერა კრემლის ნაძირალების არცერთი სიტყვა მამაჩემის გამცემლობაზე. ბევრი ქართველი დააპატიმრეს და დახვრიტეს იმიტომ, რომ სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა მამაჩემთან და მასზე დადებითი აზრი ჰქონდა.

მამა დაამხეს შეთქმულებმა, უარყვეს იგი და აკრძალეს მისი სახელის ხსენება. თვით სტალინის უარყოფა ხდებოდა თანდათანობით, ფრთხილად, ხამუშხამუშ, თუმცა, ისტორიის ხომალდიდან მისი მთლიანად გადაგდება მაინც ვერ შეძლეს: რაც არ უნდა იყოს, 30 წლის მანძილზე იგი განასახიერებდა საბჭოთა კავშირს და, მაშასადამე, რუსეთსაც.

სტალინს აქიაქებდნენ, აძაგებდნენ, ლაფში სვრიდნენ, მაგრამ სრული უარყოფა ვერ შეჰბედეს. იგი დატოვეს როგორც დიდი, მაგრამ რთული და წინააღმდეგობრივი პიროვნება, მამაჩემს კი ულმობლად გადაუსვეს ხაზი, გაწირეს. ოღონდ ეგ არის: ცისქვეშეთში არაფერია უცვლელი და მარადიული. დაინგრა საბჭოთა კავშირი, გაცამტვერდა მისი იდეოლოგია, ალბათ, ერთ დროს საიდუმლო ცხრაკლიტულებიც გაიღება, სადაც ბევრი საგულისხმო ცნობა და საბუთია ჩაგმანული. დარწმუნებული ვარ, მათი სამზეოზე გამოტანა სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს მამაჩემს. თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ დღეს მისადმი ინტერესი ისედაც დიდია.

ამასწინათ თბილისიდან მივიღე ერთი ბროშურა, რომლის ავტორია უხუცესი ქართველი ჟურნალისტი **ალექსანდრე სიგუა.** 30-იან წლებში იგი რეპრესირებული ყოფილა და, ბიოგრაფიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლავრენტი ბერიას დიდი თაყვანისმცემელი არაა. მიუხედავად ამისა, მას შეუნიშნავს მამის საქმიანობის დადებითი მხარეები და იხსენებს, თუ როგორ გააუქმა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ლავრენტი ბერიამ** მეორე მდივნებად მოსკოვის წარმოგზავნილთა დანიშვნის ტრადიცია, ხოლო რესპუბლიკაში მომუშავე და ქართულის არმცოდნე რუს მოხელეებს ენის შემსწავლელი სპეციალური კურსები გაუხსნა. მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფო მოსამსახურენი აუცილებლად უნდა ფლობდნენ ძირეული მოსახლეობის ენას. ბროშურაში ხაზგასმულია, რომ ლავრენტი ბერიამ ხელახლა აღაშენა თბილისი, აღადგინა მისი არქიტექტურის ეროვნული სახე, რომელიც საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ უმოწყალოდ მახინჯდებოდა.

შემიძლია ვინმეს დაუმოწმებლადაც ვთქვა ორიოდე სიტყვა მამაჩემის წვლილზე საქართველოს რესპუბლიკის განვითარებაში. კოლხეთის ჭაობების დაშრობა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების გაშენება, ჰიდროელექტროსადგურების აგება, საავტომობილო გზების გაყვანა, სანატორიუმების ფართო ქსელის შექმნა — ეს ყველაფერი ლავრენტი ბერიას სახელთანაა დაკავშირებული, რასაც, დარწმუნებული ვარ, ბევრი ვინმე დღესაც დაადასტურებს.

**— საბჭოთა (ვამბობ ინერციით) პუბლიცისტიკაშიც შეიმჩნევა საინტერესო ტენდენცია: ავტორები ბერიას უკვე არ ეძახიან უბირს, პირიქით, ხაზს უსვამენ მის ერუდიციას და გონებაგახსნილობას. ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ იგი სტალინის თანამებრძოლებზე მთელი თავით მაღლა იდგაო. ხომ არა გვაქვს აქ საქმე პატარა ეშმაკობასთან: რაკი ბერია ჭკვიანი იყო, პასუხიც მას უნდა მოეთხოვოს! აბა, იაგოდასა და ეჟოვისთანა ბრიყვებს რა უნდა მოჰკითხო? თუმცა, როგორც ცნობილია, იაგოდა და ეჟოვი ბრიყვები სულაც არ ყოფილან...**

— ფიზიკური და მორალური განადგურების პირველ ეტაპზე საბჭოთა პროპაგანდა მამას წარმოაჩენდა, როგორც გაუნათლებელ, მახინჯ აზიელს, სექსუალურ მანიაკსა და ჯალათს, რომელიც სტალინის კარზე მალიუტა სკურატოვის როლს ასრულებდა. მერე და მერე წამოიჭრა სრულიად ლოგიკური კითხვები — თუ როგორ მოახერხა ამ დეგენერატმა, წარმატებით ეხელმძღვანელა უზარმაზარი ქვეყნის დაზვერვისათვის, სათავეში დგომოდა სარაკეტო და ატომურ პროექტებს, ფერფლიდან აღედგინა ომისშემდგომი საბჭოთა მრეწველობა? და აქ აუცილებელი გახდა მისი უწინდელი პორტრეტის შელამაზება და აქცენტების გადაადგილება (ისევ და ისევ გრანდიოზული პროპაგანდისტული აპარატის წყალობით). ახლა უკვე ამბობდნენ: **დიახ, ლავრენტი ბერია არ ყოფილა სულელი და დეგენერატი, იგი ჭკვიანი იყო და ფარულად ეწეოდა პარტიისა და მთავრობის მიმართ ძირგამომთხრელ საქმიანობას.** ის, რომ სახელმწიფო უშიშროების სათავეში ყოველთვის იდგა საგანგებოდ შემოწმებული ხალხი, როგორც ბიოგრაფიის, ასევე ინტელექტის თვალსაზრისითაც, მათ რატომღაც გამორჩათ. **ძერჟინსკი,**



# «დედას სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ მამა ცოცხალია!»

*ლავრენტი ბერია და ნინა გეგეჭკორი*

# მოგვითხრობს

# „მამაჩემი ლავრენტი ბერია მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჯაშუში შეიძლებოდა, ყოფილიყო!“

**იაგოდა, ბერია** და საბჭოთა სპეცსამსახურების მომდევნო უფროსები არაორდინარული ხალხი გახლდათ. სისტემის ყველა სისაძაგლის მარტო „ჭკვიანი“ ბერიასთვის გადაბრალება მარტივი სვლაა როგორც მისი წინამორბედების, ასევე თანამედროვეთა გამართლების მიზნით.

**— თქვენ გჯერათ, რომ ლავრენტი ბერიას დაპატიმრებაში თუ მკვლელობაში მონაწილეობდნენ მხედართმთავრები — ჟუკოვი, კონევი, მოსკალენკო, ბატიცკი?**

— უდავოა, რომ მამაჩემის წინააღმდეგ სამხედროები გამოიყენეს. მისი მკვლელობა, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება იყო. ამ შეთქმულებაში კონკრეტულ მხედართმთავართა როლზე რაიმეს თქმა მიჭირს. ვიცი ერთი რამ: **გიორგი ჟუკოვი** მეგობრობდა მამაჩემთან. ისინი თანამშრომლობდნენ როგორც ომამდე, ისე ომის წლებშიც. სწორედ **ჟუკოვმა** შეუდგინა მამას **ეჟოვის** რეპრესიებს გადარჩენილ სამხედროთა სია, რომლებიც შემდეგ გაამართლეს და არმიაში დააბრუნეს. მათ შორის იყვნენ გენერლები — **როკოსოვსკი, მერეცკოვი** და სხვები. მე საშუალება მქონდა, მესაუბრა **ჟუკოვთან,** სხვათაშორის, მისივე ინიციატივით. მან მითხრა, რომ ბერიას დაპატიმრებაში ჩემი მონაწილეობა წმინდა წყლის მონაგონიაო. მე დავუჯერე **ჟუკოვს,** რადგან მას ჩემ წინაშე თავის მართლება არ სჭირდებოდა. მე დავუჯერე **ნიკოლაი შვერნიკსაც,** რომელიც პროფკავშირების თავმჯდომარის რანგში სასამართლოს წევრი იყო, მაგრამ პროცესზე მამა არ უნახავს. არ ყოფილა მამა იქ!

**— მაშინ ვისღა ასამართლებდნენ?**

**— ბრალდებულის სკამზე იჯდა მამას მსგავსი ვიღაც, რომელსაც მთელი პროცესის მანძილზე ხმა არ ამოუღია.**

— ის არ იყო მამაშენი! — მითხრა **შვერნიკმა.** ამასვე ამტკიცებდა მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივანი **ნიკოლაი მიხაილოვიც.** თქვენ თვითონაც დაიჯერებთ, რომ **ლავრენტი ბერია** ხელიდან გაუშვებდა თავდაცვის უკანასკნელ შანსს?! მე შევაჯერე მათი მონაყოლი იმ ავადსახსოვარ დღეს საკუთარი თვალით ნანახთან და ასეთ დასკვნამდე მივედი: **როცა მე ტელეფონთან დამიძახეს, მამა უკვე მოკლული იყო. ძნელი სათქმელია, ვინ გაიტანეს ჩვენი სახლიდან საკაცით, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ის მამა ყოფილიყო. ბევრი საეჭვო დამთხვევაა ერთბაშად!**

**— საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე მიტროფანე კუჭავა სპეციალური სასამართლო დასწრების წევრი იყო. ვის ვის და მას კი ზუსტად შეეძლო, განესაზღვრა — საბრალდებო სკამზე ლავრენტი ბერია იჯდა თუ ვინმე ცრუმაგიერი პირი!..**

— **კუჭავას** არ შევხვედრივარ, მაგრამ სადღაც წამიკითხავს მისი მოგონებები. **სხვა მოწმეებისგან განსხვავებით, იგი ამტკიცებდა, სასამართლოზე ბერია ნამდვილად იყოო. მე მისი არ მჯერა, რადგან უფრო ავტორიტეტული ხალხი საპირისპიროს ამბობდა.**

**— ასე იყო თუ ისე, პრესაში ოფიციალურად გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ლავრენტი ბერიასა და მისი თანამზრახველების დახვრეტის შესახებ.**

— დიახ, გამოქვეყნდა. უფროსი თაობის ხალხს უსათუოდ ეხსომება იგი, მაგრამ კარგი იქნება, თუ ხელისუფალთა ამ „თხზულებას“ თანამედროვე მკითხველიც გაეცნობა. იგი თითქოს გადმოუწერიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ოქმებიდან. ვინ იცის, იქნებ საბრალდებო დასკვნაც სტარაია პლოშჩადზე შეთხზეს!

**— სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლავრენტი ბერიას ქონებას კონფისკაცია ჩაუტარდა. რას ფლობდა იგი და რა დაგრჩათ კონფისკაციის შემდეგ?**

— პოლიტბიუროს წევრები ტრადიციულად სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. ბინა, აგარაკი, ავეჯი, მანქანა — ყველაფერი სახელმწიფოსაგან ჰქონდათ. მაშინდელი, ასე ვთქვათ, პარტოკრატია, არ იყო თავგადაკლული პირად გამდიდრებაზე. დასტურად გამოდგება სტალინის საანაბრო წიგნაკი, რომელზეც კაპიკები ინახებოდა. სახელმწიფო ქონების ჩამორთმევის შემდეგ ჩვენ ქუჩაში აღმოვჩნდით, მაგრამ მე შრომას ბავშვობიდანვე ვიყავი მიჩვეული და იმ მძიმე პირობებშიც კი შევძელი ოჯახის რჩენა. სიმდიდრე ვერ მოვიხვეჭე, მაგრამ, სამაგიეროდ, ნამუსი და ღირსება არ დამიკარგავს.

**— ვისთან მეგობრობდა დედა გადასახლებაში? იგი ხომ ისეთ ასაკში დაქვრივდა, როცა ძნელია ახალი ნაცნობ-მეგობრების შეძენა!**

— მამაჩემის ტრაგედიამ დედა წარსულის მწუხარე აჩრდილად აქცია. არც გადასახლებაში და არც კიევში მას არ უცდია ნაცნობთა ახალი წრის შექმნა და შავებით მოსილმა თითქმის ორმოცი წელიწადი მარტოობაში გაატარა.

**— როგორ წარიმართა პირადად თქვენი ოჯახის ბედი?**

— პატიმრობაში ვაჟის მამა გავხდი, რომელსაც ასევე **სერგო** დავარქვით. მეუღლე, რომელიც ოფიციალურად მოსკოვში რჩებოდა, პირველი სამი-ოთხი წელიწადი, ფაქტობრივად, ჩემთან ერთად სვერდლოვსკში იყო.

**— რა ერქვა თქვენს მეუღლეს?**

— რატომ „ერქვა?“ **მართა მაქსიმის ასული პეშკოვა** დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს.

**— გვარი და მამის სახელი ძალიან მეცნობა!**

— მართა **მაქსიმ გორკის შვილიშვილია** (ჩემს სიმამრსაც **მაქსიმი** ერქვა და ლიტერატორი იყო, სიდედრი კი მხატვარი გახლდათ). მე და მართა ერთ სკოლაში ვსწავლობდით. იგი სტალინის ქალიშვილის თანაკლასელი იყო. მას ვერ უშველა დიდი პაპის სახელმა და ვერც ნათესავთა უზადო წრემ იხსნა შესაბამისი ინსტანციების განსაკუთრებული ყურადღებისგან: მას ნიადაგ იძახებდნენ პარტიულ ორგანოებში, სუკში, უწყობდნენ დაკითხვებს.

**— სად არიან დღეს თქვენი შვილები?**

— უფროსმა ქალიშვილმა **ნინომ** სამხატვრო აკადემია დაამთავრა, ფინელზე გათხოვდა და მის სამშობლოში ცხოვრობს. უმცროს ქალიშვილს **ნადეჟდა** ჰქვია, უკვე რუსი ბებიის პატივსაცემად. მისი მეუღლე თბილისელია. ჰყავთ ორი შვილი — **ქსენია და ალიოშა. სერგომ** კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ორი წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ რესპუბლიკის მაშინდელმა ხელისუფლებამ არ ისურვა, რომ ბერიას შვილიშვილს განათლება საქართველოს დედაქალაქში მიეღო.

**— სერგოც გეგეჭკორის გვარზეა?**

— არა, როცა იგი დაიბადა, მე ჯერ კიდევ **ბერია** ვიყავი, მაგრამ სრულიად რეალურმა საფრთხემ მეუღლე აიძულა, ახალშობილი საკუთარ გვარზე ჩაეწერა. იგი რამდენჯერმე სცემეს ქუჩაში, ბოლოს კი პირდაპირ მოსთხოვეს ჩემთან გაყრა. მე ვუთხარი მეუღლეს: ისინი მაინც არ მოგვასვენებენ, ამიტომ, მოდი, ფორმალურად გავაფორმოთ გაყრა, შვილები კი ერთად გავზარდოთ-მეთქი. დრომ ჩვეულებისამებრ თავისებურად განსაჯა და ჩვენ ფაქტობრივადაც გავიყარეთ. პირადი ცხოვრება შვილებს მივუძღვენით და ბედნიერები ვართ, რომ მათ არ დაგვაღალატეს.

**— უკრაინამ მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომლის თანახმადაც შეგიძლიათ გვარი და მამის სახელი აღიდგინოთ. არ გიფიქრიათ ამ უფლების გამოყენებაზე?**

— ამ ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე ორჯერ „დავკარგე“ პასპორტი და დაბადების მოწმობის საფუძველზე ახლის აღება ვცადე. როგორც მოსალოდნელი იყო, გარჯა ამაო გამოდგა, მაგრამ გავირჯები ერთხელ კიდევ: ბოლოს და ბოლოს, კანონი ხომ ჩემ მხარეზეა!

**— იქნებ უმცროსმა სერგომაც მიჰბაძოს მამის მაგალითს?**

— სერგო თავს ქართველად თვლის, უკვე ზრდასრული კაცია და უჩემოდაც შეუძლია, სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

**— თქვენი რძალი უკრაინელია?**

— დიახ! როგორც ხედავთ, უკრაინასთან არამარტო სამსახურებრივად, არამედ ნათესაურადაც ვარ დაკავშირებული.

**— სხვათაშორის, თქვენ აქამდე არ გითქვამთ, როგორ მოხვდით კიევში, რამ განაპირობა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის თქვენეული არჩევანი?**

— სვერდლოვსკში ათწლიანი იძულებითი ცხოვრების შემდეგ ნება დამრთეს, მემუშავა ნებისმიერ ქალაქში, მოსკოვის ჩათვლით. აქ თავისი როლი ითამაშა დედის ავადმყოფობამაც — ძლიერი რადიაციული ფონით გამოწვეული ალერგიის გამო მას ექიმებმა კლიმატის სასწრაფოდ გამოცვლა ურჩიეს. მე დახმარებისთვის ხელმძღვანელობას მივმართე, რომელიც, როგორც ჩანს, კრემლს დაუკავშირდა. აქ კი, უნდა ითქვას, **ხრუშჩოვმა** კაცობა გამოიჩინა და სახელმწიფო უშიშროების მაშინდელ უფროსს **ვლადიმერ სემიჩასტნის** ჩვენი მოწყობა დაავალა.

მოსკოვში დაბრუნება ჩვენვე გამოვრიცხეთ: არ გვინდოდა ხელმეორედ ჩასვლა იქ, სადაც ერთხელ უკვე სასიკვდილოდ გაგვწირეს, საქართველოში კი არ მეგულებოდა ინსტიტუტი, სადაც ჩემი პროექტების დამთავრებას შევძლებდი. არჩევანი შევაჩერე კიევზე, და, თუმცა, თავს არ ვადრიდი დიდ წინაპრებს, რომლებსაც გაჭირვების ჟამს უკრაინის მიწაზე უპოვიათ თავშესაფარი, დარწმუნებული ვიყავი, რომ იქაური მეგობრები გულთბილად მიმიღებდნენ. უმთავრესი მაინც ის იყო, რომ უკრაინაში უკვე არსებობდა ჩემი მონაწილეობით შექმნილი არაერთი ქარხანა და საწარმო, რომლებიც საბჭოთა კავშირის სარაკეტო მრეწველობის საფუძველს წარმოადგენდნენ. მე კარგად ვიცნობდი უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ინტელექტუალურ პოტენციალს და მიხაროდა, რომ გამოჩენილ სპეციალისტებთან მომიწევდა მუშაობა. აქვე გეტყვით, რომ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ სარაკეტო და კოსმოსური ტექნიკის კონსტრუქტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი **მიხეილ კუზმას ძე იანგელი** და საავიაციო ძრავების კონსტრუქტორი, ასევე სოციალისტური შრომის გმირი და აკადემიკოსი **არხიპ მიხეილის ძე ლიულკა** მიესალმნენ კიევში ჩემს ჩასვლას.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ იყავით მათ შორის, ვინც უკრაინა გერმანელი ფაშისტებისგან გაანთავისუფლა...**

— განმთავისუფლებელს ვერ დავირქმევ, თუმცა, ლვოვის აღებაში ვმონაწილეობდი. ოფიციალურად სტაჟირებას გავდიოდი, მაგრამ, ხომ იცით, ტყვია ყველას ერთნაირად კლავს. მე სანგარშიც ვმჯდარვარ, შეტევაზეც გადავსულვარ, გამიყვია ჯარისკაცური ულუფაც და წეკოც. იქ, ლვოვის მისადგომებთან, მინახავს უპას (უკრაინელ მეამბოხეთა არმია) მეომრები, რომლებმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ეს იყო რეალური სამხედრო ძალა, რომელიც ცდილობდა, წინ აღსდგომოდა როგორც წითელ ჯარს, ასევე ჰიტლერელებსაც. მე არ ვიზიარებდი უპას იდეოლოგთა პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მათ თავგანწირვას ამაოდ არ ჩაუვლია. უკრაინის დღევანდელი დამოუკიდებლობა მათი სისხლიდანაც არის ამოზრდილი.

**— ამრიგად, თქვენ ჩამოხვედით კიევში...**

— 1964 წელს, დედასთან, ვაჟთან და უმცროს ქალიშვილთან ერთად. ეს იყო ოქტომბრის თვეში, ზუსტად იმ დროს, როცა „მეგობრებმა“ და „თანამებრძოლებმა“ **ნიკიტა ხრუშჩოვი** პენსიაზე გაუშვეს. ვგონებ, ჩემი განთავისუფლება იყო მისი ბოლო კეთილი საქმე საკავშირო ცეკას პირველი მდივნისა და პრემიერის პოსტზე. კიევში გადმოსვლისთანავე რადიოელექტრონიკის ინსტიტუტის წამყვან სპეციალისტად დამნიშნეს. არავითარი რეგალიები და პრივილეგიები ჩემთვის არ მოუნიჭებიათ, თუმცა, ყველა თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაოს პირადად ვხელმძღვანელობდი და მოვასწარი ექვსი სისტემის შექმნა, რომლებიც შეიარაღებიდან დღემდე არ მოუხსნიათ.

**— ტელეგადაცემა „იტოგში“ აჩვენეს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კაბინეტი, გაწყობილი შესანიშნავი ტყავის ავეჯით. წამყვანმა შენიშნა, რომ ამ სავარძლებში სხვადასხვა დროს მსხდარან ყოფილი „ხაზეინები“ — მოლოტოვი, ბერია და ა.შ. თქვენ ნახეთ ეს გადაცემა?**

— არ მინახავს, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, მამას კაბინეტში ტყავის ავეჯი არ მდგარა. ორმოცი წლის მანძილზე იქ, ალბათ, ბევრი რამ შეიცვალა: ყველა „ხაზეინი“ ხომ თავის ყაიდაზე აწყობს კაბინეტს. დღეს ბევრი ჟურნალისტი იწონებს თავს იმით, რომ ნამყოფია ბერიას ყოფილ „ბუნაგში“ ლუბიანკასა თუ კრემლში, რომ მჯდარა ამ ეშმაკეულის სავარძელში.

**— რა წვლილი მიუძღვის ლავრენტი ბერიას გერმანელ მეცნიერთა მოტაცებაში?**

— როგორც მთავრობის წევრი, საიდუმლო ატომური პროექტის ხელმძღვანელი და სტრატეგიული დაზვერვის შეფი, მამა იცნობდა გერმანიის ინტელექტუალურ ძალთა განეიტრალების, უფრო სწორად, ხელში ჩაგდების ამერიკულ გეგმას. საპასუხო ზომების მისაღებად საბჭოთა მთავრობამ მას დაავალა სამხედრო-ტექნიკური სადაზვერვო ჯგუფების ჩამოყალიბება,

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*





*დასაწყისი „გენერალისიმუსის" მე-2 გვერდზე*

# „როცა მე ტელეფონთან დამიძახეს, მამა უკვე მოკლული იყო!"




რომლებშიც თვალსაჩინო მეცნიერები და კონსტრუქტორებიც უნდა შესულიყვნენ (**კოროლიოვი,** მაგალითად, სათავეში ჩაუდგა პენემიუნდეში გაგზავნილ ერთ-ერთ ბრიგადას). ამ ჯგუფებმა არამარტო საჭირო ხალხი ჩამოიყვანეს, არამედ ხელს გამოაყოლეს ძვირფასი ტექნიკური დოკუმენტაციაც.

**— თქვენი საკონსტრუქტორო ბიუროს კოდური სახელწოდება „სბ-1" მე გავშიფრე, როგორც „სერგო ბერია". არსებულა მეორე ვარიანტიც — „ბერიას ვაჟი" („სინ ბერია"). იქნებ ეს აბრევიატურა სპეციალურად შექმნეს, აკი თვითონვე ბრძანეთ, მლიქვნელები და მაამებლები ყოველთვის საკმარისად არიანო.**

— ეს მხოლოდ დამთხვევაა. სინამდვილეში **„სბ"** იშიფრება როგორც „სპეციალური ბიურო". საბჭოთა კავშირში ასობით ასეთი **„სბ"** არსებობდა.

**— ახალი იარაღის შესაქმნელად თქვენ გამოგიყენებიათ ნაალაფარი სამეცნიერო-ტექნიკური მასალები.**

— თქვენ, ალბათ, მხედველობაში გაქვთ ჩემი სადიპლომო პროექტი „კომეტა", რომელშიც მოხაზული იყო იმ ამოცანების კონტურები, რომელთა ხორცშესხმაც მერე „სბ-1"-ში მოგვიხდა. რა თქმა უნდა, მე ვსარგებლობდი ნაალაფარი დოკუმენტებით, ხელთ მქონდა ვრცელი სადაზვერვო ინფორმაციაც, მაგრამ რაკი გულახდილი საუბარი გვაქვს, იმასაც გეტყვით, რომ მხრებზეც არცთუ სულელი თავი მება. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი ისევე, როგორც დისერტაციები, დღემდე ინახება მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში. ჩემი ამხანაგები ყოფილან იქ და უნახავთ. კატალოგში რატომღაც არ შეუცვლიათ არც გვარი და არც მამის სახელი.

**— მაშასადამე, ნებისმიერ მკითხველს შეუძლია, მოითხოვოს და მიიღოს სერგო ბერიას სამეცნიერო ნამუშევრები?**

— დიახ, შეუძლია მიიღოს და დარწმუნდეს, რომ მათში მოცემულია ერთი ადამიანის ინტელექტისა და საწარმოო შესაძლებლობებისთვის მისაწვდომი მათემატიკური მოდელი. ასობით მეცნიერისა და სპეციალისტის შრომა საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც მისი პრაქტიკულად განხორციელების საკითხი წამოიჭრა.

**— „სბ"-ში მომუშავე თანაკურსელებიდან ვინ გახდა ცნობილი პიროვნება?**

— თითქმის ყველა, ვისაც თანამშრომლობა შევთავაზე, გენერალური კონსტრუქტორი გახდა. ჩემი ყოფილი მოადგილე **ანატოლი ივანის ძე სავინი** ამჟამად აკადემიკოსი, ბალისტიკური რაკეტების გენერალური კონსტრუქტორი და კოსმოსური სამხედრო სისტემების ავტორია. **ვიქტორ მიხეილის ძე ზუბანოვი** — ასევე ჩემი ერთ-ერთი ყოფილი მოადგილეთაგანი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახდა, დღეს კი არმიის გენერალია. **ანატოლი გიორგის ძე ბასისტოვი** ბალისტიკური რაკეტების გენერალური კონსტრუქტორია. ყველას ვერ ჩამოვთვლი და არცაა საჭირო. მოხარული ვარ, რომ თავის დროზე არ შევცდი და შემოვიკრიბე ღირსეული ხალხი, არამარტო ინტელექტუალური, არამედ ზნეობრივი თვალსაზრისითაც.

**— ცხოვრების მძიმე წლებში გიგრძნიათ მათი მხარდაჭერა?**

— როცა გითხარით, რუსეთის ტექნიკურმა ინტელიგენციამ გადამარჩინა-მეთქი, ამ ხალხსაც ვგულისხმობდი. როცა ჩემ დაუსწრებლად პარტიიდან გარიცხვა დაიპირეს, მეგობრებმა მოითხოვეს: სერგოს, როგორც კონსტრუქტორის, საქმიანობაში მავნებლობა არ შეგვიმჩნევია, ამიტომ, თუ დამნაშავეა, მოიყვანეთ და თავად აღიაროს.

**— განა შესაბამისი ორგანოები არ ეძებდნენ თქვენი მავნებლობის კვალს?**

— ეძებდნენ და თანაც როგორ! ჩემი ყველა სისტემა განმეორებით გამოსცადეს, მაგრამ წუნი ვერ უპოვეს. სხვათაშორის, ჩემი საქმიანობა ადრეც არაერთხელ შეუმოწმებიათ. გვარს აქ მნიშვნელობა არ ჰქონდა. დასმენებს პირადად სტალინის სახელზე აგზავნიდნენ.

**— ბერიას ვაჟის დამსმენები თავიანთ „თხზულებებს" საკუთარ სახელსა და გვარს აწერდნენ?**

— დამსმენები ჭკვიანები არიან: ისინი აკრიტიკებდნენ საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობას, ზოგადად, წერდნენ სამეცნიერო კონცეფციების უმწიფრობაზე, კოლექტივის საეჭვო შემადგენლობაზე. ცილისმწამებლურ ნაწარმოებებში **სერგო ბერიას** არ ახსენებდნენ, მაგრამ ისედაც ცხადი იყო, ვინ უნდა დაესაჯათ. ვიცი არაერთი შემთხვევა, როცა სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები მუქარით აწერინებდნენ ხალხს ანონიმურ წერილებს. არაერთი მათგანი მოსულა მერე ჩემთან მონანიებით: ცოდვილი ვარ, სულმოკლეობა გამოვიჩინე და დაგაბეზღეო. მაშინ უკვე აშკარად ებრძოდნენ მამაჩემს: ირიგოდა „მეგრელთა საქმე". სახელმწიფო უშიშროების მინისტრი **იგნატიევი** ხელიდან არ უშვებდა მამა-შვილ ბერიების მხილების უმცირეს შესაძლებლობასაც კი. რით დამთავრდა ეს ყველაფერი, თქვენ იცით.

**— ლენინის ორდენი რაში მიიღეთ?**

— ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსისთვის. ბრძანებულება გამოქვეყნდა 1952 წელს, ორდენი თვითონ სტალინმა გადმომცა. უნდა გითხრათ, რომ იმავე ნაშრომისთვის ზოგმა — სოციალისტური შრომის გმირის, ზოგმა კიდევ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღო. მოგვიანებით, ჩემი თანაავტორების დაჯილდოებისას, მე ტოვებდნენ განზე, რადგან ბერიას შვილს ჯილდო მეტად აღარ ეკუთვნოდა! მადლობა ღმერთს, რომ ჯილდოს გულისთვის არასოდეს მიმუშავია, თორემ შემდგომი წარმატებებისთვის იქნებ ვერც მიმეღწია.

**— ოცდაათი წლის ასაკში თქვენ მართლაც უხვად გქონდათ ჯილდოები და წოდებები!**

— მითხარით, გეთაყვა, რატომ არ უნდა ჰქონოდა ლენინის ორდენი 28 წლის ინჟინერ-გამომგონებელ **სერგო ბერიას,** თუკი იგივე ორდენი მანამდე უკვე მიიღო, ვთქვათ, 26 წლის საბავშვო პოეტმა **სერგეი მიხალკოვმა** (მისი „ძია სტიოპა" ქართულად, მგონი, „ძია მიხოდია" თარგმნილი)?

**— ბატონო სერგო, დამისახელეთ თქვენი ძირითადი ნამუშევრები, რომელთა წყალობითაც გიცნობენ და გაფასებენ კოლეგები?**

— მე მაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოგონება საზღვაო რადიოლოკაციასა და კოსმოსური დაზვერვის სფეროში. მათი მეშვეობით შესაძლებელია დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან გაშვებული ბალისტიკური რაკეტის დაფიქსირება. ეს აპარატურა უყენიათ კოსმოსურ თანამგზავრებს, რომლებიც დედამიწიდან 40 ათასი კილომეტრის სიმაღლეზე გეოსტაციონარულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათი მეშვეობით სპეციალური ცენტრები მყისვე აფიქსირებენ მტრის რაკეტის აფრენას. ამ ურთულესი ტექნიკის ავტორი მარტო მე არა ვარ, თუმცა, ზედმეტი მოკრძალების გარეშე ვიტყოდი, რომ მის შექმნაში გადამწყვეტი წვლილი შევიტანე.




# ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს!




*ლავრენტი ბერია ცოლ-შვილთან ერთად*

**— როგორია დღეს თქვენი სამეცნიერო რეგალიები?**

— ყველა რეგალია და წოდება დაპატიმრებისთანავე ჩამომართვეს და უკან არ დაუბრუნებიათ. მართალია, მე ხელმეორედ დავიცავი საკანდიდატო, მოვამზადე სადოქტოროც, მაგრამ გამაფრთხილეს — შორს ნუ შეტოპავო! მივხვდი, რომ ტაბუ მოხსნილი არ იყო და დავანებე თავი. ასე რომ, ამჟამად ურეგალიო-უწოდებო მეცნიერი გახლავართ.

**— საბჭოთა ხელისუფლებამ თქვენ მიმართ ისეთივე მისთვის უჩვეულო ჰუმანიზმი გამოიჩინა, როცა კვლავ მოგანდოთ მეტად მნიშვნელოვანი და საიდუმლო სამუშაო. წარმოსადგენადაც ძნელია, რომ უცხოეთის სუპერჯაშუშისა და სახელმწიფო დაუძინებელი მტრის შვილი უმნიშვნელოვანეს სამხედრო პროექტებს ხელმძღვანელობდეს!**

— „ჰუმანისტებმა" მშვენივრად იცოდნენ, რომ არც მამაჩემი და არც მე ინგლისური იმპერიალიზმის ჯაშუშები არ ვყოფილვართ. ამიტომაც ისინი არავითარ რისკზე არ წასულან, როცა კვლავ ჩამრთეს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საქმიანობაში. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდებოდა იმ გავლენიან მეცნიერთა მხარდაჭერის გარეშე, რომლებიც მე კარგად მიცნობდნენ, როგორც პიროვნებას და როგორც სპეციალისტს.

**— წლების მანძილზე თქვენ გასაიდუმლოებული იყავით. ჯერ კიდევ ახლახან ბუნდოვნად წერდნენ, რომ ცხოვრობთ ერთ-ერთ დნეპრისპირა ქალაქში და ხელმძღვანელობთ რომელიღაც სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. ქალაქი ჩვენ უკვე დავასახელეთ...**

— სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „კომეტა", რომლის დირექტორიც გახლავართ, უკრაინის თავდაცვის მრეწველობის და კონვერსიის სისტემაში შედის. მე აქ ჩემთვის ტრადიციულ საკითხებზე ვმუშაობ.

**გაგრძელება იქნება**



სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# „ქართველისთვის ევროპა ისტორიის არცერთ ეტაპზე არ ყოფილა „შინ!“

## ირაკლი ზაქარეიშვილი:

# საქართველოს კონსტიტუციიდან სასწრაფოდ უნდა ამოიშალოს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მისწრაფების სამარცხვინო ჩანაწერი!






***ერთი კვირის წინათ ევროკავშირში არჩევნები დასრულდა. რა შეცვალა ამ არჩევნებმა საქართველოსთვის და თავად ევროკავშირისთვის? ვესაუბრებით უფლებადამცველსა და ადვოკატს ირაკლი ზაქარეიშვილს:***

— ევროკავშირის არჩევნებმა ვერ შეცვალა ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკური ორიენტირი — **ომის მანქანა არ დაიშალა და მოქმედებაში დარჩა!** ევროპარლამენტში ყველაზე მეტი — 189 მანდატი კვლავ **ევროპის სახალხო პარტიამ** (EPP) მიიღო. მას მოსდევს **სოციალისტებისა და დემოკრატების ალიანსი** (S&D) 135 მანდატით, **განახლებული ევროპა** (Renew Europa) — 79; **კონსერვატორები და რეფორმისტები** — 76; **იდენტობა და დემოკრატია** (ID) — 58; **მწვანეები** (EFA) — 53; **მემარცხენეები** — 39; **პოლიტიკურ ჯგუფებთან არააფილირებული** — 91.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაყალბებებით თუ სხვადასხვა მაქინაციების შედეგად ევროპარლამენტში ძალთა ბალანსი და პოლიტიკური კონფიგურაცია რადიკალურად არ შეცვლილა. **ევროპარლამენტი რჩება არაფრის მაქნის ორგანიზაციად,** რომელიც ეროვნულ ქვეყნებში ამერიკის დავალებით მხოლოდ რევოლუციების მოწყობაშია დაოსტატებული. ევროკომისიის პრეზიდენტობის მთავარი კანდიდატი კვლავ **ურსულა ფონ დერ ლაიენია,** რომელიც საომარ და ანტირუსულ ისტერიას აგრძელებს. მაგრამ არჩევნებში საინტერესო მომენტი გამოიკვეთა, რომლის მიხედვით არც **მაკრონს** და არც **შოლცს** საკუთარ ქვეყნებში არ გააჩნიათ მხარდაჭერა იმაში, რასაც საკუთარი ხალხის სახელით სჩადიან. მეტიც, **მაკრონი იძულებული გახდა, ახალი საპარლამენტო არჩევნები დაენიშნა, ვინაიდან, აშკარა გახდა, რომ ამ არჩევნებით მისმა გუნდმა ლეგიტიმაცია დაკარგა!**

ფაქტობრივად, ამ არჩევნებს დღის წესრიგზე გავლენა არ მოუხდენია — რუსეთსა და კოლექტიურ დასავლეთს შორის მიმდინარეობს მძაფრი დაპირისპირება, რომელშიც დასავლეთს გამარჯვება არ უწერია და, ბოლოს და ბოლოს, წერტილი დაესმება მსოფლიოში დასავლეთის 5-საუკუნოვან ყაჩაღურ პოლიტიკას!

**— ამას რაზე დაყრდნობით ვარაუდობთ?**

— ისტორიულად რუსეთისთვის ომი არავის მოუგია! ამჟამად სამხედრო თვალსაზრისით რუსეთი ძლიერია და დღითი დღე უფრო ძლიერდება, გააჩნია ამოუწურავი შეიარაღება. **ჩაილურის წყალი დალია უსუსურმა მტკიცებამ, რომ თითქოს „მალე რუსეთს ბომბები გაუთავდება!“** რუსეთთან ერთად დღითი დღე ძლიერდებიან ჩინეთი, ირანი, ინდოეთი, სრულიად ახლო აღმოსავლეთი, რის ფონზეც კოლექტიური დასავლეთი იმ პოზიციებს ყოველდღიურად კარგავს, რაც დანარჩენი მსოფლიოს 500-წლოვანი კოლონიალიზაციით და მათი პირწმინდად ძარცვით ჰქონდა მოპოვებული!

**— კონკრეტულად საქართველოს მაგალითზე რომ განვიხილოთ?**

— ახლახან გურიის სოფელში მყოფ ახლობელს ტელეფონით ველაპარაკებოდი, როდესაც მისი სახლის მიმდებარე ქუჩიდან შემოსული ძახილი ჩამესმა: **„ბაზარი, ბაზარი მოვიდა!“** წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩაგვაყენეს? ბოსტნეული ქალაქიდან ჩააქვთ სოფელში გასაყიდად! დასავლეთმა ამ 30 წლის განმავლობაში გლეხს მიწაზე მუშაობა და მესაქონლეობა აუკრძალა; სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქტები მხოლოდ დასავლეთიდან შემოდის! თუ რაიმე გრანტს იძლევა დასავლეთი, იქვე პირობას აყენებს, რომ ყველა პროდუქტი მისგან უნდა შევიძინოთ!

სოფლად მცხოვრებ მშრომელებს განსაკუთრებით ერჩიან: მათ, ვინც ფერმერობას მისდევდა, ლუგარის ლაბორატორიიდან იყო თუ ჯოჯოხეთიდან, „ღორის გრიპის“ ვირუსი აუფეთქეს და რამდენჯერმე საკუთარი ხელით დაახოცვინეს საქონელი. ამის შემდეგ საეჭვო ხარისხის ღორისა და საქონლის ხორცს საქართველოში უცხოეთიდან ეზიდებიან, რის გამოც სერიოზულად იმატა ონკოლოგიურმა თუ სხვა სახის დაავადებებმა! თხილი რომ თხილია, ადრე ფასი ჰქონდა და ხალხი სოფელს დაუბრუნდა, მაგრამ არ შეარგეს — გამოუშვეს ფაროსანა! მოკლედ, ვინც სოფლად იყო დარჩენილი, საზრდოს საშოვნელად ისინიც საზღვარგარეთ გაიქციეს... წარმოგიდგენიათ, **უცხოეთიდან შემოსული ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტი გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე ადგილზე მოყვანილი, ამიტომ გლეხს აღარ ულირს მიწის დამუშავება!** ამას დასავლეთი შეგნებულად აკეთებს, რადგან საქართველოში არ სჭირდება სამოქალაქო საზოგადოება, მის ინტერესშია, ხმის ამომღები და პროტესტის გამომხატველი ხალხი არ არსებობდეს.

**— რა შეაჩერებს ამ პოლიტიკას?**

— უკრაინაში მიმდინარე ომი, რომელიც კოლექტიური დასავლეთის სამარცხვინო დამარცხებით დასრულდება! როგორც კი ეს მოხდება, საქართველო და საქართველოს მსგავსად ნაძარცვი ქვეყნები ერთბაშად აუჯანყდებიან დასავლეთს და მის უღელს მოიშორებენ. ამის ნიშნები უკვე გამოიკვეთა — ანაკლიაში პორტს ჩინეთი აშენებს, ღრმავდება კონტაქტები აზიის ქვეყნებთან და რუსეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლადაც იდგმება ნაბიჯები. **ჩვენი აღმოსავლელი და ჩრდილოელი მეგობრები დაგვეხმარებიან, რათა დასავლეთს საქართველო უმტკივნეულოდ ჩაეხსნას და ახალ ეკონომიკურ სტანდარტზე გადმოეწყოს.** თუ გონივრულად ვიმოქმედებთ, დასავლეთის სანქციების შედეგებს ვერც კი ვიგრძნობთ! სიტუაცია სულ მალე იმგვარად შემობრუნდება, რომ საქართველო ძველებურად გახდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა და უცხოეთში გროშების საშოვნელად მიმოფანტული თანამემამულეებიც სიხარულით დაბრუნდებიან სამშობლოში. ეგ კი არა, უკვე უცხოელები ჩამოვლენ საქართველოში, რათა ჩვენი მოხუცების მოვლით გამოიმუშაონ სარჩო!

**— ევროკავშირს წინააღმდეგობის რა ბერკეტები დარჩა? უვიზო მიმოსვლას ხომ არ შეგვიჩერებენ?**

— თუ ამას გააკეთებენ, შეიძლება ეს ქართველი ხალხისთვის უკეთესიც აღმოჩნდეს! ისედაც აშკარაა, ვიზალიბერალიზაცია თავიდანვე სატყუარად რომ ჩამოგვიკიდეს. დაფიქრდით — ვინ მოგზაურობს ევროპაში? საშუალო სტატიკურ ქართველს არ გააჩნია იმის ფუფუნება, ევროპაში სისტემატურად, საშოპინგოდ იაროს. დადიან ერთეულები, ძირითადად, ელიტა, რომელსაც ფული დასავლეთმა აშოვნინა! ხოლო უბრალო ადამიანების ნაკადი ევროპაში გაედინება იმ მიზნით, რათა შავ მუშებად და მონებად გადაიქცნენ, აუტანელ პირობებში გამოიმუშაონ საქართველოში დარჩენილი ოჯახებისთვის საარსებოდ გამოსაგზავნი ფული!

ეს სამარცხვინო მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა დასრულდეს. მეტიც — **საქართველოს კონსტიტუციიდან სასწრაფოდ უნდა ამოიშალოს ჩანაწერი, რომლის თანახმად ქართველი ხალხი ევროპულ და ამერიკულ სტრუქტურებში გაწევრებისკენ ცალმხრივად ისწრაფვის.** დიახ, ცალმხრივად, ვინაიდან არც — ევროკავშირს და, მითუმეტეს, არც — ნატოს, სერიოზულად არასოდეს განუზრახავთ საქართველოს თავიანთ სივრცეში შემოყვანა! **როგორც იურისტი — პირდაპირ გეუბნებით, აღნიშნული ჩანაწერი ანტიკონსტიტუციურია, რადგან არ შეესაბამება სუვერენული ქვეყნის სტატუსს, ნონსენსია და მსგავსი ჩანაწერი თუნდაც განვითარებადი, არცერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ არსებობს!**

> **„როგორც იურისტი — პირდაპირ გეუბნებით, აღნიშნული ჩანაწერი ანტიკონსტიტუციურია, რადგან არ შეესაბამება სუვერენული ქვეყნის სტატუსს, ნონსენსია და მსგავსი ჩანაწერი თუნდაც განვითარებადი, არცერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ არსებობს!“**

**— მაშ, რანაირად აღმოჩნდა ეს ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციაში?**

— ეს მოხდა 2018 წელს. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა იმ ეტაპზე ყოველმხრივ იზრუნა, რათა ამერიკისა და ევროპის პოლიტიკურ წრეებს საქართველოში ხელისუფლების ძალადობით შეცვლის სურვილი არ გასჩენოდათ. დასავლეთმა ამის სანაცვლოდ თავიდანვე საკუთარი მოთხოვნები, განსაკუთრებით, კოჰაბიტაცია წამოაყენა და იმ ეტაპზე, როგორც ჩანს, ხელისუფლებას სხვა გზა არ ჰქონდა და დასავლეთის მოთხოვნებს დაჰყვა. **ამჟამად გარემოება იცვლება და ასეთი ჩანაწერისთვის არანაირი გამართლება აღარ არსებობს, მითუმეტეს, რომ ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში ხალხისგან დაუკითხავად აღმოჩნდა!**

ნაცლიბერასტები ამტკიცებენ, რომ ამ ჩანაწერის საფუძველია სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ჩატარებული პლებისციტი, თუმცა, ფაქტია, რომ 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებული ეს გამოკითხვა ისედაც გაყალბებულ საპრეზიდენტო არჩევნებს მიაბეს. დიახ, დასავლეთი არ არის ჩვენი ორიენტირი, უნდა შეწყდეს ტვინის გამორეცხვა, ისტორიის გაყალბება და ბოდვა „შინ ევროპაში“!

**ქართველისთვის ევროპა ისტორიის არცერთ ეტაპზე არ ყოფილა „შინ“! საქართველო უნდა დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ მდგომარეობას — მართლმადიდებლურ პოლიტიკურ სივრცეს!**

**— ეს ოქტომბრის არჩევნებზე განხორციელდება?**

— დიახ, თუ საქართველო ერთხმად აღუდგება წინ დასავლეთის მონობას! სხვათაშორის, დასავლეთს უკვე დაწერილი აქვს შემოდგომის სცენარი საქართველოსთვის — იგი არ აპირებს არჩევნების შედეგების აღიარებას, პოლიტიკური ლეგიტიმაციის ცენტრად სალომე ზურაბიშვილს გამოაცხადებს და საქართველოში შეიარაღებული გადატრიალების განხორციელებას შეეცდება. **საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს და პროვოკაციები ამერიკული წესით ალაგმოს, ხოლო ნაცლიბერასტი პროვოკატორები სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად მისცეს პასუხისგებაში!**

## „უკრაინაში მიმდინარე ომი კოლექტიური დასავლეთის დამარცხებით დასრულდება!“

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

*დასაწყისი იხ. „ა–დ". 2024 წლის №25*

***ეროვნული მოძრაობის აქტივისტი და სახელმწიფო გადატრიალების დღეებში ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტი გოჩა ბახია „ასავალ-დასავალის" წინა ნომერში დაწყებულ საუბარს განაგრძობს და ხაზგასმით აცხადებს, რომ მოსკოვიდან თუ თბილისიდან შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას გამუდმებით მკვლელებს უქსევდა:***



„ედუარდ შევარდნაძის, კიტოვანისა და დანარჩენი ბანდიტების დავალებით, ისკრა მოროხია გროზნოში ჩამოვიდა და ზვიად გამსახურდიას აფეთქებას ცდილობდა!"



„დღესაც ცოცხალია კაცი, რომელმაც ეს ყველაფერი ზუსტად იცის..."



„სანამ კაკო ასათიანი ამერიკაში ჩავიდოდა, მანამდე პასპორტების ასაღებად მოსკოვს ეწვია. ჩემი ინფორმაციით, სწორედ მაშინ მოხდა მისი პირველი დაკონტაქტება შევარდნაძესთან!"

# გოჩა ბახია:

# გროზნოში შევარდნაძის მიერ გამოგზავნილ მკვლელებს ხან ჩვენ ვიჭერდით და ხან – ჩეჩნეთის უშიშროება!

— „შულავერის კომიტეტი", რომელიც შევარდნაძემ მოსკოვში შექმნა, ფუნქციონირებდა სასტუმრო „ოკტიაბრსკაიაში", სადაც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, ვინც განსაკუთრებული პატივითა და უფლებებით სარგებლობდა, გახლდათ „ენკავედეს" გენერალ-ლეიტენანტის, ლავრენტი ბერიას ცნობილი კადრის **მიხეილ გვიშიანის ვაჟი** და ალექსანდრე კოსიგინის სიძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი **ჯერმენ გვიშიანი.**

„ოკტიაბრსკაიაში" ჩამოდიოდნენ ქართველი მოღალატეები და სათითაოდ ხვდებოდნენ შევარდნაძეს. აქ ყველას ნახავდით — ცნობილ ქართველ მსახიობებს, მომღერლებს, მხატვრებს, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. განსაკუთრებით უნდა გამოვყო **თედო პაატაშვილი,** რომელიც შევარდნაძეს ძალიან დაუახლოვდა და, შეიძლება ითქვას, რომ სასტუმრო „ოკტიაბრსკაიაში" ცხოვრობდა. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ შევარდნაძის „შულავერის კომიტეტის" ხშირი სტუმრები იყვნენ **გიორგი ჭანტურია და ირინა სარიშვილი.** მოგვიანებით ამ სასტუმროს სახელი შეუცვალეს და „პრეზიდენტ-ჰოტელი" დაარქვეს. ჩვენ ყველაფერი ვიცოდით იმის შესახებ, თუ რა შეხვედრები იმართებოდა „შულავერის კომიტეტში" და თბილისიდან რომელი მოღალატე ჩადიოდა, რადგან შევარდნაძის გარემოცვაში აგენტი გვყავდა!

**— ბატონო გოჩა, შეგიძლიათ დაასახელოთ მისი ვინაობა?**

— კი, რა თქმა უნდა, დიდი დროა გასული და უკვე შეიძლება ამის თქმა! ეს პიროვნება გახლდათ მოსკოვში მცხოვრები პატრიოტი ქართველი, განათლებით იურისტი **მურთაზ ჭიჭინაძე,** რომელიც მერე გლებ იაკუნინის კომისიაში მუშაობდა. **გლებ იაკუნინი** გახლდათ განკვეთილი დიაკვანი, მაგრამ, ასე ვთქვათ, საბჭოთა პარლამენტის წევრი, რომელიც რუსეთის ეკლესიისა და „კაგებეს" ურთიერთობის ისტორიას იკვლევდა. **მურთაზ ჭიჭინაძე** სწორედ ამ გლებ იაკუნინის თანაშემწე იყო და დაკავშირებული გახლდათ სპეცსამსახურებთან. ის იყო საქართველოს პატრიოტი და ხელი მიუწვდებოდა უშიშროების მკაცრად გასაიდუმლოებულ არქივებზე. მოგეხსენებათ, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ რუსებმა საქართველოდან უშიშროების არქივები სმოლენსკში გადაიტანეს, სადაც საქართველოზე მასალები ძირითადად იწყებოდა 701 და 702 ნომრებით. მურთაზი ამ მასალებსაც გვაწვდიდა. ასე რომ, ზვიადმა ყველას შესახებ ყველაფერი დოკუმენტურად იცოდა. ამიტომ, როცა პრეზიდენტი ვიღაცას „კრემლის აგენტს" უწოდებდა, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა და არაფერში ცდებოდა.

ამასთან, 1991 წლის თებერვლიდან ჩვენ ყველაფერი ვიცოდით იმის შესახებ, რასაც შევარდნაძე გეგმავდა. ჭიჭინაძე პირადად იცნობდა ბატონ ზვიადს, ახლობლობდა მასთან... ერთხელ გროზნოში **გლებ იაკუნინიც** კი ჩამოიყვანა და ზვიად გამსახურდიას შეახვედრა. შევარდნაძემ სასტუმრო „ოკტიაბრსკაიაში", სადაც „შულავერის კომიტეტი" ჰქონდა შექმნილი, თითქმის ყველა ქართველი პოლიტიკოსი და ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა ლიდერი, მათ შორის, **კაკო ასათიანიც** გაიცნო!

**— აკაკი ასათიანიც ნამყოფია სასტუმრო „ოკტიაბრსკაიაში"?**

— კი, ნამყოფია... ზვიადს ჰქონდა ეს ინფორმაცია... სანამ **კაკო ასათიანი** ამერიკაში ჩავიდოდა, მანამდე პასპორტების ასაღებად მოსკოვს ეწვია. ჩემი ინფორმაციით, სწორედ მაშინ მოხდა მისი პირველი დაკონტაქტება შევარდნაძესთან. 1991 წლის ოქტომბერში, როცა აშკარა გახდა შევარდნაძის ზრახვები, ვუთხარი ბატონ ზვიადს, რომ მოსკოვში ჩავატარებდი სპეცოპერაციას, შევარდნაძეს მოვიტაცებდი და თბილისში ჩამოვიყვანდი, მაგრამ ამაზე პრეზიდენტისგან კატეგორიული უარი მივიღე!

**— მერედა, ამის რესურსი გქონდათ? ცნობილია, რომ შევარდნაძეს ძალიან სერიოზული ძალები იცავდნენ...**

— არ ვაჭარბებ, მაგრამ რესურსი გვქონდა! საერთოდ, შევარდნაძეს მოსკოვში კრიმინალები იცავდნენ. ესენი იყვნენ ცნობილი ოლიმპიური ჩემპიონის **მიხეილ მამიაშვილის** ბიჭები — ძირითადად, მოჭიდავეები და მოკრივეები, ასევე „სოლნცევოს" დაჯგუფების მკვლელები.

1992 წლის 7 მარტს შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში რომ ჩამოვიდა, სულ **იოსებ კობზონის,** „ლუბერცებისა" და „სოლნცევოს" კრიმინალური დაჯგუფებების ლიდერები ჩამოჰყვნენ. თბილისის აეროპორტში გადაღებულ კადრებში პირდაპირ ჩანს „სოლნცევოს" ლიდერი **„სლონი". ოთარ კვანტრიშვილი** ამ საქმეში ნაკლებად იყო ჩარეული, თუმცა, შევარდნაძის გარშემო ისიც ტრიალებდა. მოკლედ, ეს იყო დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ნამდვილად გვქონდა რესურსი, ჩვენი მეგობრების დახმარებით, ეს ბანდიტები გაგვენეიტრალებინა და შევარდნაძე თბილისში დაპატიმრებული ჩამოგვეყვანა, მაგრამ, როგორც გითხარით, ბატონმა ზვიადმა ამაზე კატეგორიული უარი თქვა! მაშინ მოსკოვის „მურსა" და „კაგებეში" ბევრი ქართველი მუშაობდა, მნიშვნელოვანი თანამდებობები ეჭირათ და თანამშრომლობდნენ ჩვენთან, როგორც საქართველოს პატრიოტები... მოკლედ, ამის გაკეთება შეიძლებოდა...

**— მურთაზ ჭიჭინაძეს რა ბედი ეწია?**

— როგორც ჩანს, **მურთაზ ჭიჭინაძე** გაშიფრეს, მიუხვდნენ, რომ ჩვენზე მუშაობდა და შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ დააპატიმრეს. მან რუსეთის ციხეში შვიდი წელი გაატარა, დაავადდა და დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მურთაზთან მაქვს ურთიერთობა...

**— თქვენმა ინტერვიუმ, რომელიც „ასავალ-დასავალის" წინა ნომერში გამოქვეყნდა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ისტორია აღწერეთ, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ხომ არ გინდათ, ამ საშინელ და**

## კვირგვინოსნები

**სოსო ცინცაძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



ახლო მომავალში, **შესაძლოა, ამერიკამ დაარტყას ირანს,** შესაძლოა, ნატოც ჩაერთოს ამ ომში. თუ ეს ომი დაიწყო, ეჭვი არავის შეეპაროს, **ირანი საქართველოს ტერიტორიას გამოიყენებს ლოჯისტიკისთვის.** რუსეთი უზრუნველყოფს ამას ირანისთვის. ამით კი **ომში ვიქნებით ჩართულები ირანის მხარეს და ამერიკის ან ნატოს წინააღმდეგ.**

„ალია"

**კახა კუკავა**
*პარტია „თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარე*



დავუშვათ, შეიცვალა ხელისუფლება, **ახალგაზრდები ხომ ვერ მართავენ ქვეყანას** და შეგიძლიათ, რამდენიმე ადამიანი დამისახელოთ, ვინც ამ ფონზე ქვეყანას უხელმძღვანელებს? საბოლოო ჯამში, **უფრო რეალისტურია სცენარი, რაც 1992 წელს მოხდა,** ხელისუფლების ცვლილება თუ მოხდება, **ხელისუფლებაში მოვა ის ბანდა, ვინც უკვე იყო.**

„ალია"

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**ერთპიროვნული მმართველობა** 30 წლის შემდეგ **დასასრულისკენ მიდის.**

„ახალი თაობა"

**ვაჟა შაქარიშვილი**



პარადოქსია, რომ **ისეთი პოლიტიკოსები არიგებენ ჭკუას ქართველ ხალხს,** რომლებსაც საკუთარ ქვეყანაშიც აღარ ენდობიან.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**სამარცხვინო ამბავს რამე დაამატოთ? როგორ ფიქრობთ, გია გულუა და ავთანდილ იოსელიანი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს შეეწირნენ?**

— რა თქმა უნდა! **გია გულუაც და ავთანდილ იოსელიანიც** ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს წააკლეს! **გია გულუა** შევარდნაძემ თავიდანვე მოიშორა, როგორც ზვიად გამსახურდიას უშუალო მკვლელი, ხოლო ავთო იოსელიანი მას შემდეგ დაადუმეს, რაც ე.წ. ვარდების რევოლუციის კვალდაკვალ ლაპარაკი დაიწყო და რაღაც ინფორმაციები გაჟღერა. ერთხელ უკვე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: **დანამდვილებით ვიცი, რომ შოთა კვირაიამ და მისმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზვიად გამსახურდიას აყვანა და დაპატიმრება უშიშროებას — იგორ გიორგაძესა და ავთო იოსელიანს დაასწრეს. გიორგაძეს** რომ ამ საქმეში გარევა არ უნდოდა, ეს ყველამ იცის და ახალი ამბავი არ არის, მაგრამ **იოსელიანი** ზვიად გამსახურდიას დასდევდა.

საერთოდ, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში უმნიშვნელოვანესი წყაროა **ბადრი ზარანდიას** დღიურები. მის სახლში გამართული შეხვედრაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია.

## დარწმუნებული ვარ, რობიზონ მარგველანი და დანარჩენები სადმე ოთახში ერთი ხუთი დღით რომ გამოკეტო, ყველაფერს იტყვიან და დაამღერებენ!

ამათ, ამ უბედურებს, დღემდე არა აქვთ გააზრებული, ვისთან იყვნენ, რას ემსახურებოდნენ და ზვიად გამსახურდია ვინ იყო!

**— გასაგებია, რომ შევარდნაძემ საქართველოს დასამხობად და ზვიად გამსახურდიას გასანადგურებლად მოსკოვში, სასტუმრო „ოქტიაბრსკაიაში", „შულავერის კომიტეტი" შექმნა, მაგრამ ქართველ მოღალატეებთან საკონტაქტოდ ვის ეყრდნობოდა?**

— ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა „კაგებეს" გენერალ-ლეიტენანტ **ჰიბერტ ხაზალიას,** რომელიც მოსკოვში შექმნილ „შულავერის კომიტეტში" გამუდმებით დაძვრებოდა. ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა **ვინმე დარჩიასაც,** რომელსაც შევარდნაძე საქართველოში გარკვეული დავალებებით აგზავნიდა. შევარდნაძის ხელისბიჭები და აქტივისტები იყვნენ **გია ვოლსკი და კახა ლომაია,** რომლებიც მოსკოვის ქართულ წარმომადგენლობაში მუშაობდნენ, მაგრამ შევარდნაძემ მათი გადაბირება მოახერხა.

**— ვინმე დარჩია, მაგალითად, რას აკეთებდა?**

— დარჩიას ჩვენ ვაკვირდებოდით... მაგალითად, **დარჩია** 1991 წლის ზაფხულში შევარდნაძემ მოსკოვიდან სოხუმში გამოგზავნა, სადაც სახელმწიფო აგარაკზე შეხვდა **ბივი ლომინაძესა და მურმან ომანიძეს.** რა მოხდა იმ შეხვედრაზე და რა მოითათბირეს, არ ვიცი. ცნობისათვის: **ომანიძე** სანამ მინისტრი გახდებოდა, დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში, აფხაზეთში ცხოვრობდა. **ბივი ლომინაძემ და ავთანდილ იოსელიანმა** აფხაზეთის ომის დაწყების წინ აფხაზეთის ბანკები გაძარცვეს და მთელი ვალუტა და თანხები უზარმაზარი ფურით თბილისში წამოიღეს!



გია გულუა

> „გია გულუა შევარდნაძემ თავიდანვე მოიშორა, როგორც ზვიად გამსახურდიას უშუალო მკვლელი, ხოლო ავთო იოსელიანი მას შემდეგ დაადუმეს, რაც ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ლაპარაკი დაიწყო და რაღაც ინფორმაციები გააჟღერა!"



ავთანდილ იოსელიანი



ბივი ლომინაძე

> „ბივი ლომინაძემ და ავთანდილ იოსელიანმა აფხაზეთის ბანკები გაძარცვეს!"

**— მაინც როგორ მოხდა ეს ყველაფერი?**

— დღესაც ცოცხალია კაცი, რომელმაც ეს ყველაფერი ზუსტად იცის, მაგრამ, მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ ვასახელებ!

## 1992 წლის 10 აგვისტოს, ომის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე, რაც კი აფხაზეთის ბანკებში ფული იყო, გამოიტანეს, ფურაში დატვირთეს და ფულს უკან ბეტონის ფილები მიაწყვეს, რათა რიკოთის აღმართებზე ფული უკან არ დაძრულიყო და ფურადან არ გადმოცვენილიყო...

ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობდა, ყველა მოკლეს ან მოკვდა, დარჩენილია ერთადერთი კაცი, რომელიც დიდძალი ფულით დატვირთულ ფურას მოაცილებდა.

**— ამოდენა ფულს რა უქნეს?**

— ფული თბილისში ჩამოიტანეს და **ავთო იოსელიანმა და ბივი ლომინაძემ** გაიყვეს! ამ ფულით შექმნეს **„რესპუბლიკა ბანკი",** რომელიც მერე ფრანგულმა **„სოსიეტე ჟენერალმა"** შეიერთა... ამათ შეიძინეს მეხსექციები და ეს კრიმინალური ფული სწორედ მეხსექციებით წაიღეს ყაზახეთში, საიდანაც დაუკავშირდნენ **ტიგრან ცატურიანს,** რომელსაც ბანკი ჰქონდა მოსკოვში. ამის შემდეგ თანხა იმავე მეხსექციებით ჩაიტანეს მოსკოვში, მოაკვარახჭინეს საქმე და ასე გახდა **ბივი ლომინაძე** „რესპუბლიკა ბანკის" მეწილე!

**— მაინც, რა თანხა გაიტანეს სოხუმისა და აფხაზეთის დანარჩენი ბანკებიდან?**

— ჩემი ინფორმაციით, 3 მილიონი დოლარი მხოლოდ ვალუტა გაიტანეს და დანარჩენი კიდევ სხვა... ეს მაშინ ძალიან დიდი ფული იყო. **ბივი ლომინაძემ და ავთო იოსელიანმა** ამ საქმეში აქტიურად ჩართეს სოხუმის ბანკის ინკასაციის სამსახურის უფროსი, გააფსუებული ქართველი, **ვინმე დოჩია.** დოჩიამ, რაც მანქანებში ფული ჰქონდა და ასევე სოხუმის ბანკის საცავებში ინახებოდა, ყველაფერი მოაგროვა და გივი ლომინაძესა და ავთო იოსელიანს ფურაში ჩაუტვირთა. 1992 წლის 10 აგვისტოს ფურა წამოვიდა თბილისისკენ, რომელსაც მოაცილებდა ჩემი ნაცნობი. ამ კაცმა არ იცოდა, რას მოჰყვებოდა და ამის შესახებ შეიტყო მხოლოდ თბილისში, როცა ფურა მშვიდობიანად ჩამოვიდა და დაცალეს. ჩემს ნაცნობს სთავაზობდნენ ფულს, მაგრამ მან ხელი არ მოჰკიდა, რადგან შეეშინდა...

**— როგორ ფიქრობთ, შევარდნაძის გარეშე ეს მოხდებოდა?**

— ცხადია, არა! სწორედ შევარდნაძემ გააკეთებინა ეს ორ მოღალატესა და მკვლელს — **ავთო იოსელიანსა და ბივი ლომინაძეს!**

**— ედუარდ შევარდნაძეს თუ ჰქონდა მცდელობა, ზვიად გამსახურდია მანამდე მოეშორებინა, ვიდრე თბილისში გადატრიალებას დაიწყებდა?**

— შევარდნაძე ზვიადის წინააღმდეგ სულ მოქმედებდა. მაგალითად, იყო ასეთი კაცი — **ისკრა მოროხია,** რომელიც სპეცრაზმის თანამშრომელი იყო, ძველბიჭობდა, მაგრამ თან შინაგან საქმეთა სამინისტროშიც მუშაობდა.

**ედუარდ შევარდნაძის, კიტოვანისა** და დანარჩენი ბანდიტების დავალებით, **ისკრა მოროხია** გროზნოში ჩამოვიდა და ზვიად გამსახურდიას აფეთქებას ცდილობდა. ადგილზე მას დახვდა 200 კილოგრამი ტროტილი, რომლითაც სხვადასხვა ადგილას უნდა მოეწყო დივერსიული აქტი. **ისკრა მოროხია** დავაპატიმრეთ. მან თქვა, რომ შევარდნაძისა და კიტოვანის მიერ იყო გამოგზავნილი ზვიადის ასაფეთქებლად. მოროხია არამარტო პრეზიდენტის სასახლის, არამედ სასტუმრო „კავკაზის" აფეთქებასაც გეგმავდა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით.

დაპატიმრებული მოროხია გროზნოს ციხიდან ცოლს წერილებს სწერდა — არა მგონია, აქედან ცოცხალი გამომიშვანო! **ისკრა** ცოლს ერთ-ერთ წერილში ბლის ხეზე მიანიშნებდა... ჩვენ მივხვდით, რომ ბლის ძირში, სავარაუდოდ, ნაძარცვი ქონება ჰქონდა დამარხული. გავაგზავნეთ ხალხი გალში, რომლებმაც იპოვეს ის ბალი და მართლაც იპოვეს ნაძარცვი ქონება.

ჩეჩნები მოროხიას დახვრეტას აპირებდნენ, მაგრამ ზვიადმა არ დაახვრეტინა და გააშვებინა. როგორც ვიცი, **ისკრა მოროხია** 1998 წელს გალის ცნობილი მოვლენების დროს მოკლეს გალის ხიდთან... მგონი, ის გალში ფანტანთან ცხოვრობდა. იყო ასეთი მხედრიონელი და „გრუ"-ს აგენტი **თემურ მასხულია**, რომელსაც ასევე დავალებული ჰქონდა ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაცია. იგივე შეიძლება ითქვას **თემურ ხაჩიშვილზეც,** რომელიც ასევე „გრუ"-ს აგენტიც იყო და მხედრიონელიც. თემურ მასხულია გროზნოში ვითომდა ნავთობის ბიზნესის დასატრიალებლად ჩამოვიდა, სინამდვილეში ზვიადის მკვლელობა ჰქონდა დავალებული. **მასხულია** ჩვენმა ბიჭებმა გროზნოში დაიჭირეს და ისე სცემეს, მგონი, რაღაც მომენტში გააფრინა კიდეც... მოკლედ, შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას არც მოსკოვიდან ასვენებდა, არც — თბილისიდან და სულ მკვლელებს უგზავნიდა. გამუდმებით თავდაცვის რეჟიმში ვიყავით... გროზნოში შევარდნაძის მიერ გამოგზავნილ მკვლელებს ხან ჩვენ ვიჭერდით და ხან — ჩეჩნეთის უშიშროება. ზვიად გამსახურდიას არასოდეს, არცერთი მათგანის სიკვდილით დასჯაზე ხელი არ აუწევია... არადა, ისინი ამას ნამდვილად იმსახურებდნენ!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

*თემის გაგრძელება 22-ე გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**

*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



**თუ ქართველი მოსახლეობა არ მისცემს ხმას მმართველ პარტიას, გამოდის, რომ** ქართველი ხალხი უწევს ანგარიშს დასავლეთს და, პირველ რიგში, ამერიკის პოზიციებს, ხოლო **თუ ხმას მისცემს, გამოდის, რომ** ნაკლებად აინტერესებს ამერიკის პოზიციები.

„ახალი თაობა"

**გია ხუხაშვილი**

*ანალიტიკოსი*



როდესაც სხვებს ასანქცირებენ და **ივანიშვილს** — არა, ამით ინგრევა მისი უძლეველობის მითოლოგია. ის ხომ შეპირდა ამ ხალხს, რომ **არაფერი არ იქნება და მე ყველას დაგიცავთო.** ახლა ეს ხალხი დაინახავს, რომ **ივანიშვილი ვერაფრისგანაც ვერ იცავს.**

„ახალი თაობა"

**ლევან ხაჩიშვილი**

*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**ოპოზიციამ ასევე უნდა იმუშაოს გერმანიის ფედერაციასთან,** რომ ევროპის ჩემპიონატზე პრემიერი **კობახიძე, კალაძე, კობიაშვილი** ვერ ჩავიდნენ გერმანიაში.

„ახალი თაობა"

**დავით ბერძენიშვილი**

*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



მთავარია, არჩევნები **ოპოზიციამ მოიგოს დიდი უპირატესობით** და **ბიძინას** ვერტმფრენი დაქოქილი ეყოლება. თუ დააპირა ხელისუფლებისათვის ბრძოლა, **ან გაგვასწრებს აბაშიძესავით, ან — ვერა.**

„ახალი თაობა"

*თემის დასაწყისი მე-20 გვერდზე*

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ გოჩა ბახიას სკანდალურ ინტერვიუს ეხმიანება და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმეში არაერთ საინტერესო დეტალს იხსენებს:***






# იგორ კვესელავა:

# ეჭვი არ მეპარება, რომ შევარდნაძე ნამდვილად ჩაიდენდა იმას, რასაც გოჩა ბახია ლაპარაკობს!

— ყურადღებით გავეცანი **გოჩა ბახიას** ინტერვიუს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ. ეს ვერსია სათავეს იღებს მამა **ბასილ მკალავიშვილისგან,** რომელმაც წლების წინათ ინტერვიუში განაცხადა, რომ პატიმრობისას ერთ-ერთმა პიროვნებამ აღსარების დროს უამბო, თუ როგორ მოკლეს ზვიად გამსახურდია. მამა ბასილის მიხედვით, 1993 წლის 28 დეკემბერს **ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან კარლო ღურწკაიას სახლისკენ მანქანით მიმავალი პრეზიდენტი და მისი ამალა შევარდნაძის ხალხმა გააჩერა, დაატყვევა და სხვადასხვა მიმართულებით წაიყვანა.** ამის შემდეგ ზვიად გამსახურდია ჩაიყვანეს სენაკში და თვითმფრინავით გადააფრინეს თბილისში. სწორედ თვითმფრინავში, შევარდნაძის თვალწინ, აწამეს პირველი პრეზიდენტი და დაამტვრიეს ძვლებში, რადგან ხელს არ აწერდა ბლანკიან ფურცელს პოსტიდან თავისი გადადგომის შესახებ. ამის შემდეგ ზვიადი დახვრიტეს...

**— ბატონო იგორ, გოჩა ბახიას ჩემთვის არ უთქვამს, რომ მხოლოდ მისი ნათქვამია ერთადერთი ჭეშმარიტება და ხაზგასმით აღნიშნა — ამ განცხადებების შემდეგ მე უნდა დამკითხონ, მაგრამ პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიება ხელს არავის აძლევსო!**

— **გოჩა ბახიას** ბევრ რამეში ვეთანხმები, მაგრამ თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ადრე მას პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ ოდნავ განსხვავებული ვერსია ჰქონდა!

**— კერძოდ!**

— „ასავალ-დასავალის“ 2012 წლის 16-22 იანვრის ნომერში იგივე **გოჩა ბახია** ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ცოტა სხვაგვარად აღწერდა და გვიმტკიცებდა, რომ პრეზიდენტი არა **კარლო ღურწკაიას** სახლში, არამედ გზაში აიყვანეს, როცა **ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან** ღურწკაიებისკენ მიჰყავდათ.

საერთოდ, **ჯონსონ კვარაცხელიას** ოჯახმა ზვიად გამსახურდია ნამდვილად გულით მიიღო და შეიფარა. ოჯახს ზვიადის იქ ყოფნის დროს სისტემატურად უთვალთვალებდა უშიშროება და მიდიოდა ზეწოლა, რათა ოჯახი სპეცოპერაციის ჩატარებაზე დაეყოლიებინათ. **ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახმა** ზვიადი არ გაყიდა! სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიას არ უნდოდა ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახიდან წამოსვლა, მაგრამ სპეცსამსახურებმა, რომლებიც თავიდან ბოლომდე აკონტროლებდნენ **რობიზონ მარგველანს, ბაჩუკი გვანცელაძესა და ბესარიონ გუგუშვილს,** პრეზიდენტი აიძულეს, დაეტოვებინა ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახი.

ოჯახს უთვალთვალებდა აფხაზეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელი **გია მხეიძე,** რომელმაც, დღევანდელი ხელისუფლების სამარცხვინოდ, წლების შემდეგ ნიღაბი საბოლოოდ ჩამოიხსნა და აღიარა, რომ პირველ პრეზიდენტს **ჯონსონ კვარაცხელიას სახლში** თვალს არ აშორებდა. **კონსტანტინე გამსახურდიას** კომისიასთან ვთანამშრომლობდი და არაერთი მასალაც მივაწოდე. კომისიის მუშაობის შედეგად გამოსულ სქელტანიან წიგნში ბევრი დაკითხვის ოქმი შევიდა, მაგრამ საკითხავია, რამდენად სრულყოფილად აისახა ეს ყველაფერი გამოცემაში და ხომ არ ჩაუტარდა მათ რევიზია? ყველაფერი გამოქვეყნდა?

**— თქვენ ეჭვი გაქვთ, რომ რაღაც-რაღაცები გამოუქვეყნებელი დარჩა და მასალები ოქმებიდან ამოიღეს?**

— კატეგორიული ვერ ვიქნები, თუმცა, იმას კი ვიტყვი, რომ ეს საკითხი გასარკვევია, რადგან იგივე **გოჩა ბახია** ამ თორმეტი წლის წინათ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის სხვა ვერსიას გვთავაზობდა, დღეს სხვა ვერსიას გვთავაზობს! **კიდევ ერთხელ ვაცხადებ: ბახიას აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ბევრი რამ ჩემთვის მაინც საკვირველია. ეტყობა, გოჩა ბახია ახლა უფრო გაიხსნა და გადაწყვიტა, ყველაფერი თქვას. არც ისაა გამორიცხული, ამ ხნის განმავლობაში მან თავისი წყაროებისგან ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიიღო.**

**— გოჩა ბახიას მონათხრობის თანახმად, ზვიად გამსახურდია შევარდნაძის თვალწინ აწამეს და მერე მოკლეს. როგორ ფიქრობთ, ედუარდი ამის გამკეთებელი იყო? თქვენ ხომ შევარდნაძეს იცნობდით?**

— რას ამბობთ, სწორედ შევარდნაძე იყო ამის გამკეთებელი თუ იყო! რასაც **გოჩა ბახია** ლაპარაკობს, ეჭვი არ მეპარება, რომ შევარდნაძე ნამდვილად იზამდა, მაგრამ ბახიას მონათხრობი მაინც რჩება პრეზიდენტის მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად. როცა საქმე სკამსა და ძალაუფლებას ეხებოდა, ედუარდი ყველაფერზე წამსვლელი იყო. მან მოსკოვიდან თბილისის მეტროპოლიტენის ყოფილი ხელმძღვანელი **ნოდარ ბერიძე** თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ **კიტოვანთან** გამოგზავნა და დიდძალი თანხის სანაცვლოდ ქილერის მოძებნა დაავალა, რომელიც ზვიად გამსახურდიას მოკლავდა. **კიტოვანმა** მაშინ ამ საქმეში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი თქვა, მაგრამ შევარდნაძეს ქილერების ძებნა არ შეუწყვეტია. ჩვენ შეგვიძლია, ვერსიებზე ვიდავოთ, მაგრამ რაც სადავო არ არის და ერთმნიშვნელოვანია, ის გახლავთ, რომ ზვიად გამსახურდია თვითმკვლელი არ არის და მოკლეს!

სხვათაშორის, შესაძლოა, ბევრმა არაფერი იცის იმის შესახებ, რომ

## იმ ავბედით ღამეს ღურწკაიების სახლში რობიზონ მარგველანმა და ბაჩუკი გვანცელაძემ საძილე და დამამშვიდებელი წამლები მიიღეს, რაც უსათუოდ ამყარებს იმ აზრს, რომ დაცვას ეძინა.

რამ გამოიწვია ეს ძილი — საძილე წამლებმა თუ გაზმა, როგორც ამას **გოჩა ბახია** გვეუბნება, გასარკვევია! რაც შეეხება იარაღის გავარდნას და „გეკოს“ ტყვიით ზვიადის მკვლელობას, ლოგიკურად ეს სიმართლეს ჰგავს. ისე, რომ იცოდეთ, **გია გულუას** დაფიცებული ჰქონდა, რომ ზვიად გამსახურდიას მოკლავდა!

**— რა გახდა ამ მტრობის მიზეზი?**

— შევარდნაძეს იმ სიტუაციაში გამსახურდიას მკვლელობა მართლაც არ აწყობდა... **გოჩა ბახია** იმაშიც მართალია, რომ ედუარდი ზვიად გამსახურდიას გადადგომას ითხოვდა, რადგან შევარდნაძეს ლეგიტიმაციის პრობლემა ჰქონდა. დამხობისა და საქართველოდან განდევნის მიუხედავად, **ზვიად გამსახურდია** მსოფლიოს თვალში საქართველოს ლეგიტიმურ, ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ პრეზიდენტად რჩებოდა. ამიტომ შევარდნაძისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო, ზვიადი იძულებული გაეხადა, ან გადამდგარიყო, ანდა მოეკლა ისეთ სიტუაციაში, როცა მას პილატესავით ხელების დაბანის საშუალება მიეცემოდა.

ჩემთვისაც ცნობილია, რომ შევარდნაძის მსტოვრები გროზნოში მყოფ ზვიად გამსახურდიას უთვლიდნენ, ხელი მოეწერა დოკუმენტზე გადადგომის შესახებ! როცა შევარდნაძემ ეს გროზნოში ვერ მოახერხა, ამის შემდეგ შეეცადა, თავისი სპეცსამსახურების მეშვეობით ზვიადი საქართველოში ჩამოეტყუებინა.

სხვათაშორის, **ბესარიონ გუგუშვილი** ზვიადის წინაშე პირნათელია იმ მხრივ, რომ მან პრეზიდენტს კატეგორიულად დაუშალა გროზნოდან საქართველოში ჩამოსვლა. ეს იმას ნიშ-



## „სიგუასგან ვიცი, რომ შევარდნაძე მის მოსაკლავად 250 ათას დოლარს იხდიდა, მაგრამ მერე შეეშვა!“

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



იმ ხალხმა, რომელიც ამბობს — **უკრაინამ წარმატებებს მიაღწია** და ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები უნდა გაიხსნასო, იქნებ მითხრათ, **რაში მდგომარეობს უკრაინის წარმატების საიდუმლო?**

„იმედინიუსი“

**თენგიზ ფხალაძე**
*საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ევროპული ცენტრის უფროსი მკვლევარი*



რა თქმა უნდა, **ქვეყნის ნებაა, რომ მიიღოს ის კანონი, რაც უნდა** და ისიც, როგორ სახელმწიფოს ააშენებს, რაც ჩვენს პარტნიორებსაც არაერთხელ უთქვამთ, მაგრამ ისიც უთქვამთ, რომ **მათი ნებაა უკვე, რა ურთიერთობები ექნებათ ამ ქვეყანასთან.** უაღრესად რთულ, მეტიც, **კრიტიკულ ვითარებაში ვართ.**

„კვირის პალიტრა“

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



რამე არ შეგეშალოთ, „ქოცებო“, თორემ მერე **დანდობა აღარ იქნება თქვენი.** ეს ახალგაზრდობა უპატრონოები არ არიან, ამათ მამები და დედები ჰყავთ. **ორლულიანი თოფების აჯანყება არ მიიღოთ.**

„რეზონანსი“

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ყოფილმა ხელისუფლებამ 150-ზე მეტი ახალგაზრდა ქუჩაში მოკლა: **ბირბვლიანი, რობაქიძე, გამცემლიძე, ვაზაგაშვილები, კრიალაშვილი, სამი აჭარელი ბიჭი, შავაძე, თეთრაძე, ცინდელიანი,** რომლის პატრონს მისი საფლავიც კი არა აქვს. ამის ჩამდენი ხელისუფლება ყოფილა, თურმე, **დემოკრატიის შუქურა,** ხოლო ხელისუფლება, რომელიც დღეს საქართველოში აბსოლუტურად სწორი ნაბიჯებით მიდის — **არაევროპული.**

„ახალი თაობა“



## „ზვიად გამსა-ხურდიას მკვლელობის შემდეგ მოხდა პირველი ნატყვიარის „გაშპაკვლა!“

ნავს, რომ 1993 წლის ზაფხულში **გუგუშვილი** ჯერ კიდევ უმართავი იყო. საუბედუროდ, შევარდნაძის სპეცსამსახურების მიერ გუგუშვილი ბოლოს მაინც მართვადი გახდა. ასე რომ, **გოჩა ბახიას** მიერ ინტერვიუში ნახსენები ბლანკიანი ფურცლები, რომელზე ხელმოწერასაც შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას აიძულებდა, მართალს ჰგავს...

**— ზემოთ გია გულუას შესახებ გკითხეთ!**

— **გულუა** კარგი მილიციელი იყო... ის ზვიადმა მთაწმინდის პოლიციის უფროსად დანიშნა, მაგრამ **გია გულუას** რაღაცაზე ხელი წაუცდა, რაც ზვიადმა არ აპატია. იმის შემდეგ **გია გულუამ** ოჯახის წინაშე დაიფიცა, რომ ზვიად გამსახურდიას მკაცრად აზღვევინებდა!

**— მაინც რა მოხდა?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, მთაწმინდის რაიონის პოლიციის უფროს **გია გულუას** ფულზე წაუცდა ხელი და რაღაც საქმეში ქრთამი აიღო. ამის გამო ზვიადმა ის თანამდებობიდანაც გაუშვა და ორგანოებიდანაც დაითხოვა. აი, სწორედ ამ ინციდენტის შემდეგ **გია გულუამ** ოჯახის წინაშე დადო საშინელი ფიცი, რომ ზვიად გამსახურდიას აუცილებლად მოკლავდა! ისე, მილიციაში ქრთამს ყველა იღებდა და გამონაკლისი არც გულუა ყოფილა. სხვათაშორის, **გია გულუა** ძლიერი მუშაკი იყო და პოლიციისთვის გახლდათ დაბადებული. თანამდებობიდან და ორგანოებიდან გაგდებული **გია გულუა** ამის შემდეგ მოსკოვში ჩავიდა და აქტიურად თანამშრომლობდა იმ „მულავერის კომიტეტთან“, რომელიც შევარდნაძემ იმპერიის დედაქალაქში ქართველი მოღალატეებისაგან დააკომპლექტა. ზუგდიდში გია გულუა ზვიადისტებმა დააპატიმრეს, მაგრამ **ბადრი ზარანდიამ** ციხიდან გაუშვა.

**— რატომ გაუშვა?**

— აი, ეს არის საინტერესო! **ბადრი ზარანდია და გია გულუა** ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ მათ შორის შედგა კონტაქტი და ზარანდიამ გულუა ციხიდან გაათავისუფლა. სხვათაშორის, ბადრი ზარანდიას ბუნაგში შევარდნაძის რამდენიმე კაცი იყო, რომლებიც ოსტატურად ინიღბებოდნენ. ასე რომ, **გულუა,** როგორც ზვიად გამსახურდიას დაუძინებელი მტერი და პირველი პრეზიდენტის მკვლელობის სურვილით შეპყრობილი, როგორც ბახია ამბობს, შესაძლოა, „მარგოლინის“ პისტოლეტით მართლაც სცემდა ზვიად გამსახურდიას და, დიდი ალბათობით, ტყვიაც გაუვარდა. მაგრამ საეჭვოდ მივიჩნევ იმას, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ძვლებში „მარგოლინით“ დაამტვრიეს...

**— როგორც ჩანს, პრეზიდენტს წიხლებითაც სცემდნენ, ავტომატების კონდახებითაც უსწორდებოდნენ!**

— როგორც ვიცი, ავტომატების კონდახებით ცემა იქ არ ყოფილა, მაგრამ ტყვიის გავარდნის ამბავი გამორიცხული არ არის. ისიც სიმართლეა, რომ მეორე ტყვია უკვე მკვდარ ზვიად გამსახურდიას ესროლეს.

**— წინა ინტერვიუებში თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ უშიშროების გენერალ მიხეილ ოსაძეს, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობას იკვლევდა, თქვენთვის სკანდალური მასალები უნდა მოეცა. აწ განსვენებულ ოსაძეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ის სცენარი, რომლის შესახებაც გოჩა ბახიამ ისაუბრა, თქვენთან საუბარში ოდესმე გაუჟღერებია?**

— არა, **მიხეილ ოსაძესთან** მე ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა, ბევრ რამეს მეუბნებოდა, მაგრამ ასეთი რამ მას ჩემთვის არ უთქვამს! მაგალითად, **ლატავრა ფოჩიანი** ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ სულ სხვა ვერსიას ავითარებდა და მიიჩნევდა, რომ პირველი პრეზიდენტი კახეთში ჩაიყვანეს და იქ მოკლეს. ერთი რამ ფაქტია, უკვე 1993 წლის 28 დეკემბერს, დილით, სამეგრელოში ვიღაცები პრეზიდენტისთვის პიჯაკის საყიდლად მოძრაობდნენ, რაც აძლიერებს ეჭვს, რომ შესაძლოა, ზვიად გამსახურდია მართლაც 28 დეკემბერს, საღამოს, მოკლეს. **ავთო იოსელიანს** ჩემთვის ნათქვამი აქვს — **რობიზონ მარგველანი** ჩემი ნათესავი არ არის, მაგრამ ჩემი ცოლის ბიძაშვილიაო! ხოლო **თენგიზ სიგუამ,** რომლის სიმამრთანაც ვმეგობრობდი, ერთხელ სუფრასთან ასეთი რამ თქვა — მთვრალმა **შოთა კვირაიამ** კიტოვანს უთხრა — ზვიად გამსახურდიას ბედი წამებში გადაწყდაო! სხვათაშორის, სიგუასგან ისიც ვიცი, რომ შევარდნაძე მის მოსაკლავად 250 ათას დოლარს იხდიდა, მაგრამ მერე შეეშვა! ისიც საინტერესოა, რომ ცნობილი პათანატომი, აწ განსვენებული აკადემიკოსი **თამარ დეკანოსიძე** ხაზგასმით აცხადებდა — „ხელისუფლება ცდილობდა, საზოგადოებისთვის საგულდაგულოდ დაემალა ის ფაქტი, რომ ზვიად გამსახურდიას ორი ნატყვიარი ჰქონდა!“

ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ მოხდა პირველი ნატყვიარის „გაშპაკვლა“, რაც გამოცდილი და აპრობირებული მეთოდია. **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას** გამოუსწორებელი შეცდომა და, თუ გნებავთ, დანაშაული, ის არის, რომ მან **ბესარიონ გუგუშვილთან** გააფორმა სამარცხვინო ხელშეკრულება და ზვიად გამსახურდია ისე დაასაფლავა, რომ სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზა გვამს არ ჩაუტარა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „როცა საქმე სკამსა და ძალაუფლებას ეხებოდა, ედუარდი ყველაფერზე წამსვლელი იყო!“



# ან ქოცები, ან ქაქები!

## ნანა კაკაბაძე



### ჩვენი „მეგობარი“ ამერიკელები დაჟინებით გვატენიან ხელისუფლებაში სალომე ზურაბიშვილის მიერ შექმნილი „ქართული ქარტიის“ (შემოკლებით „ქა-ქა“) ხელმომწერ პარტიებს!

***როგორც გვეუბნებიან, ამერიკაში სავიზო შეზღუდვები დაუწესდა საქართველოს ასეულობით მოქალაქეს. ისინი ამის შესახებ მხოლოდ მაშინ გაიგებენ, როდესაც საელჩოში განაცხადს შეიტანენ და ფულსაც გადაიხდიან, რომელსაც, რა თქმა უნდა, უკან არავინ დაუბრუნებს.***

ანუ საელჩომ იცის, რომ უარი უნდა უთხრას პირს ვიზაზე, მაგრამ მაინც ღებულობს საბუთებსაც და ფულსაც.

ასეთი ყოფილა მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკულად!

ამბობენ, ამერიკა შეეცდება, მისთვის მიუღებელი საქართველოს ხელისუფლების დასასჯელად საქართველოსთვის ნაწყალობევი უვიზო რეჟიმი ევროკავშირსაც შეაჩერებინოსო.

**ანუ ჯერ თავი გადაგვჭამეს — კანდიდატის სტატუსი საქართველოს ცუდ ხელისუფლებას კი არა, კარგ მოქალაქეებს მივეცითო და ახლა იგივე კარგ მოქალაქეებს ემუქრებიან, რადგან თქვენს ხელისუფლებას სახელმწიფო გადატრიალებით არ აყირავებთ, თქვენთვის ევროპაში უვიზო რეჟიმსაც გავაუქმებინებთო.**

**ასეთი ყოფილა მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკულად!**

„მეგობრები“ იმასაც გვეუბნებიან — რადგან უკრაინასა და მოლდოვაში ჩვენთვის მისაღები რეჟიმებია, იქ არსებულ კორუფციაზე, ადამიანის უფლებების დარღვევებზე და, ზოგადად, ყველანაირ უკეთურობაზე თვალებს დავხუჭავთ და ევროკავშირში გაწევრიანებაზე მწვანე შუქს ავუნთებთ, ხოლო ქართველი ამომრჩევლების უმრავლესობით არჩეულ, მაგრამ ჩვენთვის მიუღებელ თქვენს ხელისუფლებას ანტიდემოკრატიულად გამოვაცხადებთ, რათა მთელ მსოფლიოში იმიჯი შევულახოთ.

**ასეთი ყოფილა მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკულად!**

უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყნის ეს **„დაუძინებელი მეგობრები“** ქართველ ხალხს კონკრეტულ მოთხოვნას დაუყენებენ:

**ან ნებაყოფლობით აირჩიეთ და დააბრუნეთ ხელისუფლებაში თქვენთვის სისხლიანი, ხოლო ჩვენთვის „დემოკრატიის შუქურად“ მონათლული რეჟიმი და მათი ანასხლეტები, ან ჩვენ თვითონ მოვახერხებთ, არჩევნების ყველა სხვა შედეგის შემთხვევაში არჩეული ხელისუფლების არალეგიტიმურად გამოცხადებას, თუნდაც არჩევნები დემოკრატიულად და მაქსიმალური გამჭვირვალობით ჩატარდესო.**

უფრო მეტიც, ჩვენ ბიძგს მივცემთ „ქართული მაიდნის“ დაწყებას, **ვინაიდან, თუ ეს ხელისუფლება დარჩა საქართველოში, ქართველ ხალხს ჩვენი დიადი მიზნებისა და ინტერესებისთვის საზარბაზნე ხორცად ვერ გამოვიყენებთ. ეგეთი მეგობრობა კი სულაც არ გვჭირდებაო.**

**მოკლედ, უკვე ვნახეთ და, ალბათ, მომავალშიც უფრო ნათლად დავინახავთ, როგორია მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკულად.**

შეჯამების სახით შეგვიძლია, ვთქვათ — ჩვენი „მეგობარი“ ამერიკელები დაჟინებით გვატენიან ხელისუფლებაში **სალომე ზურაბიშვილის** მიერ შექმნილი **„ქართული ქარტიის“** (შემოკლებით **„ქა-ქა“**) ხელმომწერ პარტიებს. გამოდის, რომ ისინი ქართველ ხალხს ასეთ ულტიმატუმს უყენებენ: **არ აირჩიოთ „ქოცები“, აირჩიეთ ქაქები,** ანუ შუა ისევ გაკრეფილია და ოქტომბერში ამომრჩეველს მარტივი არჩევანი ექნება:

**ან — ქოცები, ან — ქაქები!**

## კვირგვინოსნები

**გიორგი გობრონიძე**
*ანალიტიკოსი*



**ჩინეთისა და საქართველოს პარტნიორობა რუსეთისთვის დიდი გეოპოლიტიკური თავსატეხია.** მოსკოვს ჩვენს რეგიონში კონკურენციას უწევდა ჯერ **თურქეთი** და **ირანი,** მერე **დასავლეთი,** ახლა კი ქართველებმა „სიურპრიზი“ მოუწყვეს და **ახალ მოთამაშედ ჩინეთი შემოიყვანეს.**

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



არაერთხელ მითქვამს, **„ოცნება“ თუ დიდ სისულელეს არ ჩაიდენდა,** არჩევნებს უპრობლემოდ მოიგებდა, მაგრამ **დიდი სისულელე გააკეთეს** და ამას ვეღარაფერი შეცვლის — **„ოცნება“ წააგებს არჩევნებს.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



თუ „ოცნება“ შეეცდება **არჩევნების მისაკუთრებას,** ანუ, თუ **ივანიშვილმა** გასცა ბრძანება, არ მაინტერესებს, ვინ რა აიღო, მე წამიწერეთ ამდენიო და ეს გაკეთდა, მაშინ, რა თქმა უნდა, **ქვეყანაში იქნება რევოლუციური სიტუაცია,** პროტესტი იქნება გაცილებით მწვავე და მრავალრიცხოვანი, ვიდრე ამ კანონის გამო იყო. **ხელისუფლება რევოლუციას მართლა მიიღებს** და ეს იქნება აბსოლუტურად გამართლებული და ლეგიტიმური.

„კვირის პალიტრა“

**ავთანდილ წულაძე**
*პოლიტოლოგი*



ზაფხულში გადაწყდება, როგორ უნდა დაბალანსდეს დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობა. ჩემი აზრით, **იქნება ეტაპობრივი, წერტილოვანი სანქციები,** რითიც მმართველ გუნდს კურსის შეცვლისკენ უნდა უბიძგონ.

„კვირის პალიტრა“



# მო**გელა**ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# ჰოდა, გადააჯირითდით ერთმანეთს!




**„პროსტა“ მიყვარხართ, „ვაბშემც“ პატივს გცემთ, „კაროჩე“ ჩემ უკანალში „დაჩრილ“ მამას ვფიცავარ, „ბლიად“-ო!**

აბა, რას ელოდებოდი, ეს დაუმთავრებელი ბალღი შენ მართლა ევროპიული მომავალი გგონია? ერთი შენა ხარ ევროპიული მომავალი და მეორე კიდე **მამამისი „ქესტუმა“!**

შენ ის უფრო უნდა გაგკვირვებოდა, ეს რო წამამდგარიყო და ეთქვა — **პროსტა ჟეტემო!**

☺

ისე, რაღა დაგიმალო, **სალომე ბაბო,** გიყურებთ და ერთმანეთს არსად წაუხვალთ, ერთნაირი გაგებისანი ხართ. ჰოდა, **გადააჯირითდით** ერთმანეთს!

# ულვაშითსათრევი



ვიდეო ვნახე — ეს ტყლუ ვინმე **ბექა პაპაშვილი** ყოფილა, **თანამდებობით აქტივისტი, ანუ დღეგამოშვებით გასაძუენი.**

ამან ისიც არ იცის, რომ სეხნიას არ უნდა მიუვარდეს — **ბექა ოდიშარიას.**

კაი, ჯანდაბას, მიუვარდა და მიუვარდა, როგორი სცენა დადგა?

**შე რუსო, შენაო!**

გაიგონეთ? ამ **ტყლუებისთვის** ეროვნება გახდა სალანძღავი სიტყვა — **შე რუსოო!**

არადა, ერის გინება და სალანძღავ სიტყვად გახდომა დაუშვებელია!

შეიძლება, არ მოგწონდეს რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა, ვერ იტანდე პუტინის საქციელს, არ გეპიტნავებოდეს ლავროვის ფიზიონომია, მაგრამ ერს არ უნდა შეეხო. როდესაც ვიღაცას მიადგები და „ლანძღავ“ — რუსოო, ეს უკვე იმაზე მიანიშნებს, რომ შენ ხარ უვიცი, უწიგნური და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკანასკნელი **ტყლუ!**

ახლა მეორე — რაც ვიდეოში შევამჩნიე: ესენი არიან ძალიან მშიშრები. რაღაცაზე ფულის გულისთვის მიდიან, მაგრამ ცვარ-ცვარი გასდით ყვეშაგებიდან.

ამ ვინმე აქტივისტ **პაპაშვილის** „მონოლოგი“ ასეთია:

**— ოდიშარია, შე რუსო! ხელი რაზე მოაწერე, ბიჭო? შე რუსო, არ იცი, რაზე მოაწერე? ხელი, ბიჭო, არ შემეხო! ხელი გასწი-მეთქი, ბიჭო, არ შემეხო, შე რუსო!**

ეს ე.წ. „მონოლოგი“ გრძელდება 10-15 წუთი.

☺

შეეხნენ. დიდი არაფერი, „მაიკა“ შემოახიეს ალაგ-ალაგ. თუმცა, ეს **ტყლუ** ამუქებს — მცემეს, მაწამეს, ხუთი კაცი მირტყამდა, ყველა ნავარჯიშები იყო, ბოევიკები იყვნენ, თორემ თავისუფლად გავუმკლავდებოდიო.

ეგ არი!

**ჰასაკით მცირე ადამიანი ნაადრევად გაფუჭდა. რა უნდა გამოვიდეს ახლა ამისგან?**

**არც არაფერი, ვეღარც ვენახში გამოიყენებ, ვეღარც — ყანაში, საღორეში შეუშვებ — ღორებს გააგიჟებს, საძროხეში გაამწესებ — ძროხებს დააფრთხობს, საერთოდ შეწყვეტენ წველადობას, ცხვარში გაუშვებ — ფარას გადაჩეხავს.**

სხვა გზა აღარ არი, აეგრე უნდა ირბინოს, სანამ გაჩიანის სპეციალურ დაწესებულებაში არ დაასვენებენ.

*თურმე, ნუ იტყვით და... ბიძინა ივანიშვილს განჯინაში შოთა რუსთაველის ხელით დაწერილი „ვეფხისტყაოსანიც“ ჰქონია გადამალული. მე-12 საუკუნეში როგორც დაუწერნია, ეგეთივე ყოფილა, არც ცვლილება ყოფილა რამე შეტანილი...*

# ესე ამბავი ნაცური, მაჭუტაძისგან სმენილი!



ჰოდა, ეხლა ამ უნიკალური პოემის გამოჩენას აპირებს ზუსტად 25 ოქტომბერს, არჩევნების წინა დღეს, რათა მთელი ერი შოკში ჩააგდოს და საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს.

თან, იცით, როგორ უნდა გამააჩინოს?

როგორ და... როგორც **იოანე ზოსიმეს ხელნაწერი** გამააჩინა — **თან რო გაყიდა და თან კიდე რო იყიდა.**

ამასაც ჯერ გაყიდის, მერე იყიდის, მერე ისევ გაყიდის, მერე ისევ იყიდის, გაყიდის, იყიდის და ბოლოს გვაჩუქებს.

ესა, ხალხო, „ტრიუკია“, თორემ აიღებდა და პირდაპირ გვაჩუქებდა.

☺

თურმე, ძალიანაც არ უნდოდა ივანიშვილს „ვეფხისტყაოსნის“ დათმობა, მაგრამ გაუჭირდა, არჩევნების წაგების საშიშროების წინაშე დადგა და სხვა გზა აღარ დარჩა. ბევრი უფიქრნია, ღამეები უთენებია და ბოლოს ხელი ჩაუქნევნია — **სადაც წვრილია, იქ გაწყდესო. ბერას უთქვამს: მამი, რაზე ნერვიულობ, კაცო, ხელნაწერების მეტი რა გვაქ, საუკუნე გვეყოფაო...**

☺

ამ ხელნაწერების წყალობით, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი სუ ხელისუფლებაში იქნება.

ეხლაო, იმასაც ამბობენ, **მამუკა ხაზარაძე** „ათას ერთი ღამის“ ხელნაწერს ეძებსო. ბირჟაზე დაუტრაბახნია — თუ ვიპოვნე, ბიძინა ათას ერთ დღეში მოსკოვში იქნებაო.

აბა, ვნახოთ, ვისი აჯობებს!

ამ ყველაფერს ნაცები ყვებიან იგეთი დამაჯერებლობით, გეგონება, სუყველანი ივანიშვილის განჯინაში ისხდნენ, ეს შობელძაღლები!

ჰო, კიდე ისა... ამ ხელნაწერის თავდაპირველი სათაური ყოფილა **„ტყაოსნეფხვოსანი“.** ჩვენ რომ ვიცით „ვეფხისტყაოსანი“, ეგ არასწორია, **ეგ სტალინს გადაუკეთებია ამნაირად. ეგ კიდე ხო ყველაფერში ცხვირსა ჰყოფდა. აიღებდა წითელ ფანქარსა და ჯღაბნიდა.**

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



დასავლეთმა თუ არჩევნების შედეგი აღიარა, **ოპოზიცია ნიადაგგამოცლილი იქნება.** ოპოზიცია კონკურენციას კი ვერ უწევს ხელისუფლებას, **რევოლუციით ცდილობს ხელისუფლებაში მოსვლას.** „კვირის პალიტრა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



ქართული ოპოზიცია რომ უფრო ძლიერი და საიმედო იყოს ამერიკისთვის, **მათ რომ ჰქონდეთ ერთიანი ხედვა,** აქ სულ სხვა სურათი გვექნებოდა. **დღეს ოპოზიციას არა აქვს ერთიანი ხედვა.** „ახალი თაობა“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**სალომე ზურაბიშვილი სახალხო ინტერესს იცავს,** განსხვავებით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისგან.

„ახალი თაობა“

**თამარ ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ივანიშვილი** თუ გაიმარჯვებს, **ბახარიასა და ხაზარაძის** მხრებზე იქნება!

„ახალი თაობა“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ანტიდასავლური გაწყობების** მთავარი ექსპორტიორი ისევ და ისევ **„გლობალური ომის პარტიაა“!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მაია ორჯონიკიძე**
*მხატვარი, ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



**ბირბვლიანის მკვლელობა** არ შეიძლება გამართლდეს, თუმცა, **ეს მკვლელობა არ იყო, შემოაკვდათ.**

„რეზონანსი“



# გულბოზძალღმა ყველა ღობე გადაჭყლიტა!

თან როგორ იცის ხოლმე, კაცოოოო... შეჰყრის ამ წარბებს კავკასიონის ქედებივით, აბრიალებს თვალებს აფრახებულ ბუღასავით, გადმოჩაჩავს ლაშებს ტლაპოში მოტივტივე ბეჰემოტივით და ზმუის დასიცხული კამეჩივით.

**ტონი აქვს იგეთი ქედმაღლური, გეგონება, ორივე მსოფლიო ომი ამის მთავარსარდლობით მოიგო კაცობრიობამ. თითის ქნევაც არ ავიწყდება, გულში ფიქრობს, ეგრე უფრო შთამბეჭდავი და დამაჯერებელი გამოვჩნდებიო, მაგრამ დუპლეტად რომ გამოიყურება, მაგას ვეღარ ამჩნევს.**

☺

ახლა პოლიციელებს ემუქრება — ჩვენ რომ მოვალთ ხელისუფლებაში, ყველას გაგყრით და ქონებასაც წაგართმევთო.

აეგრე!

სპეციალურ კომისიას შევქმნით, სახლში მოვლენ და ყველაფერს ჩამოგართმევენო!

**წარმოგიდგენიათ?**

**ამ გულბოზძალღმა იმდენიც არ იცის, რომ სანამ ხელისუფლებაში მოვა, მანამდე მაინც უნდა გაჩუმდეს.**

აი, როგორც **მიშამ** გააკეთა — **თავიდან ვითომ ხალხოსანი იყო, ხან საკრებულოს სახურავზე დარბოდა, ხან კიდევ გლდანის მეცხრე მიკრორაიონში შველოდა მუშებს, მაგრამ, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდა, ეგრევე დაიწყო ხალხის დაწიოკება.**

ეს ვერ ითმენს, სანამ მოვა, მანამდე იმუქრება!

რაღა დროს გაყრა-გამოყრით დამუქრება და ქონების ჩამორთმევაა, გულბოზ, შე ჩემის კირაკოსიანო, ბოლშევიკი ხარ და მოსახლეობა უნდა გააკულაკო?!

თან პოლიციელები, ბიჭო?

ოფიცრებს ემუქრები?

კი მაგრამ, რა დაგიშავეს, ისინი ხომ დღე და ღამე წესრიგს იცავენ, რათა შენნაირ მუქთახორებს ბუზები არ აუფრინდეთ?!

ჰაიმეეეე!

ჩვენ რომ მოვალთო... **სად მოხვალ, რანაირად მოხვალ, ვის გაყრი, სად გაყრი, ვის წაართმევ, რას წაართმევ, ხო გაგიკეთეს უკანალში ყალიონი და გარბენინეს აღმა-დაღმა?** სად არი შენი წასართმევი ან ქონება, ან კიდევ სამსახური, შე ცუცურაკო?!

ესა, ეს **თარგამაძე** კიდევ შეჰყურებს და სიამოვნებისგან ცქმუტავს. შენც არ წაგატანონ, ემანდ ხელი მაგ გალსტუკში!

**ფუჰ, თქვენი!**



# იზამიტელნი ამბავი

გუშლამ **ხუზმიაშვილს** აჭარულ ტელესტუდიაში **პუტჩისტ იზა ორჯონიკიძის ასული** გამოუძახნია და ჭკუას ეკითხება.

ამასაც, ამ **კიტოვანის მსგავს მხატვარს,** ცხოვრებაში ფანქარი რომ არა სჭერია ხელში, შეუფერებია და მიდი-მოვდივააააააარ!

**ზურაბ ჭიაბერაშვილი** არის ინტელექტუალიო... როცა ის ლაპარაკობს ტელევიზიით, მე ესთეტურ სიამოვნებას ვიღებო.

ჰა, ჰა, ჰა! გაიგონეთ?

**ზურაბ ჭიაბერაშვილი ინტელექტუალია და როცა მას ვუსმენ, ესთეტურ სიამოვნებას ვიღებო.** აი, თურმე, რატომ არიან ნაცები ჩლუნგები - ისინი არ დადიან თეატრში, არ უყურებენ ფილმებს, არ კითხულობენ წიგნებს და ესთეტურ სიამოვნებას იღებენ მარტო **ზურაბ ჭიაბერაშვილის** „დახვეწილი“ ლაპარაკიდან.

არადა, ყველამ იცით, ჭიაბერაშვილს არც მეტყველება უვარგა **(დეფექტი აქვს)**, არც გამომეტყველება უწყობს ხელს **(თავ-პირი მიმწვარ ხაჭაპურს მიუგავს)** და არც — აზროვნება.

თუმცა, რატომ მხოლოდ ჭიაბერაშვილი?

პუტჩისტ **იზას გოგოს** ღრმა რწმენით, **გიგა ბოკერიაც** ინტელექტუალია, შეიძლება სხვა რაღაცები არ მოსწონდეს, მაგრამ ამას ვერ დაუკარგავს. სხვათაშორის, **თამარა ჩერგოლეიშვილიც** არ ყოფილა უნიჭო ადამიანი, მაგრამ მისი ეგო იმდენად აქტიურია, ამ ეგომ შეჭამა ნორმალური თამარა... აი, გიგა ბოკერია კი სხვა დონეა.

მოკლედ, ერთხელ გითხარით და ვიმეორებ: **ნუ აწვალებთ ეგეთებს, ნუ დააწოწიალებთ სტუდიიდან სტუდიაში, ნუ ეკითხებით უცნაურ რაღაცებს ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე, სულ ერთია, ეგენი ესთეტურ სიამოვნებას მაინც ჭიაბერაშვილისგან, ბოკერიასგან, უგულავასგან, პეტრე ცისკარიშვილისგან, კურკუმალასგან და, რაც მთავარია, „მომაკვდავ“ მიშასგან იღებენ.**

კაცო, ესენი ესთეტურ სიამოვნებას ხელოვნებიდან რომ იღებდნენ, ეგ უფრო გამიკვირდებოდა, მაგრამ ტელევიზორში ნუ გამოგყავთ, **ზოგიერთი გაუთლელი ყმაწვილი მოუსმენს, შთაგონდება და მერე იტყვის, აღარც დედა მინდა, აღარც — მამაო. მეტიც, ზოგიერთი იქამდეც მივა, სალომე ბაბოს გამოეცხადება და ეტყვის — „პროსტა“ მიყვარხარ, ბაბო-ვო.**

# სავარაუდოდ, აკლია!

ისე, ჩვენში დარჩეს და, ამ **მამუკა ხაზარაძის პარტიაში** სულ რაღაცნაირი ტიპები არიან — ზოგს **„ზაჟიგანია“** აქვს გასასწორებელი, ზოგს — **„რაზვალი“**, ზოგს **„დროსელი“** აქვს გასაწმენდი, ზოგს კიდევ არც უკანა ხიდის კამერა უმუშავებს, არც წინა ხიდისა. აღარაფერს ვამბობ, ზოგიერთი რომ მაკრონის ცოლივით იჭყანება, ზოგიერთი კიდევ ჯო ბაიდენივით დაცანცარებს.

ესე იგი, ტიპმა მთლად გადაგვიწურა იმედი — არც მტკიცებულება, არც გამოკვლევა, არც დავთარი, არც საბუთი, არც ბილეთი, ავგრე ნაფურაზე გამოდის და ამტკიცებს — **მთავრობა ჩინურ ინვესტიციას ვერ მოიზიდავს, საპენსიო ფონდს დახარჯავს, პორტს ვერ ააშენებს, ტვირთებს ვერ მოიზიდავს და ჰაეეეეე, ეს ფულიც გაიფლანგებაო.**

რომ ჰკითხო — **რატომო?**

გიპასუხებს — **იმიტომო!**

ახლა ხომ არ იტყვის, ჩემ თავმჯდომარეს ეგეთი აღქმები აქვსო?!

აი, ამას, ამ **მოვარაუდე გენიოსს** ხშირად ჭუტაანთვიზიაში დასვამენ ხოლმე და ალაპარაკებენ, ხან რას ეკითხებიან, ხან — რას. ესეც იფერებს და ლაპარაკობს. ეგ კი არა, პერიოდულად დიდაქტიკური ტონით ჭკუასაც გვარიგებს, ანუ გვასწავლის, როგორ და რანაირად უნდა ვიცხოვროთ.

ეს ჭუტაანელი დედაკაცებიც თავებს აქიცინებენ და კვერსაც უკრავენ.

არა, ეგ მაგარია — **უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე და ასე იქნებაო.** ეს უკვე შავნოდარას სტილია, იმან იცის ხოლმე — **სავარაუდოდ, იმანო ამანაშვილმა, ამანო იმანაშვილი მოკლა და ჯაგებში გადაათრია, რათა ბერა ივანიშვილისთვის სასჯელი აერიდებინაო.**




ჰო, სავარაუდოდო!

ამ ქვეყანაში მოსული „პონტია“ — შეგიძლია, ყველაფერი ილაპარაკო... შეგიძლია, ყველას ყველაფერი დააბრალო, ოღონდ შემდეგ უნდა დასძინო — **სავარაუდოდ.** თუ გინდა, ნუ დასძენ, დასაწყისშივე თქვი — **სავარაუდოდ და...** შემდეგ იბოდიალე, რაც გინდა — ვერც სასამართლო მოგედავება, ვერც — **ბორის ჩილე ყურუშა!**

# ყავაიტე, რუსეთშიო?




*ეს ფოტო* ***მადამ კლეჰიდანთან*** *დაახლოებულმა პიროვნებამ პირადში გამომიგზავნა, თურმე,* ***სალომე ბაბო*** *და მთელი მისი სადაქალოი ამ ყავაზეა შემჯდარი.* ***წამაადუღე, დაასხი, ფეხი ფეხზე გადაიდე, გააფუილე, იჭორავე, მეტი რა საქმე აქვთ? წამაადუღე, დაასხი, წამაადუღე, დაასხი, წამაადუღე, დაასხი!***

☺

ჰოდა, ეხლა **სალომე ბაბო** თავის „სასტავთან“ ერთად ძაან შეშფოთებული ყოფილა — **რას ჰქვია, რუსეთში დაბრუნდეს, აღარ უშლიანო?**

სალომე ბაბოს „ტრუპკა“ აუღია და პირდაპირ **მაკრონთან** დაურეკნია — ჩვენი საყვარელი კოფე რუსეთში ბრუნდება, გვიშველე რამე, ამას ნამდვილად რუსი ოლიგარქი ივანიშვილი გვიკეთებს სპეციალურად, რათა გაგვაგიჟოსო, გეგონება, უკვე გაგიჟებულები არ ვიყოთ.

**„ტრუპკას“ მაკრონის ცოლი მოსკდომია** — ემანუელი უგუნებოდ არი, ცალ მუხლზე პისტოლეტი უდევს, მეორეზე კიდევ — ხანჯალი, რომელი დაიცეს და რომელი ჩაიცვს, ვეღარ გაუგია, ქალო, რა დროს კოფეაო?!

**მაკრონის ცოლს ჩაულაპარაკია** — „ტონტორბუშ-ტონტორბუშ“-ო და „ტრუპკა“ კიდევ ლითვინ მიუხეთქებია!

☺

მოკლედ, პოლზიდანის სასახლეში პანიკაა — **ამ ყავაი რო მიეჩვევი, სხვაზე გადაჯდომა ძაან ძნელიაო, მაგის ფონზე დანარჩენი ყავები ვირი ფსელივით არიო.** მოკლედ, მაგადგან რას გაიგებ — ჯერ იყო და **„დავაიტე რუსეთიდანო“**, ახლა კი: **„ყავაიტე რუსეთშიო!“**


2024 წლის 17 ივნისიდან გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“ გიორგი ნადარეიშვილის** მიერ განახლებული ლოგოთი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ახალდაარსებულ გამოცემასთან — **„კვირის ამბები“** (გაერთიანებული რედაქციის მთავარი რედაქტორი **გიორგი მამაცაშვილი**) — ერთად

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

ორშაბათი, 17 ივნისი. 2024 წ. №71 (9751)

ფასი 1 ლარი

***სულ მალე ლონდონის ცენტრში ახალი კულტურული კერა ბეხშტეინ ჰოლი გაიხსნება, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელის თანაშემწის პოზიციას დაიკავებს ახალგაზრდა ქართველი პიანისტი ლუკა ოქროსცვარიძე, იგივე ლუკა ოქროს, რომელიც დიდი ხანია, წარმატებით მართავს კონცერტებს მსოფლიოს საუკეთესო მუსიკალურ დარბაზებში. თავის შემოქმედებასა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ მას ლონდონში დავუკავშირდით:***






## ლუკა ოქროსცვარიძე:

# მიხარია, რომ სამშობლოში ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით მხვდებიან!

— შემოდგომაზე ლონდონის ცენტრში ახალი საკონცერტო დარბაზი **ბეხშტეინ ჰოლი** გაიხსნება, სადაც მუსიკის მოყვარულებს შეეძლებათ როგორც კლასიკური მუსიკის, ასევე ჯაზისა და პოპ-მუსიკის მოსმენა. საკონცერტო დარბაზი გათვლილი იქნება ყველანაირი გემოვნების ადამიანზე და გაჟღერდება მხოლოდ ხარისხიანი მუსიკა. აქვე განთავსდება არაჩვეულებრივი რესტორანი, სადაც კონცერტზე დამსწრეებს შეეძლებათ, დააგემოვნონ საუკეთესო კერძები.

**— ბეხშტეინ ჰოლში თქვენი საკონცერტო პროგრამით წარდგებით?**

— რა თქმა უნდა. სამომავლოდ დაგეგმილია ჩემი სამი კონცერტი. ამ ეტაპზე დაკავებული ვარ ბეხშტეინ ჰოლის კეთილმოწყობით. გვყავს 20-კაციანი სამუშაო ჯგუფი — კონცერტების ორგანიზატორებიდან დაწყებული, რესტორნის შეფით დამთავრებული. შენობა სრულად აღიჭურვება მაღალი ხარისხის ავეჯითა და აპარატურით, საკონცერტო დარბაზი 100 კაცზეა გათვლილი, სკამები მზადდება ერთ-ერთ ცნობილ იტალიურ კომპანიაში. ეს იქნება ახალი ბრენდი ლონდონის ცენტრში და კონცერტებზე დასწრება საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნება იქნება.

ჯერ კიდევ 1901 წელს ბეხშტეინის მიერ აშენებული დარბაზი ამ შენობის სიახლოვეს იყო, დაახლოებით, 50 მეტრში, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის ხელისუფლებამ მისი კონფისკაცია მოახდინა, რადგან გერმანიას ეკუთვნოდა. **ბეხშტეინ ჰოლი ვიგმორ ჰოლად** გადაკეთდა, ხოლო საუკუნის შემდეგ ახალმა მფლობელმა ბეხშტეინ ჰოლის აღდგენა გადაწყვიტა.

**— თბილისში როდის აპირებთ კონცერტის გამართვას?**

— თბილისში, კონსერვატორიის დარბაზში, სოლო კონცერტი დაგეგმილია გაზაფხულზე. მიხარია, რომ ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით მხვდებიან. ვცდილობ, სამშობლოში კონცერტი ყოველ წელს გავმართო და საინტერესო პროგრამით წარვდგე. ქართველი მსმენელის წინაშე შესრულებული მაქვს ლისტის სონატა, ბეთჰოვენის სონატები, ჰაიდნისა და შოპენის ნაწარმოებები. მიხარია, რომ საქართველოში ახალგაზრდები კლასიკური მუსიკით არიან დაინტერესებულნი, ევროპაში კლასიკური მუსიკის კონცერტებს, ძირითადად, უფროსი თაობა ესწრება.

**— კონცერტების ორგანიზება რთული პროცესია?**

— სამწუხაროდ, კოვიდის შემდეგ ძალიან ბევრი ფესტივალი დაიხურა. ვისურვებდი ახალი ფესტივალების დაგეგმვას და ასევე ახალი დონორების დაინტერესებას ამ კონცერტებითა და



მუსიკოსებით. ადრე კლასიკური მუსიკის დონორები, ტრადიციულად, ბანკირები, ნავთობკორპორაციები და დიდი სამრეწველო ფირმები იყვნენ, ახლა კი უფრო ტექნოლოგიური ხაზით განვითარებული კომპანიები მართავენ ეკონომიკას. მნიშვნელოვანია, რომ მათაც შევაყვაროთ კლასიკური მუსიკა, რადგან დახმარების გარეშე ძალიან ძნელი იქნება მისი არსებობა.

**— ზოგიერთი მუსიკოსი, თავისი ხელოვნების პროპაგანდისთვის კლასიკური მუსიკისა და პოპ-მუსიკის სინთეზს აკეთებს...**

— მე უფრო კონსერვატიულ გზას ვაწვები (იცინის), მაგრამ ვისაც სინთეზი კარგად გამოსდის, სიახლეს მხოლოდ მივესალმები. მთავარია, გემოვნებით და მაღალ დონეზე გაკეთდეს კომპოზიციები. ეს იგივეა, ტრადიციულ გემრიელ კერძს სხვა ინგრედიენტები რომ დავუმატოთ. მთავარია, გემო არ დაიკარგოს და სასურველი შედეგი მივიღოთ.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— **რახმანინოვი.** უფრო რომანტიკულ კომპოზიტორებს ვარჩევ: **შოპენს, ლისტს, შუმანს.**

**— ვინ იყო ხელის შემწყობი თქვენს წარმატებაში?**

— ძირითადად, ჩემი მშობლები. ახლა ადვილია უცხოეთში კონკურსებში მონაწილეობა და სპონსორების მოძიება, მაგრამ 90-იან წლებში საქართველოში ძალიან რთული სიტუაცია იყო, რის გამოც ჩვენი ოჯახი ორად გაიყო — ნახევარი თბილისში დარჩა, დედაჩემი მოსკოვში გამომყვა, რათა კონსერვატორიასთან არსებულ სამუსიკო სასწავლებელში მესწავლა, შემდეგ — კონსერვატორიაში.

ფინანსურად მეხმარებოდა სპივაკოვის ფონდი, მაგრამ, როდესაც სწავლის მაღალი საფასურის გამო მოსკოვში სწავლას ვეღარ ვაგრძელებდი, ჩემმა პროფესორმა **ალექსანდრე ბონდურიანსკიმ** მითხრა — ლონდონიდან ჩამოდიან მოსმენაზე, ხვალისთვის რამე უნდა მოამზადო და დაუკრაო. დავუკარი. ერთ თვეში მომივიდა პასუხი ლონდონიდან და მანჩესტერიდან — სწავლის გასაგრძელებლად მიწვევდნენ. ვინაიდან მანჩესტერში ნაცნობიც კი არ მყავდა, არჩევანი ლონდონზე გავაკეთე. დავამთავრე მუსიკის სამეფო კოლეჯის მაგისტრატურა და როგორც არტისტს, აქაურმა კულტურის სამინისტრომ 5-წლიანი ვიზა მომანიჭა.

**— უცხო გარემოს ადვილად შეეჩვიეთ?**

— თავიდან ძნელი იყო, მაგრამ მეგობრებმა ძალიან დიდი დახმარება გამიწიეს ადაპტაციაში. ლონდონი ძალიან სპეციფიკური ქალაქია, მულტინაციონალური, არავინ გაგრძნობინებს, რომ უცხოელი ხარ, აქაურებთან ადვილია კონტაქტი, ბევრი სამუშაოა, თუ აქტიური ხარ და თავს გამოიჩენ, ბევრის მიღწევას შეძლებ. კოლეჯის მერე აქ დავრჩი და მუშაობა გავაგრძელე. კონცერტების გარდა, პედაგოგიურ მუშაობას ვეწევი, მაქვს კერძო გაკვეთილები, ველინგტონის კოლეჯში ფორტეპიანოზე დაკვრას ვასწავლი.

**— ალბათ, ყველამ იცის თქვენი სამშობლო — საქართველო სად მდებარეობს...**

— დიახ, იციან. ადრე, როცა კონცერტებზე ჯორჯიას ვამბობდი, ყველას ამერიკის ჯორჯიის შტატი ეგონა. საქართველო გაიცნეს, როგორც ღვინის წარმოების ქვეყანაც, ბუკინგემის სასახლესთან ცნობილ სასტუმროში ქართული ღვინო იყიდება და ძალიან პოპულარული ხდება ღვინის მოყვარულთა შორის.

**— კონცერტზე თუ გრძნობთ ხოლმე ქართველების მხარდაჭერას?**

— კონცერტის დროს სცენიდან ძნელია დამსწრეთა დანახვა, თუმცა, კონცერტის მერე ხშირად მოდიან და მეცნობიან. უცხოეთი სხვანაირად აახლოებს ადამიანებს. საერთოდ, ჩვენი მსმენელები ძალიან კრიტიკულები არიან, ხშირად ასეც ხდება, სამშობლოში არ გაღიარებენ, ხოლო, როცა უცხოეთი დაგაფასებს, მერე სხვანაირად უყვარდები.

**— საქართველოში განვითარებულ მოვლენებს თვალს ადევნებთ?**

— დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალს. ქართული კულტურა ევროპული კულტურის ნაწილია და ჩვენი ადგილი არის ევროპაში!

*ესაუბრა*
**ქეთევან ხამიცაშვილი**

## კვირგვინოსნები

**ნონა გაფრინდაშვილი**
*ლეგენდარული მოჭადრაკე*



ახლა მე მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც მსიამოვნებს. **მინდა, კიდევ ვიცოცხლო,** ამიტომ უარყოფით ემოციებში ვერ გადავვარდები.

„თბილისელები“

**გია დავითიანი**
*მომღერალი*



იქ, სადაც წლების წინ ქვა-ღორღი იყო, დღეს ბაღნარი მაქვს გაშენებული. შეიძლება ითქვას, რომ **ჩემი პატარა სამოთხე გავაშენე ამ დედამიწაზე.** ამიტომ წასვლის არ მეშინია, მე უკვე სამოთხეში ვარ.

„თბილისელები“

**ვერიკა ჯაჯანიძე**
*მოცეკვავე*



იმდენად მივეჩვიე **საკუთარი შრომით ყველაფრის გაკეთებას,** ადამიანმა რამე რომ მაჩუქოს, შეიძლება უარი ვუთხრა.

„თბილისელები“

**ჯანრი ლოლაშვილი**
*მსახიობი*



ბევრი მეგობარი გამომაკლდა, მაგრამ **მათ ნომრებს ტელეფონიდან მაინც ვერ ვშლი.** რომ მომკლა, ვერ წავშლი, მგონია, რომ ამის გამო ქვეყანა დაინგრევა.

„სარკე“

**გიული ჩოხელი**
*მუსიკოსი*



**ალა პუგაჩოვა** სად იყო, როცა იმ სტილის კაბები სცენაზე მე მეცვა! მაგრამ პირველობა მას დაბრალდა. გარდა იმისა, რომ მოდელებს ვიგონებდი, **ყველა კაბა ჩემი ხელით მაქვს შეკერილი.**

„სარკე“

***ფოტოზე აღბეჭდილ ხალხის საყვარელ მსახიობთაგან — სოფიკო ჭიაურელი, გოგი ქავთარაძე, გურამ საღარაძე, ნუგზარ ჯუღელი — ყველა გარდაცვლილია, ჩვენ გვერდითაა მხოლოდ მათგან მარჯვნივ მდგომი რეჟისორი და მათი ვარსკვლავური როლების პირველი მოწმე რობერტ სტურუა, რომელსაც 31 ივლისს 85 წელი შეუსრულდება. ამ ფოტოს გადაღების დროს ის ჯერ კიდევ არ იყო რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხოლო ამ მსახიობებს უკვე შესრულებული ჰქონდათ მნიშვნელოვანი როლები.***

# ასმათ ტყაბლაძე:
# სოფიკო ჭიაურელს ამ ბიჭებისაგან არასდროს არაფერი სწყენია!

ნეტავ, რა მოხდა იმ დღეს, როცა რუსთაველის თეატრის მსახიობები **გურამ საღარაძე, გოგი ქავთარაძე, ნუგზარ ჯუღელი და რობერტ სტურუა სოფიკო ჭიაურელთან** ერთად ფოტოატელიეში წავიდნენ და ფოტოს გადაღება გადაწყვიტეს?! როგორც რუსთაველის თეატრის მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გვითხრა, მსახიობები ხშირად იკრიბებოდნენ ერთად და რუსთაველის გამზირზე არსებულ ფოტოატელიეში სურათებს იღებდნენ. **ეს ფოტო რუსთაველის თეატრის მუზეუმში არ ინახება, ის დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის** (ძველი სახელწოდებით, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი) **კოლექციებში. გადაღების თარიღი არ არის დაფიქსირებული.** როგორც ქართული თეატრის ისტორიის უბადლო მცოდნემ და ვერიკო ანჯაფარიძის უმცროსმა მეგობარმა **აკაკი ძუძუხიძემ** გვითხრა, ფოტო გადაღებულია გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც **სოფიკო ჭიაურელი** რუსთაველის თეატრში თამაშობდა. 1968 წელს მას **მიხეილ თუმანიშვილმა** თავის სპექტაკლ „ანტიგონეში“ ანტიგონეს როლი ათამაშა, ოღონდ **მთავარი ანტიგონეს — ზინაიდა კვერენჩხილაძის** დუბლი გახლდათ. ეს იყო ის დრო, როდესაც სოფიკო ჭიაურელმა შესანიშნავად შეასრულა ცეკვა „კინტაური“, რომლის დოკუმენტური კადრებიც დღემდეა შემონახული.

**ასმათ ტყაბლაძე**, ***მსახიობი, სოფიკო ჭიაურელის მეგობარი:*** — მახსოვს ეს შესანიშნავი ფოტო, სოფიკო გურამ საღარაძესთან, გოგი ქავთარაძესთან, ნუგზარ ჯუღელთან და რობერტ სტურუასთან ერთად არის გადაღებული. ამ პერიოდში ის მარჯანიშვილის თეატრიდან რუსთაველის თეატრში იყო გადასული. **მოგეხსენებათ, 60-იან წლებში მარჯანიშვილის თეატრში რაღაც არეულობა შეიქმნა და დასი გაიყო, ზოგი მსახიობი რუსთავში წავიდა, ზოგიც — რუსთაველის თეატრში.** 1970 წელს, როდესაც მე მარჯანიშვილის თეატრში მივედი, სოფიკოც სწორედ ამ დროს დაუბრუნდა თეატრს და ბოლომდე დასის წევრი იყო. **გურამ საღარაძე** მეგობრობდა არამარტო სოფიკოსთან, არამედ მის მეუღლესთან — **კოტე მახარაძესთან,** რუსთაველის თეატრშიც ერთად იყვნენ და სოფიკოსა და კოტეს ოჯახის ხშირი სტუმარიც იყო. მოგვიანებით სოფიკომ გურამთან ერთად „დათა თუთაშხიაშიც“ ითამაშა. ძალიან შთამბეჭდავია ამ ფილმში მათი ეპიზოდები. ამასთან, გურამი იყო შესანიშნავი მსახიობის **გიორგი საღარაძის** შვილი, რომელიც სანდრო ახმეტელის მსახიობად ითვლებოდა და იმ სასტიკ დროს ახმეტელის ერთგულება შეინარჩუნა.

სოფიკოსა და კოტეს მეგობარი იყო **ნუგზარ ჯუღელიც,** რომელიც მათთან ერთად თეატრშიც თამაშობდა და შემდეგაც არ გაუწყვეტია ურთიერთობა, როცა, როგორც კომენტატორი, კოტეს მსგავსად, სპორტში ჩაება. **ნუგზარისთვის რომ გეკითხათ, კოტე მახარაძის კომენტატორობით რომელ მატჩს გამოარჩევო, უმალ გიპასუხებდათ: მის რეპორტაჟს დიუსელდორფიდან 1981 წლის 13 მაისს...** რაც შეეხება **გოგი ქავთარაძეს,** სოფიკომ და გოგიმ სწორედ ამ პერიოდში ითამაშეს ერთად სოფიკოს დეიდაშვილის — გია დანელიას ფილმში „არ დაიდარდო“.

აი, ეს შესანიშნავი დროა ამ ფოტოზე აღბეჭდილი, ბედნიერი და უდარდელი სახეები. ეს პერიოდი რობერტ სტურუასთვისაც შესანიშნავი იყო, რადგან ის უკვე რუსთაველის თეატრში თავის ორიგინალურ სიტყვას ამბობდა და „სეილემის პროცესით“ უკვე ცნობილი რეჟისორი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ სოფიკო აღარ თამაშობდა რუსთაველის თეატრში, მათ სპექტაკლებს ყოველთვის ესწრებოდა, ეს ბიჭები თითქმის ყველა სპექტაკლში თამაშობდნენ. **სოფიკო ჭიაურელს** არასოდეს უთქვამს, რომ ამ ბიჭებისგან ოდესმე რაიმე ეწყინა. ერთადერთი, რაც ვიცი, მან **ოთარ მეღვინეთუხუცესსა** და **გურანდა გაბუნიას** ვერ აპატია მარჯანიშვილის თეატრიდან მსახიობების გაშვება. ყველას კარგად ახსოვს მსახიობთა ცრემლის კალო, რაც მათ მარჯანიშვილის თეატრში დაატრიალეს. სოფიკომ ვერ აპატია მათ ეს საქციელი...





სოფიკო ჭიაურელი, გოგი ქავთარაძე, გურამ საღარაძე, ნუგზარ ჯუღელი და რობერტ სტურუა

### ბოლოთქმა

ფოტოზე აღბეჭდილთაგან, რობერტ სტურუას გარდა, ყველა გარდაცვლილია, **სოფიკო ჭიაურელი და გურამ საღარაძე** დიდუბის პანთეონში არიან დაკრძალულნი, **გოგი ქავთარაძე** — მახათას მთის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ხოლო **ნუგზარ ჯუღელი** — კუკიაზე, დედის გვერდით. პარადოქსია ერთი რამ — ქალაქში ამბობენ, რომ ამ ფოტოზე აღბეჭდილთაგან, რობერტ სტურუამ ყველას სათანადო პატივი მიაგო, მაგრამ გურამ საღარაძის დაკრძალვას არ დასწრებია...

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ლაშა მძინარაშვილი**
*მოცეკვავე*



სამწუხაროდ, **ვტოვებ ანსამბლ „რუსთავს“.** მალე გავასაჯაროვებ იმ ბინძურ ფაქტებს, რომელიც **ჩემ წინააღმდეგ განხორციელდა ბოროტი, შურიანი, ბოღმიანი და უნიჭო ადამიანების მიერ.** მე მანდ უკვე აღარაფერი მესაქმება! ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა ბატონი **ანზორ ერქომაიშვილი** ცოცხალი იყო! წავიდა და ყველა თავისკენ ექაჩება მის შექმნილს!

„ახალი თაობა“

**დუდუნა მაზმანაშვილი**
*გერმანიაში მოღვაწე ქართველი პიანისტი*



მიუხედავად იმისა, რომ **ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში** შევდივართ, ვერაფერი შეცვლის იმ **ცოცხალ შესრულებას,** როდესაც მსმენელის აურას გრძნობ. როცა სცენაზე ვარ, იმდენად დიდი ენერგეტიკული გაცვლა ხდება დარბაზთან, რომ **ამას ვერც იუთუბი და ვერც ხელოვნური ინტელექტი ვერ ჩაანაცვლებს.**

„კვირის პალიტრა“

**ეკატერინე ანდრონიკაშვილი**
*მსახიობი*



52 წლის გავხდი და **არასოდეს დამიმალავს ასაკი.** რატომ უნდა დავმალო? პირიქით, **მიხარია, რომ ამ ასაკში ასე გამოვიყურები,** ყველანაირი სამედიცინო ჩარევების გარეშე.

„თბილისელები“

**თამუნა მუსერიძე**
*ჟურნალისტი*



**შტერულად მიმნდობი ვარ.** ვერასდროს ვხვდები, რომ **შეიძლება, ადამიანი მიყენებდეს** ან ცუდად იყოს ჩემ მიმართ განწყობილი.

„თბილისელები“

**ცისანა სეფიაშვილი**
*მომღერალი*



**ქალი ღამე ძილის დროსაც კი ფორმაში უნდა იყოს.**

„სარკე“



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი-ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# ფეხის ფრჩხილზე სოკო ხშირად უჩნდებათ იმ ადამიანებს, რომლებსაც ან დიაბეტი აწუხებთ, ან მუდმივ სტრესს განიცდიან!



***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ფეხის ფრჩხილის სოკოს გამომწვევ მიზეზებზე საუბრობს და საოჯახო პირობებში ადვილად მოსამზადებელ იმ არაერთ რეცეპტურას გვთავაზობს, რომლითაც ვერაგი პათოლოგიის დამარცხება შესაძლებელია:***

— ბოლო დროს ფეხის ფრჩხილზე სოკოს გაჩენა ლამის მსოფლიო პანდემიად იქცა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ეს პათოლოგია თითქმის ყველა მესამე ადამიანს აღენიშნება, თუმცა, კაცებში ორჯერ უფრო ხშირად ფიქსირდება, ვიდრე ქალებში. რაც შეეხება დიაბეტიანებს, ასიდან, სულ მცირე, სამოცდაათ შემთხვევაში პაციენტს ფეხის ფრჩხილზე სოკო აქვს.

**— როგორ უნდა გამოვიცნოთ, რომ ფეხის ფრჩხილზე სოკო გვიჩნდება?**

— სოკოს დაფიქსირებას წინ უსწრებს ფეხის ფრჩხილის ან ფრჩხილების გარშემო მუდმივი ქავილი. ამ დროს ფრჩხილს გარეგნულად არაფერი ეტყობა, მაგრამ, თუ ზომებს არ მივიღებთ, სოკო გამრავლდება და დაიწყებს ქსოვილების დაზიანებას. კერძოდ, ფრჩხილი დაკარგავს მოვარდისფრო ფერს, ბზინვარებას, სიგლუვეს, გახდება მკრთალი და ხორკლიანი, გასქელდება ან გათხელდება და მასზე სხვადასხვაგვარი დეფექტები, ტალღები და ხაზები გაჩნდება. ამის შემდეგ ფრჩხილი გაყვითლდება ან გაშავდება და სახეზე გვექნება ფრჩხილის სოკოს დასრულებული სტადია. სოკო აზიანებს ფრჩხილის გარშემო არსებულ კანსაც, რომელიც შეშუპდება და წითლდება. ხშირად მეოთხე-მეხუთე თითებს შორის ჩნდება ნახეთქი, რაც იმას ნიშნავს, რომ სოკო ფრჩხილიდან კანზეც გადავიდა. ასეთ დროს ტერფიც უხეშდება, სქელდება, იქერცლება და გამოშრება. შექმნილ ვითარებაში ხშირია ფეხის სუნიც.

**— რატომ უტევს სოკო უფრო ხშირად ფეხის ფრჩხილებს, ვიდრე ხელისას?**

— სოკოს გამრავლებისთვის იდეალურია სითბო, სიბნელე და ტენიანობა. სამივე ეს პირობა საუკეთესოდ არის დაცული ფეხსაცმელში, სოკოს განსაკუთრებით უყვარს სინთეტიკური მასალისგან დამზადებული ფეხსაცმელი თუ წინდა, როდესაც ფეხის ვენტილაცია არ ხდება და ოფლიანდება.

**— ბევრი ფეხის ჰიგიენას დიდ ყურადღებას უთმობს, მაგრამ ამის მიუხედავად, სოკო მაინც უჩნდება. რა არის ამის მიზეზი?**

— ფეხის ფრჩხილზე სოკოს გაჩენა მხოლოდ სისუფთავესა და ჰიგიენას არ უკავშირდება. იგი ხშირად უჩნდებათ იმ ადამიანებს, რომლებსაც ან დიაბეტი აწუხებთ, ან მუდმივ სტრესს განიცდიან, ანდა იმუნიტეტი აქვთ მკვეთრად დაქვეითებული!

**— რა კავშირშია ფეხის ფრჩხილის სოკო დიაბეტთან?**

— სოკოს არამარტო სითბო, სიბნელე და ტენიანობა, არამედ შაქარიც ძალიან უყვარს. დიაბეტიანებს კი სისხლში შაქარი ყოველთვის მომატებული აქვთ. იმას, რომ სოკო შაქრით იკვებება, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სოკო უამრავი მცენარის ფესვებზე სახლობს. ასეთ დროს მცენარეც და სოკოც თავს მშვენივრად გრძნობენ. კერძოდ, მცენარე სოკოს აძლევს ნახშირწყალს, რომლითაც ის იკვებება, სამაგიეროდ, მცენარე ღებულობს მინერალებს, რომლებიც მისთვის აუცილებელია.

**— სტრესისა და სოკოს კავშირს რა მეცნიერული ახსნა აქვს?**

— როცა ადამიანი ხშირად ნერვიულობს ან მუდმივ სტრესს განიცდის, სტრესის ჰორმონი **კორტიზოლი** ყოველთვის მაღალ ნიშნულზეა. კორტიზოლი სტეროიდია და უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო თვისება აქვს. ის ზედმეტად გადარეულ იმუნურ სისტემას აწყნარებს, აუტოიმუნურ პროცესებს თრგუნავს, მაგრამ, ამავდროულად, იმუნურ სისტემასაც აძინებს და პარალიზებას უკეთებს. ასეთ პირობებში ორგანიზმის იმუნიტეტი ქვეითდება და ის სოკოები, რომლებიც ჩვენში მუდმივად არსებობენ და ზოგიერთი მათგანი სასარგებლოც არის, პათოგენურები და აგრესიულები ხდებიან. შიში და სტრესი მავნე სოკოებს ამრავლებს! **იმუნიტეტის დაქვეითება რომ მავნე სოკოების გამრავლებას ხელს უწყობს, იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ თითქმის ყველა იმ ადამიანს, ვისაც სხვადასხვა მიზეზის გამო ელენთა ამოაჭრეს, ხშირად ფეხზე სოკო უჩნდება.** მოგეხსენებათ, ელენთა იმუნიტეტის მთავარი ორგანოა და მისი ამოჭრა იმუნიტეტის მკვეთრ დაქვეითებას იწვევს.

**— ფეხის ფრჩხილზე სოკო ხშირად სიმსივნურ პაციენტებსა და შიდსით დაავადებულებსაც უჩნდებათ!**

— ეს ბუნებრივიცაა, რადგან ორივე შემთხვევაში ადამიანის იმუნიტეტი ძალიან ცუდ დღეშია. სტრესი რომ სოკოს იწვევს, ეს დასტურდება იმითაც, რომ ყველას, ვისაც „იცენკო-კუშინგის სინდრომი“ აწუხებს, ფეხის ფრჩხილზე სოკო აქვს. მიზეზი ის არის, რომ ამ დაავადების დროს სტრესის ჰორმონის — **კორტიზოლის** დონე ძალიან მაღალია. სოკო ხშირია იმ ადამიანებშიც, რომლებიც ანტიბიოტიკებს ჭარბად ღებულობენ, აღენიშნებათ ვარიკოზი, კიდურებში სისხლის მიმოქცევის დარღვევა და არიან სამოც წელს გადაცილებული.

**— რა შუაშია ასაკი?**

— სამოცი წლის ზემოთ ნივთიერებათა ცვლა შენელებულია. განსაკუთრებით ეს ხდება სხეულის განაპირა, დისტალურ ნაწილში, როგორიც ფეხის თითებია. ფრჩხილები ასაკთან ერთად გამოშრება, ადვილად ტყდება, მათში ნაპრალები ჩნდება და ამ ნაპრალებში იოლად იბუდებს სოკო.

**— რამდენად საშიშია ფეხის ფრჩხილის სოკო?**

— ბევრი ფიქრობს, რომ სოკო მხოლოდ კოსმეტიკური პრობლემაა და უმრავლეს შემთხვევაში, რადგან მას ტკივილი არ ახლავს, არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. სინამდვილეში, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, სოკო ორგანიზმში გამრავლდება და სხვადასხვა ორგანოებს შეუტევს. აქედან გამომდინარე, მისი ელიმინაცია და პრევენცია აუცილებელია.

**დღეს მსოფლიოში ფრჩხილის სოკოს გასაქრობად უამრავი ქიმიური საშუალება არსებობს და თითქმის ყველა მათგანს გვერდითი მოქმედება ახასიათებს.** ვერანაირი მკურნალობა შედეგს ვერ გამოიღებს და სოკოს ვერ მოვსპობთ, თუ იმუნიტეტს არ გავაძლიერებთ! იმუნიტეტის გაძლიერება კი შეუძლებელია, თუ არ მივიღებთ საკმარისი რაოდენობით D ვიტამინს, C ვიტამინს და თუთიას. ძალიან კარგია ინტერვალური შიმშილობა, როცა სოკოს ნახშირწყლების, ანუ შაქრის მიღების საშუალება ესპობა.

ფრჩხილის სოკოს მოსაშორებლად გთავაზობთ რამდენიმე ეფექტურ რეცეპტურას. ფეხის სოკოს მოსასპობად ძალიან კარგია ე.წ. **ინგლისური მარილის აბაზანები.** ინგლისური მარილი ჯერ კიდევ 1695 წელს ქალაქ ეპსონის მინერალური წყლებიდან მიიღეს. ის ძირითადად შეიცავს მაგნიუმის სულფატს. მაგნიუმს ორგანიზმში ძალიან დიდი როლი აკისრია. საერთოდ, ადამიანი მაგნიუმის ნაკ-

## „სოკოს ვერ მოვსპობთ, თუ იმუნიტეტს არ გავაძლიერებთ!“

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*ექსპრეზიდენტი*



**მე თუ უცხოეთიდან ფული შემომდის, იცოდნენ,** ვისგან შემომდის და რაში ვხარჯავ. ამის გამო ვერ დამაპატიმრებენ და ვერაფერს მომაკერებენ, თუ პატიოსნად ვიქცევი. **შარშან ყირგიზეთმა მიიღო ეს კანონი** და **იუსაიდი, სოროსის ფონდი** და ყველა ის ფრიად საეჭვო ორგანიზაცია, რომლებიც იქ **რევოლუციური აქტების მოწყობას აპირებდნენ,** ჩუმად გავიდნენ ყირგიზეთიდან. **ეს მოხდება საქართველოშიც.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან გოგიჩაიშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



**ბიძინამ** ყველა გასწია, დაიტოვა ის ხალხი, **ვინც იყვნენ ყოფილი ნაცები** და ყველაზე ამაზრზენები, ვინც დღეს ჩანან „ქართული ოცნების“ სპიკერატში, **სუპერგამაღიზიანებლები არიან და სიძულვილის ჩემპიონები არიან,** ყველანი პირველ ოქტომბერს მწკრივში იდგნენ **სააკაშვილთან.**

„TV პირველი“

**ხავიერ კოლომინა**
*კავკასიისა და ცენტრალური აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი*



**ნატო არ აღიარებს** საქართველოს ცხინვალის რეგიონში გამართული არჩევნების ლეგიტიმურობას, **ალიანსი განაგრძობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.**

„პირველი არხი“

**ხათია დეკანოიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



არ ვიცი, **სალომე ზურაბიშვილი** რას და როგორ იზამს, ეს მისი გადასაწყვეტია, მაგრამ **ვისურვებდი, რომ პრეზიდენტები ციხეში არ იყვნენ.**

„პირველი არხი“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**ყველა ხისტი განცხადება** „ოცნების“ წევრებისა უცხოელი პოლიტიკოსების მისამართით **ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს.** რა საჭიროა ყველაფერზე გამოკიდება და ყველასთვის პასუხის გაცემა.

„რეზონანსი“




# „შიში მავნე სოკოებს ამრავლებს!“

ლებობას მუდმივად განიცდის. კერძოდ, იონიზირებული მაგნიუმი სტრესის დროს აქტიურად გამოდის ორგანიზმიდან და მისი დეფიციტი იწვევს გაღიზიანებას, დათრგუნვას და უძილობას. მაგნიუმი აუცილებელია კანისთვისაც. მისი დეფიციტის დროს კანი შრება, იქერცლება და ქავილს განიცდის. ყველა ეს ნიშანი ფეხის სოკოს ახასიათებს. აქედან გამომდინარე, რეცეპტურა ასეთია: უნდა *ავიღოთ 2 სუფრის კოვზი ინგლისური მარილი, გავხსნათ 3-4 ჭიქა ცხელ წყალში და ფეხის ტერფები 15-20 წუთის განმავლობაში წყალში ჩავყოთ. ინგლისური მარილი ფრჩხილს დაარბილებს, კანის სიღრმეში შეიჭრება და სოკოს გაანადგურებს. 20 წუთის შემდეგ ფეხი კარგად გავიმშრალოთ და ფრჩხილზე 1-2 წვეთი იოდი დავიწვეთოთ, რომელსაც უძლიერესი ფუნგიციდური, ანუ სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია.*

ფეხის ფრჩხილის სოკოს პირდაპირი მტერია **ჩაის ხის, მიხაკის, ორეგანოს, ლავანდის ზეთები,** რომლებიც თითქმის ყველა სააფთიაქო ქსელში თუ სუპერმარკეტებში ადვილად იშოვება.

**— ფეხის სოკოს ტუტე გარემო უყვარს თუ მჟავე?**

— რა თქმა უნდა, ტუტე, რადგან მჟავე გარემო მას კლავს! ამიტომ ფეხის ფრჩხილის სოკოს საწინააღმდეგოდ ძალზე ეფექტურია **ვაშლის ან ღვინის ძმრის** გამოყენება, რომელსაც მჟავე რეაქცია გააჩნია. *თუ 1 ჩაის კოვზ ძმარს 1 სუფრის კოვზ საჭმელ სოდას შევურევთ, 2 სუფრის კოვზ წყალბადის ზეჟანგს და 2 სუფრის კოვზ ინგლისურ მარილს დავუმატებთ და ამ ყველაფერს 2 ჭიქა წყალში გავხსნით, ფეხის ფრჩხილის სოკოს გასანადგურებლად უებარ საშუალებას მივიღებთ!* ამ ხსნარით ფეხი დილა-საღამოს უნდა დავიმუშაოთ. შესაძლებელია, ბამბა ხსნარში დავასველოთ, დაზიანებულ ფრჩხილზე დავიდოთ და ღამით შევიხვიოთ!

ფეხის ფრჩხილის სოკოს გასანადგურებლად ძალზე ეფექტურია შემდეგი კომბინაცია: *50 გრამი ასპირინი კარგად დავნაყოთ, შევურიოთ 1 სუფრის კოვზ ძმარს, 1 სუფრის კოვზ ჩაის ხის ზეთს და 1 სუფრის კოვზ ქოქოსის ზეთს. მიღებული მალამო გავაჩეროთ ფეხის ფრჩხილზე დღეში ერთხელ რამდენიმე საათის განმავლობაში.*

**— გამიგია, რომ ფეხის ფრჩხილის სოკოს კვერცხითაც ებრძვიან.**

— კი ასეა... ამისათვის ავიღოთ *ნედლი კვერცხი თავის ნაჭუჭიანად, დავასხათ 1 ჩაის ჭიქა ვაშლის ან ღვინის ძმარი და გავაჩეროთ სიბნელეში მანამ, სანამ ძმრის ესენცია კვერცხს მთლიანად არ გახსნის. მიღებულ ხსნარს აპკი მოვაცილოთ, ფეხები ინგლისური მარილით ან ძმრიანი წყლით დავიმუშავოთ და მომზადებული მალამო დაზიანებულ ფრჩხილზე დავიდოთ! სასურველია, ამ დროს დაზიანებულ თითს ცელოფანი შემოვახვიოთ, რათა სითბური ეფექტი შევქმნათ!*

საერთოდ, ერთი რამ გვახსოვდეს: ფეხის ფრჩხილის სოკოს მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია. ზემოხსენებული რეცეპტებით ჩვენ შესაძლოა, შედეგს მივაღწიოთ, მაგრამ წამალმა ფრჩხილის სისქეში ვერ შეაღწიოს და სოკოს ფესვებს, ანუ მიცელებს ვერ მისწვდეს. ამიტომ აუცილებელია სოკოს საწინააღმდეგო მედიკამენტების დალევაც. ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტურია **ტერმინაფინი და ინტრაკონაზოლი.** ამ წამლების მოქმედების მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს — როცა ამ აბებს მივიღებთ, ისინი ხვდებიან სისხლში და ბუნებრივია, დაზიანებულ ფრჩხილშიც. სოკო იკვებება ფრჩხილში შემავალი ცილა კერატინით. როცა ეს ცილა სოკოს საწინააღმდეგო წამლებით არის გაჟღენთილი, ცხადია, სოკო ჭამს ამ საწამლავს და კვდება.

თითქოს ეს ყველაფერი მარტივია, მაგრამ მთელი პრობლემა ის არის, რომ ყველა ამ წამალს გააჩნია გვერდითი მოქმედებებიც. კერძოდ, ზემოხსენებული პრეპარატები მოქმედებს **ღვიძლზე.** ამიტომ, როცა ასეთი პაციენტები ჩემთან ხვდებიან, ყოველთვის ვუნიშნავ ჰომეოპათიური წესით დამზადებულ **„კარდუს-მარიანუსს“,** რომელიც ბაყაყურასგან მზადდება. პარალელურად ჰომეოპათიაში 300 წელია, არსებობს სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატი **„ანტიმონიუმ-კრუდუმ“,** რომელსაც სოკოთი დაავადებულ თითქმის ყველა პაციენტს ვაძლევ.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
imediclinic.com
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო:
032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა:
032 223-85-80

IWAY.GE
ევრაზიაში სამშენებლო და სარემონტო მასალების წამყვანი მწარმოებლის QIS-ის (Quality Insulation Systems) წარმომადგენელი საქართველოში
შპს „აივეი“
გთავაზობთ:
სახურავებისა და კედლების ჰიდროიზოლაცია (პოლიურეთანის, აკრილის და ბიტუმის ბაზაზე), შენობის დათბუნება (ქვაბამბით, პენოპლასტით და XPS-ით), ბათქაშები შიდა და გარე გამოყენებისათვის, ფასადის დეკორატიული მოპირკეთება (მათ შორის, ე.წ. „მიუნჰენით“), წებოცემენტები მარმარილოსა და გრანიტისათვის, ეპოქსიტური ნარევები სამრეწველო იატაკებისათვის, ბეტონის და ასფალტის ლაქ-საღებავები და სხვ.
ვრცელდება საბითუმო და საცალო ფასები. უფასო მიტანა, კონსულტაცია და გრძელვადიანი თანამშრომლობა.
თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge

თამარისი Tamarisi
დაინახე:
სათვალე არის ეს!
სათვალე არის აქ!
ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics

საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარე*



ევროპარლამენტში გაიმარჯვა **ევროკავშირის გაფართოების და „ოცნების“ დამთავრების** პოლიტიკამ.

„რეზონანსი“

**მიხეილ ღუნღუა**
*ფინანსთა მინისტრის მოადგილე*



ყველა ფაქტორით, ყველა მაჩვენებლით, ყველა კომენტარით **საქართველო არის გამორჩეული, როგორც რეფორმატორი, როგორც თავისუფლების გამაუმჯობესებელი ქვეყანა.**

„რეზონანსი“

**ნიკა შენგელია**
*ფინანსისტი*



ასე თუ გაგრძელდება, სამწუხაროდ, **ლარი დარჩება გაუფასურებული.** ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პირველ ეტაპზე **კურსი მივა 2.95-იან ნიშნულამდე.**

„რეზონანსი“

**მიხეილ დაუშვილი**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



თუ **ქალბატონი სალომე იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი,** მივესალმებით.

„ახალი თაობა“

**მაკა ძაგანია**
*მსახიობი*



ალბათ, შევიცვალე — **როგორ შეიძლება 24 და 44 წლის ასაკში ერთნაირი იყო,** მაგრამ მე ვერ ვგრძნობ და არც ოჯახის წევრები მეუბნებიან ამას.

„თბილისელები“

**ანი ტყებუჩავა**
*მსახიობი*



ჩემს ბავშვობაში ამბობდნენ, რომ **მსახიობი თუ გახდები, აუცილებლად 15 ქმარი უნდა გყავდეს.**

„თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი: ზოდიაქოს ნიშნები და სტრესის დაძლევის გზები

*— სტრესს, ერთი მხრივ, რა ფუნქცია აკისრია და რას აადვილებს? ყველაზე მშვიდი ადამიანი როდის გამოდის წყობიდან და როდის ახდენს მოვლენებზე რეაგირებას? ასტროლოგიური თვალთახედვით, რაზეა დამოკიდებული სტრესის მიმართ მეტ-ნაკლები მიდრეკილება და სისუსტე? ლიდერად დაბადებულ ვერძს რისი უნარი აქვს, რა მოსწონს და მუდმივად რას ეჭიდება? ბრძოლისუნარიანი, მაგრამ იმპულსური, სტრესს როგორ უმკლავდება ან თავს დაცულად როდის იგრძნობს? რამ შეიძლება სტრესი განაცდევინოს და ასეთ დროს როგორ მოიქცევა? ვერძმა სტრესის შესამცირებლად რა უნდა გაითვალისწინოს, რისი კონტროლი მართებს ანდა მისთვის სტრესის მოსახსნელად რა არის საუკეთესო საშუალება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორც აღნიშნეთ, რთულ დაძაბულ დროში გვიწევს ცხოვრება. სწრაფია ცხოვრების ტემპი და დიდია ინფორმაციების რიცხვი, ხშირია კარიერული ან ფინანსური არასტაბილურობა თუ პირადული პრობლემა. შედეგად, სტრესულმა სიტუაციებმა და სტრესებმა იმატა. ამგვარი ვითარებისას ასტროლოგია რით დაგვეხმარება?**

— მოგეხსენებათ, რთული და დაძაბული გარემო ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ფსიქიკაზე, გონებასა და სულიერ მდგომარეობაზე. **ერთი მხრივ, სტრესი ჩვენი ორგანიზმისთვის დამცავ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც აადვილებს ჩვენს ადაპტირებას ცვალებად გარემოში, ამიტომ ზოგიერთი ჩვენგანი მას იოლად უმკლავდება. თუმცა, ბევრი ადამიანი ვერ ინარჩუნებს სიმშვიდეს, რაც შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისახება,** უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ემოციურად ყველაზე სტაბილურიც კი, დიდი რყევისა და ზეწოლის პირობებში, აღწევს იმ პიკს, როცა მწყობრიდან გამოდის და ემოციურად ან ფიზიკურად რეაგირებს მიმდინარე მოვლენებზე. ეს კი მისთვის შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. ყოველივე ამის გამო, ასეთ რთულ სიტუაციებში აუცილებელია, ყველაფერი ვიღონოთ და შევინარჩუნოთ ფიზიკური და ფსიქიკური სიჯანსაღე, რათა არსებულ რეალობას გავუმკლავდეთ. **ასტროლოგიური თვალთახედვით, სისუსტე ან მეტ-ნაკლები მიდრეკილება სტრესის მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ ესა თუ ის ადამიანი რომელი ზოდიაქოს ნიშნით (მზის, ანუ დასავლური ზოდიაქოს ნიშნის) არის დაბადებული. შესაბამისად, გვერდი რომ ავუაროთ ანდა მინიმუმამდე შევამციროთ ჩვენს ჯანმრთელობაზე სტრესის ნეგატიური ზემოქმედება, საკმარისი იქნება გავითვალისწინოთ გარკვეული რეკომენდაციები და დავიცვათ გარკვეული წესები.** ამ მიმართებით ზოდიაქოს თითოეული ნიშანი განვიხილოთ და ტრადიციულად **ვერძით** დავიწყოთ.

**1. ვერძი ბუნებით ლიდერია და უნარი აქვს, ნებისმიერი ახალი ტენდენცია მართოს. მას რთულ ამოცანებთან შეჭიდება მოსწონს და მუდამ იმას აკეთებს, რასაც საჭიროდ მიიჩნევს.** იმის გამო, რომ ვერძთა უმრავლესობა ერთდროულად რამდენიმე პროექტით არის მუდამ დაკავებული და საკუთარ თავზე დიდ პასუხისმგებლობას იღებს, დიდ დატვირთვასაც განიცდის, რაც აისახება კიდეც მის განწყობასა და ურთიერთობებზე. იმ შემთხვევაში, თუკი მას რაიმე ვერ გამოუვა ან პრობლემური გახდება ანდა სრულად ინიციატივას ვერ ფლობს, ის ღიზიანდება და აგრესიული ხდება. სტრესული მდგომარეობა მის გარეგნობაზეც ისახება. ნიშანდობლივია, რომ ბრძოლისუნარიანი ვერძი მეტად იმპულსური გახლავთ, ამიტომ იმის ნაცვლად, რომ არ იჩქაროს და პრობლემის მოგვარების გზების მოძიებაზე დრო დახარჯოს, წინდაუხედავად მოქმედებს. **ვერძის ნიშნით დაბადებული ჩვეულებრივ სტრესს უმკლავდება საკუთარ თავზე დაყრდნობით, ანუ თავად მმართველის პოზიციას იკავებს, განკარგულებებს გასცემს და ამგვარად თავს დაცულად გრძნობს. როგორც წესი, ვერძი მცირე სტრესს განიცდის, თითქოსდა უწყინარ წვრილმანთა გამოც.** მაგალითად, როცა მის წინ ადამიანები ნელა მოძრაობენ ანდა ირგვლივ ნივთები ქაოსურად დაყრილია და არა მეთოდურად დალაგებული. ამის გამო, შესაძლოა, ყვირილი დაიწყოს და გარშემო მყოფნიც სტრესში მოაქციოს. ისინიც მაშინვე დაიწყებენ **ვერძის** მოთხოვნების შესრულებას. ამგვარად, **ვერძის ნიშნით დაბადებულთათვის სტრესული მდგომარეობის შესამცირებლად რეკომენდებულია რეგულარული ფიზიკური აქტიურობა.** მით უფრო, რომ მათ უჭირთ ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა და არაფრის კეთება. **ვერძთა ენერგიულობასა და ცხოვრებისადმი ინტერესს განაპირობებს ადრენალინი და სიახლეებისკენ ლტოლვა, მაგრამ, ამავდროულად, აუცილებელია საკუთარი თავის გაკონტროლება შეძლონ, რათა ერთბაშად მთელი ენერგია არ დახარჯონ და ემოციურად თუ ფიზიკურად არ გადაიწვან.** სტრესის მოსახსნელად კი ვერძისთვის ყველაზე უფრო სასიკეთოა ძუნძულით სირბილი ან იოგას სისტემით ვარჯიში.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***




## 17 – 23 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
**თავს ენერგიულად იგრძნობთ, თუმცა, იმპულსური და უცნაური ქმედებების გამო შეიძლება შეგექმნათ გარკვეული პრობლემები. გაიზრდება ოჯახის საქმეების გამო გადაადგილებების ან ნათესავებთან და ახლობლებთან შეხვედრებისა და ურთიერთობების რაოდენობა. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს და ეცადეთ, გაალამაზოთ საცხოვრებელი ადგილი. სასიყვარულო კავშირი შემოქმედებითი მუშაობისა და აქტიური მოქმედებების სტიმული გახდება. მოგზაურობისას კი შეიძლება მეტად საქმიანი დატვირთვა ჰქონდეთ.**

**კურო (21.04-20.05)**
**რთულად, მაგრამ დადებითად ჩაივლის ხელმძღვანელ პირებთან მოლაპარაკებები. დაიოკეთ აზარტი და რისკის სურვილი. ურთიერთობებში გაურკვევლობა ან საქმიანი პარტნიორების მხრიდან არაკეთილსინდისიერება გაიძულებთ, შეცვალოთ გეგმები. შეიძლება, პრობლემები შეგექმნათ ბინის ყიდვა-გაყიდვის ან გაქირავების შემთხვევაში. სასიყვარულო ურთიერთობების, გრძნობათა გამძაფრებისა და ინტიმური ცხოვრების გააქტიურების სურვილის შემთხვევაში შეეცადეთ, არ დაუშვათ გამოუსწორებელი შეცდომები.**

**ტყუპი (21.05-22.06)**
**ცვლილებების შიში გაიძულებთ, გულგრილი იყოთ პერსპექტიული წინადადებების მიმართ. ნუ იზარმაცებთ, რადგან თქვენს კონტაქტურობაზე იქნება დამოკიდებული საქმიანი თანამშრომლობის წარმატება. შესაძლოა, სერიოზულად გადახედოთ და შეცვალოთ სასიყვარულო პარტნიორთან ურთიერთობა. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მოგიწევთ, იყოთ მაქსიმალურად პრაქტიკული. მოგზაურობა, ბინის შეცვლა ან რემონტი ბევრ დროს წაგართმევთ.**

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
**ეს ენერგიულად მოქმედების პერიოდია. ახალი ნაცნობობა და შეხვედრები გაალამაზებს თქვენს ყოფას, მაგრამ გარშემო მყოფების პრობლემების მოსმენაზე დროს ნუ დახარჯავთ და ეცადეთ, მინიმუმამდე შეამციროთ გაუთვალისწინებელი ხარჯის რაოდენობა. ფინანსურ ან ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლოა, მოგიხდეთ საბუთებთან მუშაობა და იურიდიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა. სიფრთხილე და ყურადღება თავიდან აგაცილებთ ტრავმებსა და ავადმყოფობას.**

**ლომი (23.07-23.08)**
**რაც უფრო რეალურად შეაფასებთ სიტუაციას, მით ნაკლებ შეცდომებს დაუშვებთ მოქმედებისას. ამ პერიოდში მეტად დამოუკიდებელი გახდებით და გაგიჩნდებათ სულიერი და მატერიალური სიმყარის მოთხოვნილება. ემოციური არეულობა სირთულეებს შეგიქმნით სასიყვარულო ურთიერთობასა და ხელმძღვანელ პირებთან დამოკიდებულებაში. კარდინალურად ნურაფერს შეცვლით ცხოვრებაში, რადგან არჩევანის გაკეთებისას შეცდომებია მოსალოდნელი. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ.**

**ქალწული (24.08-23.09)**
**მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა და გარშემო მყოფებთან კეთილგანწყობისა, საკმაოდ აგრესიული, პირადაპირი და უხეში იქნებით კარიერის, ბიზნესისა და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებში. მიზნის მისაღწევად ნუ აჩქარდებით, მოერიდეთ რისკს და ნუ გამოიყენებთ არაკეთილსინდისიერ მეთოდებსა და საშუალებებს. საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან ურთიერთობის დაძაბვის შემთხვევაში ჯობს, თქვენ გადადგათ პირველი ნაბიჯი სიტუაციის გამოსასწორებლად.**

## 17 – 23 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
**საკმაოდ დატვირთული და არაერთგვაროვანი პერიოდია. შემოქმედებითად მუშაობა და ჩანაფიქრების განხორციელება გაგიჭირდებათ, რადგან არ გეყოფათ დრო ან ენერგია. უხასიათობა და ყოყმანი გაგირთულებთ დამოკიდებულებას კოლეგებთან და ოჯახის წევრებთან. განწყობას გაგიუმჯობესებთ საინტერესო შეხვედრები და ახალი შთაბეჭდილებები. თუ საქმეები მოგცემთ საშუალებას, აიღეთ შვებულება და გაემგზავრეთ დასასვენებლად ქალაქგარეთ, თუნდაც რამდენიმე დღით.**

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
**ნუ გამოიყენებთ სხვის ფინანსებს პირადი მოგებისათვის და ეცადეთ, მეტად ქველი და გულისხმიერი იყოთ სუსტებისადმი. ეს არამარტო შინაგან თავდაჯერებულობას გაგიზრდით, არამედ ავტორიტეტსაც აგიმაღლებთ საზოგადოების თვალში. საქმეში არ გამოიყენოთ ავანტიურული და საეჭვო მეთოდები, რათა არ მიიზიდოთ ექსტრემალური სიტუაციები, რაც დანაკარგისა და ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი გახდება. ეს კარგი დროა ქორწინებისა და მოგზაურობისათვის.**

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
**არაერთგვაროვანი დროა, ამიტომ მეტი ყურადღება გმართებთ წვრილმანების მიმართ. ფინანსური საკითხების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს. გართობისა და დასვენებისათვის ბევრი ფული დაგჭირდებათ, თუმცა, ამის გამო ნუ ინერვიულებთ, რათა არ გადაღალოთ ორგანიზმი. გადაადგილებების დროს ფრთხილად იყავით, რათა არ დაშავდეთ. გადაწყვეტილებების მიღებისას დიდხანს არ იყოყმანოთ, რათა გაუგებრობებმა ზიანი არ მიაყენოს თქვენს ნერვულ სისტემას.**

**თხის რქა (22.12-19.01)**
**გაგიადვილდებათ საქმიანი პარტნიორული ურთიერთობის დამყარება და განვითარება. ყველა საქმე გეგმაზომიერად შეასრულეთ და დაუკვირდით წვრილმანებს. წარმატებას მოგიტანთ სირთულეების სწრაფად გადალახვის უნარი. შესაძლოა, მოგიწიოთ ფულის ხელმომჭირნედ ხარჯვა და დიდი შენაძენისაგან თავის შეკავება. ფიზიკურად ნუ გადაიტვირთებით და ხშირად დაისვენეთ. მშვიდი ოჯახური გარემო და სასიყვარულო სფეროში ჰარმონია გაზრდის თქვენს თავდაჯერებულობას.**

**მერწყული (20.01-18.02)**
**ურთიერთობისა და ახალი ინფორმაციის მიღების სურვილი დაგეხმარებათ როგორც პროფესიული, ისე პირადი კონტაქტების დამყარებაში. სამსახურში მოგიწევთ დამატებითი ვალდებულებების აღება ან მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება. დაღლილობის შემთხვევაში აუცილებლად დაისვენეთ და აღიდგინეთ ძალები, რათა არ გაგირთულდეთ ქრონიკული დაავადებები. მოგზაურობისას ყურადღებით იყავით უცნობი ადამიანების მიმართ, რათა არაფერი მოგპარონ ან მოგატყუონ.**

**თევზები (19.02-20.03)**
**გაგიჩნდებათ ფულის დაგროვების მოთხოვნილება, თუმცა, თქვენი ამბიციების სიუხვე ახალი სამსახურის დაწყების პერსპექტივას შეამცირებს. მოგეძალებათ თანამოაზრეებთან და მეგობრებთან ახლო ურთიერთობისა და გულახდილად საუბრის სურვილიც. სხვა ქალაქებში დამყარებული კავშირები ან იქ მცხოვრებ მეგობრებ-ნათესავებთან ურთიერთობა ახალ პერსპექტივებს გიქადით. საყვარელ ადამიანთან კი ეცადეთ, არაფერზე იკამათოთ და შეინარჩუნოთ სტაბილურობა.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 18,19,21 და 22 ივნისი

**6 ივნისი – ახალმთვარეობა, პიკი – 16.40 საათზე;**
**22 ივნისი – სავსემთავრეობა, პიკი – 05.11 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 17 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.38 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 15.08 საათზე, ჩადის 18 ივნისს 01.12 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 17.22 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.06 საათიდან 10.39 საათამდე. **ტენდენციები:** დღეიდან პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში (11 ივლისამდე), რაც ურთიერთობისას მგრძნობელობას, რომანტიკულობას, ინტუიციას აძლიერებს და ასევე ეჭვიანობასაც. დღეს იმატებს სიცრუისა და ხრიკების ალბათობა. აკონტროლეთ უარყოფითი ემოციები. არ არის სასურველი ქორწინება, ინტიმური კონტაქტები, სხივური თერაპია. კარგია დღეა თვითშემეცნებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისთვის, დაკარგული ნივთების მოძიებისთვის, დამცავი სისტემის დამონტაჟებისთვის. სასიკეთოა იოგას სისტემით ვარჯიში. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 18 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.38 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 16.14 საათზე, ჩადის 19 ივნისს 01.34 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 18.46 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში (2 ივლისამდე), რაც ადამიანის აზროვნებისას გააძლიერებს ემოციურობას, მგრძნობელობას, ინტუიციას, იუმორს, ტრადიციისა და წეს-ჩვეულებისკენ მიდრეკილებას, პატრიოტიზმს და ასევე ხასიათცვალებადობას, ეჭვიანობასაც. დღეს მოერიდეთ ქორწინებას, ინტიმურ კონტაქტებს, ფულის სესხება-გასესხებას. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, დაკარგული ნივთების მოსაძიებლად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის. ეფექტურია ყელ-ყურ-ცხვირისა და ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ზურმუხტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 19 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.44) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 17.23 საათზე, ჩადის 20 ივნისს 02.00 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 20.14 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლოა ბრძნული რჩევა ანდა საიდუმლო ინფორმაცია მიიღოთ. ურთიერთობისას ინტუიციას დაეყრდენით და დაკვირვების უნარიც გამოავლინეთ. დღეს არ არის სასურველი სხივური თერაპია, ალკოჰოლური სასმლისა და ცხარე საკვების მიღება, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება, ბინის შეცვლა, ინტიმური კონტაქტები, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება. კარგი დღეა გეგმის დასახვისთვის, თვითშემეცნებისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ოპალი, ობსიდიანი, ტოპაზი, მარჯანი. **საღამოს** — ფირუზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 20 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 18.32 საათზე, ჩადის 21 ივნისს 02.31 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 21.42 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს დაბნეულობა იმატებს. წყალთან მიმართებით მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. დღეს და ხვალ დაწყებული საქმე კარგად დასრულდება. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, სულიერი განვითარებისთვის, თანამშრომლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, საიუბილეო საღამოებისთვის. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა, დიდხანს ფეხზე დგომა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, ლალი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 21 ივნისი, პარასკევი

**მზე** გადაინაცვლებს (00.52) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 19.38 საათზე, ჩადის 22 ივნისს 03.14 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 22.59 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს, მზებუდობისას, **მზე** გადაინაცვლებს რა კირჩხიბის ზოდიაქოში, ადამიანებსა და მოვლენებში გააძლიერებს ოჯახისა და ტრადიციების პატივისცემას, პატრიოტულობას, მგრძნობელობას, ინტუიციას, ემოციურობას, ეროვნული ფასეულობებისკენ მიდრეკილებას და ასევე ეჭვიანობას, ხასიათცვალებადობას, დღეიდან იუმორს დაეყრდენით. კარგი დღეა მგზავრობისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, უცხოეთში კაპიტალდაბანდებისთვის, თანამშრომლობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის. სასიკეთოა ლოცვა, მიტევება. შედეგიანი იქნება ფილტვების, ბრონქების, მხრების, ხელების მკურნალობა. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ნეფრიტი, ციტრინი, ქარვა, იაგუნდი. **პოზიტიური დღე**ა ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 22 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.15) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 20.35 საათზე, ჩადის 23 ივნისს 04.08 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 23.55 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 03.11 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარი**ს პერიოდია 02.59 საათიდან 24.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სავსემთვარეობის გამო მაღალია აგრესია-დეპრესიის, განაწყენების, ეჭვიანობის, ცდუნებების, შეცდომების, კონფლიქტების და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა, რაც ყველასგან ითხოვს სიფრთხილეს და ყურადღებას. **სასიკეთოა ლოცვა და ყველას დალოცვა.** მოერიდეთ გადაწყვეტილებების მიღებას, ხელშეკრულების დადებას. არ არის სასურველი ალკოჰოლის მიღება, ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ფულის სესხება-გასესხება, ვაჭრობა, ახალი კავშირების დამყარება, სტომატოლოგიური პროცედურები. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, კოლექციის შესავსებად. შესაძლებელია საქმის დაგეგმვაც. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 23 ივნისი , კვირა

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 21.26 საათზე, ჩადის 24 ივნისს 05.12 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.53 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 03.10 საათამდე. **ტენდენციები:** დაიცავით სულიერი წონასწორობა და ამავდროულად იაქტიურეთ. მაღალია წამლით მოწამვლის ალბათობა. სიფრთხილე გმართებთ, ზოგადად, წყალთან მიმართებით. კარგი დღეა ახლობლებთან ურთიერთობისთვის, სახლის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, კოლექციონერობისთვის, ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კანისა და ფრჩხილების მოვლა. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, ტატუირება, მანუალური თერაპია, სტომატოლოგიური პროცედურები, ქორწინება, ახალი კავშირების დამყარება, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

**17 ივნისი. ორშაბათი. მიტროფანე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა;** მოწამეთა: ფრონტასისა, სევერინესი, სევერიანესი და სილანესი; მოწამისა კონკორდისა; მღვდელმოწამისა ასტისა, დურაპის ეპისკოპოსისა; ღირსისა ხოსიმესი, ეგვიპტის ბაბილონელი ეპისკოპოსისა; **წმიდათა მენელსაცხებელთა დედათა: მართასი და მარიამისა, მართალ ლაზარეს დათა.**




✝ **18 ივნისი. სამშაბათი.** მღვდელმოწამისა დოროთესი, ტვირელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: მარკიანესი, ნიკანდროსი, იპერიქესი, აპოლონისა, ლეონიდესი, არიოსისა, გიორგისი, სელინისა, ერინისა და პამბოსი; ღირსისა თეოდორე სასწაულმოქმედისა; ღირსისა ანუბისა, ეგვიპტელი მეუდაბნოისა; ილარიონისა, დალმატის მამასახლისისა.

✝ **19 ივნისი. ოთხშაბათი. ღირსისა მამისა ჩვენისა დოდო გარეჯელისა;** ღირსისა ბესარიონ ეგვიპტელისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა ილარიონ ახლისა; ღირსთა ქალწულმოწამეთა: არქელაიასი, თეკლასი და სოსანასი; მოწამეთა: მამელხთასი და ზინაიდასი.

✝ **20 ივნისი. ხუთშაბათი. ღირსისა დავით გარეჯელისა და მოწაფისა მისისა ლუკიანესი. მამადავითობა თბილისში.** მოწამისა თეოდოტე ანკვირელისა; მოწამეთა ვალერიასი, კვირიაკიასი და მარიამისა; მღვდელმოწამისა მარკელე რომის პაპისა და მოწამეთა: კლავდისი, კვირინესი და ანტონინესი; მოწამეთა: სისინი და კვირიკე დიაკონთა, სმარაგდისა, ლარგისა, აპრონიანესი, სატურნინესი, პაპიუსისა და მავროს მხედართა და კრისკენტიანესი, მოწამე დედათა: პრისკილასი, ლუკიანასი და არტემიასი, მეფის ასულისა; ღირსთა: ანთიმო ხუცისა და სტეფანესი.

✝ **21 ივნისი. პარასკევი. ამაღლების წარგზავნა. დიდმოწამისა თეოდორე სტრატილატისა;** მღვდელმოწამისა თევდორესი, კვლთელი მღვდლისა; ეფრემისა, ანტიოქიელი პატრიარქისა; ღირსისა ზოსიმე ფინიკიელისა; მოწამეთა: ნიკანდროსი და მარკიანესი; ეპისკოპოსისა აკვილიანესი.

✝ **22 ივნისი. შაბათი. სულის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება.** კირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა იოანე შავთელგაენათელისა; მოწამეთა: თეკლასი, მართასი და მარიამისა, სპარსეთს ვნებულთა; წმიდისა დედისა პელაგიასი, რომელი ოდესმე იყო მეძავი ანტიოქია ქალაქსა შინა.

✝ **23 ივნისი. კვირა. სულთმოფენობა. ყოვლადწმინდა სამებობის დღესასწაული. მრავალთა წმიდათა ქართველთა მამათა და დედათა, აჭარაში თურქთაგან წამებულთა;** მღვდელმოწამისა ტიმოთესი, პრუსიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: ალექსანდრესი და ანტონინა ქალწულისა; ღირსისა თეოფანე ანტიოქიელისა და ღირსისა დედისა პანსემნისა; ბასიანე ლავდიელი ეპისკოპოსისა. ღირსი თამარ აღმსარებლისა.




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.




ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **57-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში**

**გეპატიჟებათ!**





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბარკაროლა; 7. ბამბა; 12. კიმპო; 13. პარია; 14. ფანჯარი; 15. ლონგე; 16. შურდული; 17. რევიუ; 18. ახალუხი; 22. ვიალი; 23. ტირანა; 25. ტიტრი; 26. ბალატონი; 27. რაიტი; 28. ტიტანი; 30. ვაცი; 31. ყირამალა; 35. სიტი; 38. ინკები; 39. მაია; 49. ნატანები; 41. პონტი; 42. მაწონი; 45. ლოტო; 46. კომისარი; 50. პიკე; 52. ჩეროკი; 55. სპა; 56. კვარტალი; 57. ელვა; 58. კოკაინი; 59. ბადაგონი; 60. რამაზოტი; 64. ნარინჯი; 65. ფენომენი; 66. ანატომია.

შვეულად: 1. ბაფთა; 2. რენტა; 3. ამადუ; 4. ოდიში; 5. აკორდი; 6. ამპულა; 7. ბოლივარი; 8. მანდარინი; 9. აპერიტივი; 10. გრავიტაცია; 11. გაბუნია; 19. ხმალი; 20. ლუარა; 21. ხეობა; 23. ტიტა; 24. როტონდა; 29. ნიელო; 31. ყანა; 32. რეტრო; 33. მანკი; 34. ლიბია; 35. სიპი; 36. ტენტი; 37. ლაბორანტი; 39. მილე; 42. მი; 43. წრე; 44. ნეო; 46. კავსაძე; 47. მურტალო; 48. სტალონე; 49. რაიკინი; 50. პი; 51. კალია; 52. ჩიკორი; 53. რაიონი; 54. კვირია; 55. საბო; 61. მთა; 62. ზრო; 63. ტაი.

**კალორიანატალიონიანისულიერინიამორიელისოფია**
**დანტესისლეიტერირიერიქათიბისიმონაკოლეგატიარა**

| სითბოს რაოდენობის ერთეული | ქართული სამოდელო სააგენტო | მსახიობი ონისე ... | სულდგმული | კლდის თხა | ... ვირსალაძე | საჭმელი ბავშვის ენაზე |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერმწერი ფრიდა ... | ბარბა-დოსელი მომღერალი | დანაშაულის ფარდი შურისძიება | ეთერზეთოვანი ხე | შურისმაძიებელი ქალღმერთი (ბერძ მით.) | ზოდიაქოს ნიშანი | ბულგარეთის დედაქალაქი |



თარაზულად: 1. ვენეციელი გონდოლიერების სიმღერა; 7. ტექნიკურ-ბოჭკოვანი მცენარე; 12. აეროპორტი სეულში; 13. „ხელშეუხებელთა“ კასტა სამხრეთ ინდოეთში; 14. გრაფიტის საგანი სახატავად, საწერად; 15. ძველი ბერძენი მწერალი; 16. ქვის სასროლი იარაღი; 17. საესტრადო წარმოდგენა; 18. ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი სამოსი; 22. იტალიელი ფეხბურთელი; 23. ალბანეთის დედაქალაქი; 25. წარწერა ფილმის კადრზე; 26. ტბა უნგრეთში; 27. ამერიკელი გამომგონებელი, ავიაკონსტრუქტორი; 28. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 30. მამალი თხა; 31. თავდაყირა; 35. ლონდონის საქმიანი ცენტრი; 38. თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელები; 39. მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელები; 40. სოფელი ოზურგეთის რაიონში; 41. იტალიელი რეჟისორი; 42. შედედებული რძის პროდუქტი; 45. სამაგიდო თამაში; 46. სამხედრო კომისარიატის ხელმძღვანელი; 50. ბამბის მკვრივი ქსოვილი; 52. სათამაშო ბზრიალა; 55. ჯარი, არმია (ძვ.); 56. დროის სამთვიანი მონაკვეთი; 57. ატმოსფერული მოვლენა; 58. ნარკოტიკული ნივთიერება; 59. ქართული ღვინის კომპანია; 60. იტალიელი მომღერალი; 64. ციტრუსოვანი მცენარე; 65. იშვიათი, უჩვეულო მოვლენა; 66. ცოცხალი ორგანიზმების აგებულების შემსწავლელი მეცნიერება.

შვეულად: 1. გოგონების თმის შესაკრავი ლენტი; 2. შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაპიტალი, ქონება მეწარმეობრივი საქმიანობის გარეშე; 3. ბრაზილიელი მწერალი; 4. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 5. მუსიკალური ბგერების ჰარმონიული შეერთება; 6. მინის სათავსი თხევადი წამლისთვის; 7. სამხრეთ ამერიკის კოლონიების განთავისუფლებისთვის მოძრაობის ხელმძღვანელი; 8. ციტრუსი; 9. სუსტი სპირტიანი სასმელი; 10. მსოფლიო მიზიდულობა; 11. ქართველი მსახიობი ქალი; 19. ძველი საბრძოლო იარაღი; 20. მდინარე საფრანგეთში; 21. ადგილი წყალგამყოფ მთებს შუა, სადაც მდინარე მოედინება; 23. ყვავილი; 24. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა; 29. მოსავადების ტექნიკა; 31. პურეულის ნათესი; 32. უკან (ლათ.); 33. გულის დაავადება; 34. აფრიკის სახელმწიფო; 35. სრიალა ზედაპირის მქონე რამ; 36. ტილოს ფარდული მზისა და წვიმისაგან დასაცავად; 37. ლაბორატორიის მუშაკი; 39. ფრანგი ფერმწერი; 42. მესამე ნოტი; 43. ბრეხტი — „კავკასიური ცარცის ...“; 44. სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ახალს; 46. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 47. კუკარაჩას მკვლელი; 48. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 49. რუსი სატირიკოსი მსახიობი; 50. მათემატიკური მუდმივა (3,14); 51. ნათესების მავნებელი მწერი; 52. ბზრიალა; 53. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; 54. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირი; 55. ხისგან გამოთლილი ფეხსაცმელი; 61. გორა; 62. ისრის წვერი; 63. ტაილანდის ენა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| პუშკინის მკვლელი | მსახიობი კრისტიან ... | ძახილი საშველად | ერთგვარი ფრინველი | ქალაქი საფრანგეთში | რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი | თუთიყუში |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოეტი ... ალეგიერი | ფრანგი ფერმწერი | ძაღლის ჯიში | ქალის ზედა ტანსაცმელი | მსახიობი ... სინიორე | ამხანაგი სამსახურის მიხედვით | რომის პაპის თავსაარქმელი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

☺ სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

? ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

⚥ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

⇩ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

👔 მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | ღრიანკალი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 ორშ. | ☝ | ☺ | 🎁 | 🤝 | 🤝 | ☺ | 👫 | ⚥ | 🔔 | 🍷 | ⇩ | 🦁 |
| 18 სამშ. | 🎁 | ! | 🤝 | ☝ | ? | 👫 | ✈ | 🎁 | 🌴 | 👍 | ☝ | ☝ |
| 19 ოთხშ. | ✈ | 🌴 | ! | ☺ | 👍 | 🌴 | 🤝 | ⇩ | ! | 😐 | ? | 🌴 |
| 20 ხუთშ. | ? | 🌴 | ♠ | 👍 | 👫 | ♠ | 👫 | 🍷 | ⚥ | 👔 | ✈ | ✈ |
| 21 პარ. | 👫 | ☝ | 💣 | ⚥ | ! | ☝ | 👍 | ☝ | ☝ | ⚥ | ✈ | 🔔 |
| 22 შაბათი | ✈ | 🦁 | 👫 | ! | 🎁 | ✈ | 👔 | 🌴 | 🍷 | ☯ | ? | ? |
| 23 კვირა | ☝ | 🎁 | ! | ✈ | ⇩ | ⚥ | 🦁 | 🦁 | 👍 | 👫 | ☯ | ⇩ |

🦁 რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

💣 მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

♠ ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

🍷 შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

! გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2024 წლის 17 – 23 ივნისი №26 (1544)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი



*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


2 009882 637296

